რუსეთის დღე სარკინიგზო ავარიით აღინიშნა

A5

ჰაულო კოელიო თავისი ახალი რომანის შესახებ

B3

პენტაგონის პრობლემა

B3

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი ორშაბათი, 13 ივნისი, 2005 წელი. №131 (991) ფასი 50 თეთრი

დანაშაული თუ "შავი პიარი"?

ლაგოდეხის სასაზღვრო ნაწილთან დაკავშირებულმა სკანდალმა ახალი კონტურები შეიძინა

ზვიად რუაძე

ლაგოდეხის სასაზღვრო ნაწილის ირგვლივ აგორებულმა სკანდალმა თელავის რაიონულ სასამართლოში გადაინაცვლა. სასაზღვრო ნაწილის ოფიცრის რამაზ თურმანიძის შემდეგ, სასამართლომ წინასწარი სამთვიანი პატიმრობა პირველი სექტორის უფროსს, ალექსანდრე მაჭარაშვილს შეუფარდა. დანაშაულში ეჭვმიტანილების ადვოკატები ამ გადაწყვეტილებას აპროტესტებენ. მათი თქმით, ოფიცრების დაკავებას პოლიტიკური სარჩული უდევს და ამიტომ, გამოძიება არაობიექტურად წარიმართა. მომხდარს ლაგოდეხის მაჟორიტარი დეპუტატი ლაშა ნაცვლიშვილიც ეხმაურება და აცხადებს, რომ მაჭარაშვილი შიდასახელისუფლებო ინტრიგების მსხვერპლია. კახეთში მოქმედი არასამთავრობოები კი ამ ყველაფერს, სასაზღვროს დეპარტამენტის თავმჯდომარის ბადრი ბიწაძის წინააღმდეგ აგორებულ შავ პიარს უწოდებენ და ამის უკან გენპროკურორსა და მის ძმას მოიაზრებენ.

გაგრძელება A3 გვერდზე

საპროტესტო აქცია თელავის ცენტრში.

საერთაშორისო ფორუმი თბილისში

საქართველოს ხელისუფლება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან ქათინაურებს და "რჩევებს" იღებს

თამარ ხორბალაძე

სასტუმრო "თბილისი-მარიოტმა" გუშინ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ნიდერლანდების ჯგუფის წევრი ქვეყნების, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველთა და ალტერნატიულ მმართველთა სამუშაო შეხვედრას უმასპინძლა. შეხვედრის დღის წესრიგში საქართველოს საკითხი არ ყოფილა, თუმცა ფორუმის ჩატარების ადგილად თბილისის შერჩევა და ქვეყანაში მაღალი დონის სტუმრების ჩამოსვლა უდავოდ მრავლისმთქმელი ფაქტი გახლდათ.

ფორუმზე, ძირითადად, მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის ევროკავშირთან თანამშრომლობასა პერსპექტივებზე იმსჯელეს. თუმცა, საქართველოს მთავრობის წევრებმა დამოუკიდებლად გამართეს შეხვედრები მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის ხელმძღვანელ პირებთან. მიღწეულია შეთანხმება საქართველოსთვის ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სფეროში ახალი პროგრამების დაფინანსების შესახებ. ფორუმი, წინასწარ განსაზღვრული ფორმატის შესაბამისად, დახურულ რეჟიმში წარიმართა.

ფორუმს მისასალმებელი სიტყვით საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა მიმართა.

გაგრძელება A2 გვერდზე

გამარჯვება!

საქართველო-ჩეხეთი 75:10

"ბორჯღალოსნებმა" ანთიმოზ ივერიელის სახელობის თასს ერთა თასიც მიუმატეს.

ყურადღება!

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომლითაც უნდა შერჩეულიყო ყოველდღიური გაზეთი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ სატენდერო განცხადებების გამოსაქვეყნებლად, გაიმარჯვა გაზეთმა "24 საათმა".

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის **2005 წლის 11 მაისის N3 ბრძანების** თანახმად, აღნიშნული ცვლილება შევიდა "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების შესახებ" საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2001 წლის 15 ოქტომბრის №1 ბრძანებაში.

შესაბამისი ხელშეკრულებების გასაფორმებლად და სხვა დეტალების დასაზუსტებლად გთხოვთ, დაუკავშირდეთ გაზეთ "24 საათი"-ს რედაქციას:

ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული.

ტელ: 202404; 202424; 200024;
8 99 220 949.

ელ-ფოსტა: tender@24hours.ge

საკონტაქტო პირი - ირაკლი ლეჟავა

იურიდიული ოფისი „გაპი"
და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს,
რომლის მიზანსაც
წარმოადგენს
მოსახლეობისათვის
სამართლებრივი
დახმარება.

ამინდი

	13/06	14/06	15/06
თბილისი	26	25	31
ქუთაისი	27	23	26
ბათუმი	22	20	25
სოხუმი	26	23	26
ფოთი	25	22	26
თელავი	25	23	31
ზუგდიდი	27	22	27
გორი	23	20	24
ახმეტა	26	24	31
ჭიათურა	26	22	25
გაგრა	24	24	25
სამტრედია	27	23	27

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8201
ევრო	2.2260
გირვანქა სტერლ.	3.3222
რუბლი	0.0640

A

ამბები	A2
ამბები	A3
საზოგადოება	A4
უცხოეთი	A5
ეკონომიკა	A6
სამართალი	A7
პროექტი	A8

B

რევიუ	B2
რევიუ	B3
სპორტი	B4
სპორტი	B5
ტენდერი	B6
ტენდერი	B7
სხვადასხვა	B8

გაურკვევლობა საზღვართან

ვერიკო თევზაძე

ამ დღეებში "24 საათი" იუწყებოდა, რომ საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე ადამიანთა გატაცების შემთხვევებმა ბოლო თვეებში საშიში სახე მიიღო. საუბარი იყო საზვართან ახლოს მდებარე, ლაგოდეხის რაიონის სოფელ მაწამაზე, რომლის მცხოვრებნი საზღვარზე არსებულ განუკითხაობაზე საუბრობენ და ამის მიზეზად სასაზღვრო უწყების უნიათობას ასახელებენ. საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ პრობლემის თავიდათავი დაუდგენელი საზღვრებია.

მაწამის მოსახლეობის მტკიცებით, აზერბაიჯანელი ჯარისკაცები მაწამის მკვიდრთა საზღვარზე გადათრევასაც არ ერიდებიან. "24 საათთან" საუბრისას განსხვავებული პოზიცია გამოთქვა საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სახმელეთო საზღვრის დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსმა კორნელი სალიამ: **"გატაცება იმდენად არ ხდება, რამდენადაც საზღვარი არ არის აღნიშნული. ეს ხალხი უნებლიეთ გადადის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე და მათ მესაზღვრეები იჭერენ."**

სალიას თქმით, დეპარტამენტი ყველა დაკავებული მოქალაქის საქმეში ჩაერთო და ისინი გაათავისუფლა. კორნელი სალიას ბოლომდე არ სჯერა დაკავებული ქართველი მოქალაქეების გულწრფელობისა და კეთილსინდისიერებისა: **"გინახავთ ისეთი ვინმე, ვინც საკუთარ დანაშაულს აღიარებს?"** ასეთი ეჭვნარევი შეკითხვის ავტორი, მეორე მხრივ, ვერც იმ აზერბაიჯანელი მესაზღვრეების უცოდველობას ამტკიცებს, რომელთა მიერ წარმოდგენილ ოფიციალურ საბუთებში ქართველი მოქალაქეების მიერ საზღვრის დარღვევის ფაქტებია დაფიქსირებული. **"შესაძლოა, ისინიც სცოდავენ,"** - შენიშნავს სალია.

გაგრძელება A2 გვერდზე

გაკოტრებული ქალაქი

მრეწველობის ყოფილი ფლაგმანის წარსული, აწმყო და მომავალი

მაია მოსიაშვილი
რუსთავიდან

"იშვიათია ისეთი ქალაქი, რომელსაც ხნოვანებით მასზე უფროსი ბინადარნი ჰყავს. სწორედ ასეთია რუსთავი," - ამბობს 72 წლის რუსთაველი მწერალი და ჟურნალისტი გივი ჯახუა, რომელიც 18 წლის ასაკში, 1953 წელს ჩავიდა რუსთავში, ისევე როგორც ათასობით სხვა ქართველი ახალგაზრდა, მეტალურგიულ კომბინატში მუშაობის დასაწყებად.

თბილისიდან რამდენიმე კილომეტრში სრულიად დაუსახლებელი ტრამალის ქალაქად გადაქცევა საბჭოთა ხელისუფლებამ 1944 წელს დაიწყო, ანუ სამამულო ომის დასრულებამდე ერთი წლით ადრე. უზარმაზარი ტერიტორია, სადაც წლების მანძილზე მხოლოდ ერთი ადამიანი, რკინიგზის მეისრე ცხოვრობდა, რამდენიმე ათეულ წელიწადში ქვეყნის ინდუსტრიულ ცენტრად გადაიქცა და იქ მცხოვრებთა რიცხვმა 180 ათასს მიაღწია.

"1944 წელს საქართველოდან სამი ათასამდე ქართველი ახალგაზრდა მიავლინეს რუსეთისა და უკრაინის 17-მდე ქალაქის მეტალურგიულ ქარხნებში. 2 ათასი ახალბედა მუშა კი საქართველოს სხვადასხვა სამრეწველო რაიონებში დაიგზავნა საჭირო პროფესიის დასაუფლებლად. მათ 26-იანელებს ეძახდნენ, რადგან უმრავლესობა 1926 წელს იყო დაბადებული," - იხსენებს გივი ჯახუა. მას და კიდევ სხვა უამრავ რუსთაველს გასახსენებელი ბევრი აქვს, განსაკუთრებით

გაგრძელება A3 გვერდზე

მეგანგაშე

რუსუდან ამირეჯიბი

ყოველი ეპოქა ახალი ლექსიკური ერთეულებით ამდიდრებს ენას. ახალი რეალიების გაჩენა, სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების განვითარება, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, სოციალურ ღირებულებათა და ორიენტირთა გადაფასება, პიროვნული და საზოგადოებრივი ცნობიერების სტერეოტიპთა ცვლა ენაში აისახება, ვინაიდან ენა არსებობს და ვითარდება საზოგადოებაში. სამოქალაქო და კულტურული ცხოვრების გააქტიურება ზრდის ახალი სიტყვების რაოდენობასაც და გასაკვირი არ არის ბოლო წლებში ცხოვრების სხვადასხვა სფეროსთან დაკავშირებული ნეოლოგიზმების გაჩენა ჩვენს ენაში.

ლექსიკური ნეოლოგიზმის გაჩენა ნაკარნახევია ისეთი საგნის, მოვლენის, ცნების გადმოცემის აუცილებლობით, რომელიც მანამდე არ არსებობდა. ნეოლოგიზმი შეიძლება იყოს უცხო ენიდან ნასესხები ან კალკირებული ერთეული, ან ქართული სიტყვათწარმოების მოდელით შექმნილი ახალი სიტყვა. ის, სადაც ენას თავად მოეპოვება ახალი ცნების გადმოცემის საშუალებები, ცხადია, ამ საშუალების გამოყენება სჯობს სხვისი სიტყვის გადმოღებას. თუ ეს ახალი სიტყვა ლინგვისტურად წარმატებული გამოდგა, მაშინ მას მიიღებს ენობრივი კოლექტივი, დაამკვიდრებს მეტყველებაში და იგი ქართული ლექსიკური ფონდის ერთეულად იქცევა.

ერთ-ერთი ახალი ცნება, რომლისთვისაც ქართული ეკვივალენტის გამოძებნის საჭიროება სამოქალაქო საზოგადოების განვითარებამ გვიკარნახა, გახლავთ ინგლისური **whistleblower.** ეს სიტყვა თავად ინგლისურშიც შედარებით ახალია და ნიშნავს ისეთ ადამიანს, რომელიც სკანდალურად ააშკარავებს (სამთავრობო ან კერძო) ორგანიზაციის ხელმძღვანელობის ან თანამშრომელთა ერთი ჯგუფის უკანონო საქმიანობას, ბრალს სდებს მათ და განგაშს ტეხს მათი ქმედების გამო. ეს ადამიანი ამავე ორგანიზაციის თანამშრომელია და იგულისხმება, რომ ხელი მიუწვდება სათანადო ინფორმაციაზე. დანაშაულებრივ ქმედებად მიიჩნევა საზოგადოების ნდობის ღალატი, ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, მოსახლეობის უსაფრთხოების ან ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული ქმედება და სხვ. whistleblower-მა სამხილი შეიძლება მიაწოდის მედიას, მოწმედ წარდგეს სასამართლო პროცესზე ან, უბრალოდ, საჯაროდ განაცხადოს ამ საქმიანობის შესახებ. მისი ნაბიჯი შეიცავს რისკის ფაქტორს და მოითხოვს გამბედაობას, რის გამოც ინგლისურში ამ სიტყვას აქვს უაღრესად დადებითი კონოტაცია. whistleblower-ებს თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებათა გმირებს უწოდებენ. ქართულშიც შესაბამის სიტყვას არ უნდა ახლდეს უარყოფითი ელფერი, როგორც, მაგალითად, შემოთავაზებულ ვარიანტს - *ინფორმატორი*. გარდა ამისა, ამ ვარიანტის მიღებით, გაძნელდება ისეთი გამოთქმების თარგმნა, როგორებიცაა environmental (გარემოსდაცვითი) whistleblower ან nuclear (ბირთვული) whistleblower.

მე გთავაზობთ პოტენციურ სიტყვას ***მეგანგაშე.***, რომელიც ქართული ენისთვის ბუნებრივ ფორმას წარმოადგენს და უარყოფითი კონოტაცია არ ახლავს.

მოსაზრებები და თქვენეული ვარიანტები შეგიძლიათ მოგვაწოდოთ რედაქციის მისამართზე ან ავტორის ელექტრონულ ფოსტაზე - rusiko@caucasus.net.

საერთაშორისო ფორუმი თბილისში

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ᲔᲮᲚᲘ ᲒᲐᲚᲔᲪᲘᲚᲘᲐ ᲤᲝᲢᲝ

სტუმრებს შორის ნიდერლანდების პრემიერ-მინისტრი გერიტ ზალმი, საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორ-განმკარგულებელი როდრიგო დე რატო, მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტი შიგეუ კაცუ არიან.

ფორუმზე განსახილველი საკითხების ჩამონათვალი ასეთია: სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკში მიმდინარე პროცესები; ფისკალური რეგულირების პრობლემები; ევროკავშირის პერსპექტივა და მსოფლიო ბანკის როლი გაწევრიანების შემდეგ; საერთაშორისო სავალუტო ფონდის სტრატეგიული მიმოხილვა.

შეხვედრა მედიისთვის დახურულია.

"ეს შეხვედრა რეგიონულია და საქართველოს პრობლემებს არ შეეხება. თუმცა, იგი ხელს შეუწყობს იმ სტრატეგიის უკეთ შემუშავებას, რომელსაც მსოფლიო ბანკი და სავალუტო ფონდი საქართველოს დასახმარებლად ახორციელებენ. ფორუმი საშუალებას მოგვცემს, საქართველო და მისი ეკონომიკა უცხოელ სტუმრებს მრავალმხრივ გავაცნოთ," - ამბობს რომან გოცირიძე.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით კმაყოფილია. **"ყველაფერს დროულად და დროზე ადრეც ვიღებთ, მაგრამ ყველაზე მთავარი, რაც შეიცვალა საქართველოში, ის არის, რომ ჩვენ ამ დახმარებაზე დამოკიდებულნი, პრაქტიკულად, უკვე აღარ ვართ,"** - განაცხადა ზურაბ ნოღაიდელმა ფორუმის დაწყების წინ.

მიუხედავად იმისა, რომ თავად ფორუმზე საქართველოს თაობაზე არ უმსჯელიათ, ფორუმის დასრულების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე, ცხადია, მთავარი თემა საქართველო გახლდათ. პრესკონფერენციაზე საქართველოს მთავრობამ ფორუმის თავმჯდომარის - ნიდერლანდების ვიცე-პრემიერისა და ფინანსთა მინისტრის გერიტ ზალიმისგან, კორუფციასთან ბრძოლის გზაზე გადადგმული ნაბიჯებისა და ამ ნაბიჯების შედეგის - ბიუჯეტის შესრულებისა გამო, ქათინაურები მიიღო. ბრიფინგზე ითქვა, რომ ბოლო წლის განმავლობაში საქართველოში პროგრესი სახეზეა, თუმცა უცხოელ სტუმრებს საქართველოს ხელისუფლებისთვის იმის შეხსენებაც არ დავიწყნიათ, რომ გაკეთებული საკმარისი სულაც არ არის - **"საჭიროა რეფორმების გაგრძელება. მათ შორის, სასამართლო რეფორმის განხორციელება..."** - ასეთი იყო გუშინდელ პრესკონფერენციაზე გაჟღერებული "მესიჯი".

რაც შეეხება საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებებს საქართველოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით - ექსკლუზიურ ინტერვიუს სსფ-ს მმართველ დირექტორთან როდრიგო დე რატოსთან "24 საათი" სამშაბათს, ანუ ხვალ შემოგთავაზებთ.

გაურკვევლობა საზღვართან

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

საზღვრის დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლის განცხადებით, ხსენებულ პრობლემასთან დაკავშირებით მათ სისტემატური შეხვედრები აქვთ აზერბაიჯანელ კოლეგებთან. თუმცა ფაქტია, რომ ამ შეხვედრებს ჯერჯერობით სასიკეთო შედეგი ვერ მოაქვს. სალიას ინფორმაციით, მსგავსი შეხვედრა საქართველოსა და აზერბაიჯანის სასაზღვრო უწყების წარმომადგენელთა შორის, სავარაუდოდ, ივნისის ბოლოს ან ივლისის დასაწყისში შედგება.

როგორც "24 საათს" პარლამენტის თავდაცვის და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ნიკოლოზ რურუამ განუცხადა, იგი აზერბაიჯანის საზღვარზე ქართველი მოქალაქეების გატაცების შესახებ ინფორმაციას არ ფლობს: **"ჩვენ ოპერატიული სამსახურები არ გაგვაჩნია და ამ ფაქტების შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება."**

რურუას განმარტებით, ისეთი სერიოზული პრობლემის მიმართ, როგორიცაა დელიმიტაციის და დემარკაციის არარსებობა, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის მიხედვით, განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება საზღვრის დაცვის დეპარტამენტს ევალება.

კორნელი სალიას ჩვენთან საუბარი იქითკენ მიგვანიშნებდა, რომ დაუდგენელი საზღვრების პრობლემის სირთულე საზღვრის დაცვის დეპარტამენტის შესაძლებლობებს აღემატება. სალიას განცხადებით, პრობლემის საბოლოოდ მოგვარება ისევ და ისევ დელიმიტაციას და დემარკაციას უკავშირდება. **"დელიმიტაციის და დემარკაციის აუცილებლობაზე რამდენიმეჯერ მივმართეთ როგორც ძველ, ისე ახალ ხელისუფლებას. საგარეო საქმეთა სამინისტრო ამ საკითხზე მუშაობს, მაგრამ მოგეხსენებათ, ეს ორ ქვეყანას შორის მოლაპარაკებების და საზღვრის დადგენის ურთულესი პროცესია,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას სალიამ.

ფაქტია, რომ მოუწესრიგებელი საზღვრებით და სადავო მონაკვეთების არსებობით აზერბაიჯანელი მესაზღვრეები შესანიშნავად სარგებლობენ. როგორც "24 საათი" ამ დღეებში იუწყებოდა, აზერბაიჯანის საზღვართან მდებარე მაწამის მოსახლეობა აცხადებს, რომ თუ საქართველოს ხელისუფლებამ მეტი პასუხისმგებლობა არ გამოიჩინა, საზღვრის ამ მონაკვეთზე შეიძლება სისხლი დაიღვაროს.

ვარია მკრტჩიანის თავისუფლების ველი

ზაზა ფაჩუაშვილი

ამ შემთხვევაში სახელმწიფო არაფერ შუაშია. ის პატიოსნად უხდის კუთვნილ პენსიას ვარია მკრტჩიანს, რომელიც, თავის მხრივ, სულაც არ ემდურის რევოლუციურ მთავრობას. ზის თავისთვის გაზონზე ვაზისუბნის დასაწყისში და იმის დარდი აქვს, როგორ დააღწიოს თავი ერთ შემოჩენილ ბერიკაცს.

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

ქალბატონი ვარია, რომლის ქალიშვილობის გვარი მკრტჩიანია, იმ გაზონზე არა მარტო ზის, არამედ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ცხოვრობს კიდეც, თუმცა მის მდგომარეობაში ჯდომა და ცხოვრება სრული სინონიმებია. ქუჩის ლამპიონის ჩაქრობიდან მის ანთებამდე იგი ძონძის ქოხის წინ პატარა სკამზე ჯდება და ცხოვრობს. ეს არის მისი თავისუფლების ველი ყოველგვარი წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის გარეშე. იმ აბეზარ ბერიკაცს კი, არ გეგონოთ, არშიყობის ცეცხლი წვავდეს. აი, რა გვიამბო ქალბატონმა ვარიამ:

- ჩემმა ბიჭმა "გირავნოით" გაუშვა ჩვენი ბინა და ველარ გამოისყიდა. იქ ეხლა ლტოლვილები ცხოვრობენ. ის ქალი ეუბნება, მე მაშინ აქედან წავალ, როცა თქვენ გადაიხდით ჩემი ფული. ეხლა ჩვენ ფული არა გვაქვს, რო გადავიხადოთ. ჩემი ბიჭი მალიარია, რო რაღაცა გააკეთოს, რო მივცეთ მაგათ თავის ფული.

- სად ცხოვრობდი?

- მე პლეხანოვზე ვცხოვრობდი. პირდაპირ ფოსტაა. იქ ფოსტაშიც მიმუშავნია. მელიქიშვილის 19-ში წიგნების მაღაზიაში გამყიდველად მიმუშავნია.

- აქ საიდან მოხვდი?

- თავიდან ტყეში ვცხოვრობდი...

- როგორ?

- როგორ და ეგრე, მე და ხეები.

- რომელ ტყეში?

- როგორ გითხრა, აი, ზევით არის, რა. მერე ერთმა ბერიკაცმა მითხრა, ცოდო ხარ საშიშიაო და აქ მომიყვანა. აი, ხარა-ხურა მიყრიაო, გაწმინდე და იცხოვრეო. მეც ვცხოვრობ, უკვე ერთი წელია.

- კი, მაგრამ აქ როგორ ცხოვრობ?

- ა, ესე, როგორც უყურებ.

- ზამთარი აქ გაატარე?

- აქ გავატარე, ვაი იმ გატარებას.

- ცეცხლს სად ანთებდი?

- ცეცხლი არა, ისე გავატარე

- ავად არ გახდი?

- არა, ვირთხებმა მომკლეს. ვაიმეე, სულ თავზე გადადიან. დავაბრახუნებ, რო წავიდნენ და ხეზე ნაჭრებს ვიფარებ, რო არ მიკბინონ, მაინც მოდიან. არა მძინავს, შვილო, არა მძინავს.

- წვიმა რომ მოდის?

- წვიმაც ჩამოდის და თოვლიც. ხო ხედავ, ყველაფერი სველია. გამომაქ და ვაშრობ.

- რას ჭამ?

- ხან მშიერი ვარ, ხან მაძღარი, აი, ხალხი მაძლევს თითო ლუკმას.

- შენი ბიჭი სად ცხოვრობს?

- რა ვიცი, ხან სად, ხან სად. აქ რო მოდის ვერ ვაძინებ, არ ეტევა.

- სხვა შვილები არა გყავს?

- როგორ არა, ერთი ბათუმშია გათხოვილი, მეორე გოგო ამერიკაშია.

- მერე არ იციან შენი ამბავი?

- როგორ არ იციან. იმან ამერიკიდან თქვა, ფულს გამოვაგზავნი და მოხუცებულთა სახლში წაიყვანეთო. არც მაგისი ფული მინდა და არაფერი.

- ნათესავები არა გყავს?

- აქ არა, სოფელში მყავს. იქ ერთ სარაიაში ჩვენი "ვეში" დგას.

- რომელი სოფელია?

- ეხლა ველარ ვიხსენებ.

- მერე, არ გირჩევნია სოფელში წასვლა?

- ეხლა ის ბერიკაცი მეუბნება, გადი აქედან, მე "საპოჟნიკობა" უნდა გავაკეთოო. ვეუბნები, კაცო სად წავიდე!..

- მერე, რაო?

- წადიო. თუ გამაგდო, ჩემ ბიჭს უნდა უთხრა, რო სოფელში წამიყვანოს. იქ სარაიაში ვიცხოვრებ.

- რამდენი წლის ხარ?

- ოთხმოცის.

- ფოტო გადაგიღო?

- აბა, რა. ავდგე, შვილო?

ორი სიტყვით

თბილისი. საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტსა და ეუთოს შორის 13 ივნისს თანამშრომლობის ოქმი გაფორმდება, რომელიც ქართველი მესაზღვრეებისთვის ერთწლიანი ტრენინგების ჩატარებას ითვალისწინებს. "ლილოს" სასწავლო ცენტრში ოქმს ხელს მოაწერენ დეპარტამენტის თავმჯდომარე ბადრი ბინაძე და ეუთოს სასწავლო პროგრამების მენეჯერი რორი მაკკორლი. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

თბილისი. სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის წარმომადგენელი ქართულ-ოსური ურთიერთობის საკითხებში ვაჟა ხაჭაპურიძე ამ საქმიანობისთვის თავის დანებებას აპირებს. როგორც მან განაცხადა, 13 ივნისს ის თბილისში ჩამოსვლასა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილთან შეხვედრას აპირებს. საუბრის თემა მის ამჟამინდელ სამსახურთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება იქნება. "რა აზრი აქვს აქ მუშაობას, თუკი არავინ გისმენს?" - აცხადებს ვაჟა ხაჭაპურიძე. **მედიანიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საერთაშორისო კონფერენცია "საქართველოს მთავრობის ინიციატივა სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებასთან დაკავშირებით" დაბა ჩაქში 9-10 ივლისს გაიმართება. კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო ორგანიზაციების, სახელისუფლებო სტრუქტურების, ქართული და ოსური არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. კონფერენციის ორგანიზატორები არიან ფრიდრიხ ებერტის ფონდი და საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა კომისია. კონფერენციაზე განხილული იქნება ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის, ეკონომიკური რეაბილიტაციის პროგრამა, კანონპროექტი რესტიტუციის შესახებ, დევნილთა დაბრუნების პრობლემატიკა და სხვა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოში ვიზიტით მყოფი, აშშ-ს ჯორჯიის შტატის ეროვნული გვარდიის სარდალი, გენერალ-მაიორი დევიდ პოატრისი საჩხერეში იმყოფებოდა, სადაც სამთო-მომზადებისა და სპორტული კომპლექსების მშენებლობა დაათვალიერა. მას თან ახლდა საქართველოს ეროვნული გვარდიის სარდალი სოსო ქუთათელაძე. აღნიშნული კომპლექსი საჩხერის სამთო-მსროლელი ბატალიონის ბაზაზე ამოქმედდება და მასში, ყაზარმების გარდა, სასტუმროც შევა. აქ პერიოდულად 200-მდე სამხედრო გაივლის მომზადებას. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

გარდაბანი. გარდაბნის გამგეობის წინ, თანატოლის მკვლელობის ბრალდებით, პოლიციელებმა დააკავეს გარდაბანში მცხოვრები, 22 წლის გიორგი გოშთელიანი. შს სამინისტროს ცნობით, ბრალდებულმა გარდაბნის გამგეობის წინ, პარკში, ურთიერთშელაპარაკებისას დანის გულში დარტყმით მოკლა თბილისელი ლაშა დევდარიანი. გოშთელიანისგან დანა ამოღებულია. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

დუშეთი. დუშეთის რაიონის პოლიციელებმა, მეზობლის მკვლელობის ბრალდებით, დააკავეს ამავე რაიონის სოფელ ფუძნარის მკვიდრი, 40 წლის მინდია იარაჯული. შს სამინისტროს ინფორმაციით, 30 წლის ჯიმშერ ბუჯიაშვილი ბრალდებულმა ურთიერთშელაპარაკებისას თოფიდან გასროლით მოკლა. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

თბილისი. სამართალდამცავებმა დააკავეს საშიში რეციდივისტი, ექვსჯერ ნასამართლევი, 62 წლის ელდარ მურსაგულოვი, მეტსახელად "ვერანი" და თბილისში, გოძიაშვილის ქუჩაზე მცხოვრები 45 წლის ნარკომოვაჭრე ცისანა ანდღულაძე, რომელსაც ნარკოტიკებით მურსაგულოვი ამარაგებდა.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, თბილისში მცხოვრებმა ა.ბ-მ ნებაყოფლობით წარმოადგინა 2 "ჩეკად" დაფასოებული 0, 748 გრამი ოპიუმი და სამართალდამცავებს განუმარტა, რომ აღნიშნული ნარკოტიკი "საარბრიუკენის" მოედანზე ვინმე "ცისანასაგან" შეიძინა – 1 "ჩეკი" 50 ლარად.

გატარებული ღონისძიების შედეგად დააკავეს ცისანა ანდღულაძე, რომელსაც სარეალიზაციოდ გამზადებული დიდი ოდენობით 13 "ჩეკი" – 3,720 გრამი ოპიუმი აღმოაჩნდა.

იმავე დღეს სამართალდამცავებმა ანდღულაძის ნარკოტიკებით მომმარაგებელი, ვარკეთილში დროებით მხცოვრები ელდარ მურსაგულოვი დააკავეს, რომელსაც 6 "ჩეკი" – 4,199 გრამი ოპიუმი აღმოაჩნდა. მისი დროებითი საცხოვრებელი ბინიდან კი განსაკუთრებით დიდი ოდენობით ოპიუმი ამოიღეს - 33 გრამი. **პრაიმ-ნიუსი**

შ.პ.ს."აჭარის ენერგოკომპანია" , ფილიალების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, აცხადებს აუდიტორული ფირმების შესარჩევ კონკურსს: კომპანიას ესაჭიროება ფილიალების სალიკვიდაციო ბალანსების შედგენა(კომპილაცია).
dato.gogichaishvili@aec.ge

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ქვედანაყოფების თანამშრომელთა მხრიდან თქვენი უფლებების შელახვის ან კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა შემთხვევაში დაგვიკავშირდით სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე:
98-57-81

"საერთაშორისო იურიდიული ოფისი გაპი" აფუძნებს ფილიალს ქ. ბათუმში და აცხადებს კონკურსს ფილიალის მენეჯერისა და ადვოკატის თანამდებობებზე.
პირობები:
1. უმაღლესი იურიდიული განათლება;
2. ადვოკატის სერტიფიკატი;
3. ავტობიოგრაფია (CV);
4. ასაკი 27 წლამდე;
5. დახასიათება უმაღლესი სასწავლებლიდან ან ბოლო სამუშაო ადგილიდან;
6. ერთ-ერთი უცხო ენის ცოდნა.
საბუთების შემოტანის ვადაა 2005 წლის 15 ივნისამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, წერეთლის გამზ.: N77 "საერთაშორისო იურიდიული ოფისი გაპი". ტ. 34 76 58

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

კონკურსში მონაწილეთა საყურადღებოდ

ნანა ქადაგიძვილი

თბილისის მერიაში საგამოცდო ციებ-ცხელება ივლისში დაიწყება. საურველ თანამდებობაზე განცხადების შეტანა კი ივნისის ბოლოს შეგეძლებათ. ქალაქის ადგილობრივი თვითმმართველობა კონკურსს 800 ვაკანსიაზე აცხადებს. ვაკანსიები და მასალა, რის მიხედვითაც ტესტები შედგება, ამ თვის ბოლოს გამოქვეყნდება.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მერიაში უნდა წარადგინოთ შემდეგი საბუთები: წერილობითი განცხადება კომისიის თავმჯდომარის (ზურაბ ჭიაბერაშვილის) სახელზე, ავტობიოგრაფია, განათლების მოწმობა, შრომის წიგნაკი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ორი ფოტოსურათი. აღნიშნული საბუთების ჩაბარების შემდეგ მიიღებთ სარეგისტრაციო ფურცელს, რომლის გარეშეც კანდიდატი ტესტირებაზე არ დაიშვება.

80 კითხვისა და შესაბამისი სავარაუდო პასუხებისგან შემდგარი საგამოცდო ტესტები ორ ნაწილად იყოფა. პირველი ნაწილი კონკურსანტის სამართლებრივ ცოდნასა და კომპიუტერთან მუშაობის ჩვევებს ადგენს, მეორე ნაწილი კი – მის ლოგიკურ და ანალიტიკურ აზროვნებას. ტესტური გამოცდის მაქსიმალური შეფასება (უნარ-ჩვევების ტესტის გარეშე) 50 ქულაა.

პირადობის მოწმობისა და კონკურსის მონაწილის სარეგისტრაციო ფურცლის გარეშე გამოცხადებულ, ან დაგვიანებულ კონკურსანტს გამოცდაზე არ დაუშვებენ. ტესტირების ხანგრძლივობა ოთხი საათი იქნება. თუკი კონკურსანტი ამ დროს გადააცილებს, მას 0 ქულით შეაფასებენ. ასეთივე შეფასებას მიიღებს ის, ვისაც "შპარგალკას" აღმოუჩენენ.

ტესტირებაზე მეთვალყურეებად საკრებულოს წევრებიც დაიშვებიან. დამკვირვებელთა რაოდენობა სამს არ უნდა აღემატებოდეს. თანაც, თუკი რომელიმე მათგანი კონკურსანტის დახმარებას მოინდომებს, დარბაზიდან დაითხოვენ.

თუ გამოცდის შედეგებით კმაყოფილი არ იქნებით, შეგიძლიათ საპრეტენზიო კომისიაში გაასაჩივროთ.

დაბოლოს, რაც ყველაზე მთავარია, ქალაქის მერი გვპირდება, რომ კონკურსი გამჭვირვალედ და ობიექტურად ჩატარდება.

ბელორუსი საქართველოსთან სავიზო რეჟიმის შემოღების საკითხს დაუბრუნდება

ბელორუსის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი მარტინოვმა განაცხადა, რომ პრეზიდენტის მოქმედებას არასწორი ინტერპრეტაცია მისცეს. მინისტრი აცხადებს, რომ ბელორუსის პრეზიდენტს არ მიუღია არავითარი გადაწყვეტილება საქართველოსთან სავიზო რეჟიმის შემოღების შესახებ. თუმცა, მარტინოვი არ გამორიცხავს, რომ ბელორუსი ამ საკითხს დაუბრუნდება.

მისივე თქმით, ლუკაშენკომ საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სამართალდამცავ ორგანოებს ნება დართო, საქართველოსთან ურთიერთობა განიხილონ და, აუცილებლობის შემთხვევაში, ეროვნული უსაფრთხოების დასაცავად ზომები მიიღონ.

"როიტერი" ავრცელებს ინფორმაციას, რომ მინსკი შეშფოთებულია ქართველ ლიდერთა განცხადებებით, რომლებიც მხარს უჭერენ ბელორუსის ოპოზიციას, და უფრთხის "რევოლუციის ექსპორტს" საქართველოს ტერიტორიიდან.

ოფიციალური მინსკი იტყობინება, რომ უნდა გამოვიდეს 1992 წელს ბიშკეკში ხელმოწერილი შეთანხმებიდან, რომელიც დსთ-ს ქვეყნებს შორის უვიზო რეჟიმს ეხება. ამას ხსნის თავისი საშინაო პოლიტიკის შეთანხმების აუცილებლობით მოკავშირე რუსეთთან, რომელმაც 2001 წელს შემოიღო სავიზო რეჟიმი საქართველოსთან.

ჯი-ეიჩ-ენი

ქონებრივი დეკლარაციები, ძირითადად, ძალოვანებმა არ შეავსეს

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროში 2005 წლის 1 აპრილიდან 1 ივნისამდე ქონებრივი დეკლარაცია 102 თანამდებობის პირს არ წარუდგენია.

აღსანიშნავია, რომ ამ 102 საჯარო მოხელის სიაში უმთავრესად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, რაიონული გამგეობებისა და საკრებულოების წარმომადგენლები არიან. ამ მხრივ, მოწესრიგებული აღმოჩნდა თანამდებობის 1579 პირი.

ქონებრივი დეკლარაციების შევსების წესის დამრღვევთა საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში გადაიგზავნება, სადაც მათი დაჯარიმებისა და დეკლარაციის დაუყოვნებლივ შევსების საკითხი გადაწყდება.

იმ თანამდებობის პირთა სია, რომლებმაც კანონით გათვალისწინებულ ვადაში არ წარადგინეს ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის დეკლარაცია, იუსტიციის სამინისტროს ინტერნეტ-გვერდზე გამოქვეყნდა.

მედიანიუსი

დანაშაული თუ "შავი პიარი"?

ᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲕᲠᲓᲘᲓᲐᲜ

მოსამართლეს არაობიექტურობაში ადანაშაულებენ

სკანდალი გასული კვირის ბოლოს დაიწყო და ლაგოდეხის სასაზღვრო ნაწილში ოთხ აჭარელ ჯარისკაცზე განხორციელებულ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზეწოლას უკავშირდება. რეგიონის საოლქო პროკურატურამ, თავდაპირველად, პასუხისგებაში მისცა სამხედრო ნაწილის მეთაური რამაზ თურმანიძე. გაცილებით ხმაურიანი აღმოჩნდა სასაზღვროს პირველი სექტორის უფროსის ალექსანდრე მაჭარაშვილის დაპატიმრება. მას ბრალად ედება რიგითი ჯარისკაცის ვაჟა დოლიძის ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფა. დზარალებულსა და დანაშაულში ეჭვმიტანილს შორის დაპირისპირება თელავის პოლიციაში შედგა და ორ საათს გაგრძელდა. მაჭარაშვილმა დანაშაული არც ამის შემდეგ აღიარა. დაპირისპირებიდან გამოსულმა ვაჟა დოლიძემ კი განაცხადა, რომ არავის უჩიოდა, ხოლო მეთაურს იგივე გაუმეორა, რაც აჭარის სახალხო დამცველის აპარატში ახსნა-განმარტებაში დაწერა. დაპირისპირებიდან დოლიძე ნამტირალევი გამოვიდა, რის საფუძველზეც გავრცელდა ინფორმაცია, რომ დოლიძესა და მაჭარაშვილს შორის საუბარი მეტად დაძაბულად წარიმართა.

დაპირისპირებიდან რამდენიმე საათში სასამართლო პროცესი შედგა. კახეთის საოლქო პროკურატურის მთავარი გამომძიებელი ხვიჩა კიკილაშვილი და საქმის პროკურორი გია ჭანტურია მოსამართლისგან მაჭარაშვილის მიმართ წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შეფარდებას ითხოვდნენ, მოტივი - მან მძიმე დანაშაული ჩაიდინა და თავისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში, შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს მოწმეებზე და დზარალებულებზე, ამით კი ახალი დანაშაული ჩაიდინოს. ეჭვმიტანილების ადვოკატები ბრალდებას არ ეთანხმებოდნენ, რადგან, მათი მტკიცებით, მაჭარაშვილს სისხლის სამართლის დანაშაული არ ჩაუდენია.

გამოძიების სასაზღვრო სექტორის უფროსისთვის აღმკვეთი ღონისძიების შესაფარდებლად საკმარისი მტკიცებულება არ აღმოაჩნდა. პროკურატურის წარმომადგენლებმა მოსამართლეს და დანაშაულში ეჭვმიტანილის მხარეს ექსპერტიზის ის დასკვნაც ვერ წარუდგინეს, რომელიც დაადასტურებდა, რომ ვაჟა დოლიძე ნამდვილად ნაცემი იყო. ამის გამო, ალექსანდრე მაჭარაშვილის ადვოკატები ითხოვდნენ, რომ პროკურატურის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილებულიყო და სასამართლოს ალექსანდრე მაჭარაშვილის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა შეეწყვიტა. თელავის სასამართლოს მოსამართლემ ნათელა ჯაშიაშვილმა კი ოლქის პროკურორის შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

ბრალდებულის ადვოკატმა ომარ ქარეიშვილმა მოსამართლეს გააცნო დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებდა, რომ დაზარალებულის მიერ მითითებულ ცემის დღეს მაჭარაშვილი სამხედრო ნაწილიდან 30 კილომეტრის მოშორებით ბლოკ-საგუშაგოზე მორიგეობდა. მოსამართლემ ეს არგუმენტები არ გაიზიარა.

პროცესის დასრულებისას ალექსანდრე მაჭარაშვილის მეორე დამცველმა რევაზ მოდებაძემ სკანდალური განცხადება გააკეთა: **"პროკურატურის საქმეში არ იყო არანაირი მტკიცებულება, რათა მაჭარაშვილისთვის აღმკვეთი ღონისძიება შეეფარდებინთ. საერთოდ, გამოძიება არაობიექტურად და ტენდენციურად ჩატარდა. ფაქტობრივად, გაზიარებულია მხოლოდ დაზარალებულის ჩვენება. ამ ყველაფერს, ჩემი აზრით, აპოლიტიკური დატვირთვა აქვს."**

მოსამართლის არაობიექტურობაზე საუბრობენ კახეთში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელები. ისინი მიიჩნევენ, რომ მოსამართლე ნათელა ჯაშიაშვილმა პროკურორის გიორგი ჭანტურიას პოზიცია გაიზიარა. ამის გამო, მესამე სექტორის წარმომადგენლები მოითხოვენ, რომ **"ხელისუფლებამ და სასამართლომ თვალში ნაცრის შეყრის ნაცვლად, პატივი სცეს კანონს და შეურაცხყოფილ საზოგადოებას."**

არასამთავრობოები მომხდარში გენერალურ პროკურორს ადანაშაულებენ

პოლიტიკურ დაკვეთაზე საუბრობს ლაგოდეხის მაჟორიტარი დეპუტატი ლაშა ნაცვლიშვილი. მას მიაჩნია, რომ ალექსანდრე მაჭარაშვილის დაკავება შიდასახელისუფლებო ინტრიგებს უკავშირდება. **"სახელმწიფოში ხდება პასუხისმგებლობის დიფერენციაცია, ანუ ერთსა და იმავე ქმედებაზე პასუხს აგებს მხოლოდ ერთი. ეს ადამიანს აფიქრებინებს, რომ ამ საქმით კონკრეტული პირები არიან დაინტერესებული. მე ხმამაღლა შემიძლია ვთქვა, რომ მაჭარაშვილი შიდასახელისუფლებო გარჩევის მსხვერპლია,"** - აცხადებს დეპუტატი ლაშა ნაცვლიშვილი.

კახეთში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები კი მიიჩნევენ, რომ ლაგოდეხის სასაზღვრო ნაწილში მომხდარი ინციდენტი ბადრი ბინაძის და ნინო ბურჯანაძის წინააღმდეგ აგორებული შავი პიარია. ამ ყველაფრის უკან ისინი ძმებ ადეიშვილებს ასახელებენ. **"მიუხედავად სიჩუმისა, აღმოჩნდა, რომ ყოველივე კარგად იქნა გამოყენებული საზღვრის დაცვის დეპარტამენტის უფროსის ბადრი ბინაძის და მისი მეუღლის ნინო ბურჯანაძის წინააღმდეგ, რაც, როგორც რეგიონის მოსახლეობა საუბრობს, გენპროკურორის ზურაბ ადეიშვილის და მისი ძმის, დავით ადეიშვილის არალეგალურ ბიზნესს უკავშირდება, კერძოდ - საწვავის, ჯართის და ფრადი ლითონის ბიზნესს. ასეთი ტვირთების მოძრაობისას, ხშირად, სასაზღვროს ჯარისკაცების მხრიდან ადეიშვილებს პრობლემები ექმნებოდათ. არასამთავრობო ორგანიზაციები მზად ვართ, ყველას ინტერესები დავიცვათ და უკან არ დავიხევთ,"** - აცხადებენ "კახეთის არასამთავრობო ორგანიზაციათა კლუბის" წევრები გელა მთივლიშვილი და თინიკო ფხოველიშვილი.

რიგითების ჩვენებები და დაპირისპირება მეგობარ ჭარისკაცებს შორის

ჯარისკაცები დღესაც ამბობენ, რომ ინფორმაცია, თითქოს მათ ვინმეს ფული გადაუხადეს, რეალობას არ შეესაბამება. **"სანამ ლაგოდეხის სასაზღვრო ნაწილში მოვხვდებოდი, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლა ლილოში მიწევდა. რატომ მაშინ არ ვამბობდი, რომ ჩემი ეროვნულობის გამო მავიწროებდნენ? ან რა თანხაზეა საუბარი? მე რომ 1000 ლარი მქონოდა, განა ასე გამიხდებოდა საქმე, ფულს გადავიხდიდი და სამხედროსაც თავს დავაღწევდი. ან რატომ უნდა გადაგვეხადა ფული, როცა რამდენიმე თვეღა დაგვრჩა მოსახდელი?"** - კითხულობს რიგითი არჩილ კუტალაძე და იქვე იმასაც აღნიშნავს, რომ ის 39 აჭარელი ჯარისკაცი, რომლებიც ამ დროისთვის ნაწილში დარჩნენ, მკაცრ რეჟიმში იმყოფებიან.

საპირისპიროს ამბობენ ნაწილში მომსახურე სხვა ჯარისკაცები. ისინი მომხდარს სირცხვილად აღიქვამენ და ხელისუფლებას გონიერებისკენ მოუწოდებენ. აჭარელი გელა გაგნიძე და კახა მოდებაძე თითქმის ერთი წელია, რაც ლაგოდეხის სასაზღვრო ნაწილში მსახურობენ და ვაჟა დოლიძის მეგობრები არიან. ისინი ამბობენ, რომ დოლიძემ სახალხო დამცველს ცრუ ახსნა-განმარტება დაუწერა. **"მე თამამად ვიტყვი იმას, რომ მეთაურები უკეთესად არ ექცევიან კახელებს, ვიდრე აჭარლებს. ვაჟა დოლიძეს კი იმდენად ახლოს ვიცნობდით, რომ ოჯახური მიმოსვლაც კი გვქონდა ერთმანეთთან. რაში დასჭირდა მას ასეთი განცხადებების გაკეთება, არ ვიცი. მას ძმაკაცებთან ნათქვამი ჰქონდა, რომ სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდას აჭარაში აპირებდა, საქმეც "ჩაიწყო" და ოთხასი დოლარი გადაიხადა. რაც შეეხება კუტალაძეს, მას თავისტკივილები ამ ნაწილში გადმოსვლამდე ჰქონდა. ამას კი იმით ხსნიდა, რომ იგი ბათუმში ყოფნისას მოტოციკლეტიდან გადმოვარდა,"** - ამბობენ რიგითები გელა გაგნიძე და კახა მოდებაძე. ჯარისკაცები იმაზეც საუბრობენ, რომ ეგრეთ წოდებული მოწმე შანიძე, რომელიც გამოძიებას აძლევს ჩვენებას, თითქოს იგი დოლიძის ცემის თვითმხილველია, დასახელებულ რიცხვში შვებულებით ბათუმში იმყოფებოდა.

ვაჟა დოლიძე მეგობრების ამ ნათქვამს უარყოფს. **"ჩვენ საერთოდ არ გვინდოდა ამ ამბის გახმაურება, მაგრამ როდესაც სახალხო დამცველის წარმომადგენელს მივმართეთ, გვითხრა, რომ ეს საქმე არ უნდა მიჩქმალულიყო. მე კიდევ ვიმეორებ, რომ არავის არ ვუჩივი. რაც შეეხება ალექსანდრე მაჭარაშვილს, მან ნამდვილად მცემა, როცა შვებულებიდან ნაწილში დაგვიანებით დავბრუნდი. იგი ამის გამო სპეციალურად საგუშაგოზე ამოვიდა. მართალია, მე ვეუბნებოდი, რომ ავად ვიყავი, ამის ცნობაც კი ჩავიტანე, მაგრამ მან მაინც ცემა დამიწყო და ამის შემდეგ იძულებული გავხდი, რომ კვლავ მიმეტოვებინა ნაწილი. რაც შეეხება ჩემი მეგობრების ნათქვამს, მათ სხვა გზა არა აქვთ, რასაც მეთაურები ეტყვიან, ის უნდა გაიმეორონ,"** - ამბობს რიგითი ვაჟა დოლიძე.

სასაზღვრო ნაწილის მეთაური ხელს ბათუმის გარნიზონის კომენდანტისკენ იშვერს

ალექსანდრე მაჭარაშვილის ადვოკატებმა მოსამართლე ნათელა ჯაშიაშვილის გადაწყვეტილება თელავის რაიონულ სასამართლოში გაასაჩივრეს. სასაზღვრო ნაწილის მეთაური ბესიკ ზურაბიშვილი კი აცხადებს, რომ მის წინააღმდეგ აგორებული შავი პიარის თავიდათავი ბათუმის სამხედრო გარნიზონის კომენდანტი, ვიცე-პოლკოვნიკი გოჩა ნინიძეა. **"ეს ადამიანი ყოველთვის იმას აკეთებდა, რისი უფლებაც არა აქვს. იგი თავის ჭკუაზე ისე უვადებდა ჯარისკაცებს შვებულებას, რომ ტელეფონოგრამასაც არ გზავნიდა. ისიც კი მკითხა, როგორ შეიძლებოდა მათი აჭარაში გადაყვანა. მე კი მას დახმარება ვერ აღმოვუჩინე, რადგან მის მიერ შემოთავაზებული წინადადება კანონსაწინააღმდეგო იყო,"** - ამბობს სასაზღვრო ნაწილის ოფიცერი ზურაბიშვილი. საპირისპიროს აცხადებს ბათუმის სამხედრო გარნიზონის კომენდანტი გოჩა ნინიძე. მისი თქმით, იმის გამო, რომ ნაწილში მსახურობის დროს სამხედროებს ჯანმრთელობა გაუუარესდათ, მან შვებულებაში მყოფ ჯარისკაცებს, კანონის თანახმად, ვადა გაუგრძელა. გოჩა ნინიძე მის მიმართ წაყენებულ პრეტენზიებს კატეგორიულად უარყოფს. მისი თქმით, ჯარისკაცებს შვებულებებს საქართველოს შეიარაღებული ძალების წესდების თანახმად უგრძელებდა. კომენდანტი გოჩა ნინიძე ბესო ზურაბიშვილს ასეთ მუქარას უთვლის: **"სრული აბსურდია, რაშიც ბესო ზურაბიშვილი მადანაშაულებს. მე საქართველოს შეიარაღებული ძალების წესდების თანახმად ვმოქმედებდი. გარნიზონის კომენდანტს უფლება აქვს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ჯარისკაცი ან მისი ოჯახის წევრი შეუძლოდ არიან, მოახდინოს გადავადება. თუ ჩემი არ გჯერათ, როგორც უკვე გითხარით, გადაავლეთ თვალი საორგანიზაციო საყარაულო წესდებას და ნახავთ, რისი უფლება აქვს კომენდანტს. რაც შეეხება იმას, რომ თითქოს სამხედროები მე რაიმე თანხას მიხდიდნენ, ესეც აბსურდია. დოკუმენტაციას და ჩემს სიმართლეს ზურაბიშვილს ბაღრი ბინაძესთან და ირაკლი ოქრუაშვილთან ერთად დავუმტკიცებ,"** - ამბობს გოჩა ნინიძე.

დამნაშავის დასჯას ითხოვენ

სახალხო დამცველის მოადგილე ბაჩო ახალაია ზურაბიშვილის პასუხისგებაში მიცემას ითხოვს. ომბუდსმენის მოადგილეს პრეტენზიები აქვს, აგრეთვე, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარესთან, ბადრი ბინაძესთან. ბაჩო ახალაია ბადრი ბინაძეს ლაგოდეხის სასაზღვრო ნაწილში ჯარისკაცების წინააღმდეგ ჩადენილი ქმედებების მიჩქმალვაში ადანაშაულებს.

თავად ბადრი ბინაძე ვითარების გასარკვევად სამხედრო ნაწილში ჩავიდა. მან განაცხადა, რომ ატეხილი აჟიოტაჟი წმინდა წყლის პროვოკაციაა. **"აჟიოტაჟის საფუძველი არ არსებობს. მე არ ვიცი, რა მტკიცებულებები აქვს პროკურატურას, მაგრამ იმედი მაქვს, რომ გამოძიება კვალიფიციურად ჩატარდება. მე ამ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე კითხვა მებადება. თუნდაც ის, რომ თუ ასეთი გაუსაძლისი პირობები იყო ნაწილში, რატომ აქამდე არ ალაპარაკდნენ გაქცეული ჯარისკაცები?"** - კითხულობს ბადრი ბინაძე.

ალექსანდრე მაჭარაშვილისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებიდან მეორე დღეს, ლაგოდეხის რაიონის სოფლების - აფენის და პატარა გორის მოსახლეობამ, დანაშაულში ეჭვმიტანილის გათავისუფლების მიზნით, საპროტესტო აქცია გამართა. აქცია რამდენიმე საათს გაგრძელდა და პოლიციამ იძულებით დაშალა.

გაკოტრებული ქალაქი

ᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲕᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ახლა, როცა ქართული მრეწველობის ფლაგმანად აღიარებულ რუსთავში ყველა მსხვილი სანარმო დანგრეული, მიწასთან გასწორებული და გაკოტრებულია.

ალბათ რაღაც ლოგიკა არის იმაში, რომ თავისუფალ საქართველოში კომუნისტური რეჟიმის პირმშომ, რუსთავმა, გარკვეულწილად, ამ რეჟიმის ბედი გაიზიარა, თუმცა ეს ლოგიკა მიუღებელი და გაუგებარია ასობით ათასი რუსთავისათვის, რომლებიც სამუშაოს და, შესაბამისად, სამოქალაქო ფუნქციის გარეშე დარჩნენ.

რა იყო...

სულ რაღაც 15 წლის წინანდელ რუსთავს იუზა მაჭავარიანი იხსენებს. ის 1989-90 წლებში ჟიული შარტავას მოადგილე, ქალაქკომის მეორე მდივანი იყო და ქალაქის ეკონომიკა ებარა:

"90-იანი წლების ბოლოს რუსთავის სამრეწველო პოტენციალმა თითქმის პიკს მიაღწია. ჩვენ წელიწადში 800 მილიონი მანეთის პროდუქციას ვაწარმოებდით და, საერთო ჯამში, 100 დასახელების სტრატეგიულ სამრეწველო პროდუქციას ვუშვებდით - ფოლადი, თუჯი, მილები, კუთხოვანა, ნამზადი, მოთუთიებული მილები და მავთული, კაპროლაქტამი, ამონიუმის გვარჯილა და ასე შემდეგ.

ამ პერიოდში ქალაქში მუშაობდა 30 სამრეწველო საწარმო, აქედან 8 საკავშირო დაქვემდებარების - მეტალურგია, აზოტი, ქიმბოჭკო, ცენტროლიტი, ლითონკონსტრუქციები, ამწემშენებელი, ავტომატმრეწი და ელექტროსამაგრების ქარხანა. გარდა ამისა, იყო სხვა მსხვილი წარმოებები - ცემენტის ქარხანა, საქმექანმონტაჟი, საქმონტაჟცემრემონტი, უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა საზოგადოება, რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხანა, საშენმასალათა კომბინატი, თაბაშირის წარმოება, ხორცკომბინატი, ლუდისა და წვენების ქარხანა, ხის დამამუშავებელი კომბინატი და ასე შემდეგ. შრომა-გასწორების კოლონიაშიც ვქმნიდით პროდუქციას, მთელს კახეთს ვამარაგებდით რკინა-ბეტონის ბოძებით ვენახებისათვის, რომლებსაც პატიმრები ამზადებდნენ. გარდა ამისა, იყო 28 სხვადასხვა სარემონტო-სამშენებლო საწარმო, საინჟინრო-საპროექტო ინსტიტუტები. ყველა ამ საწარმოში ერთად დაახლოებით 50 ათასი ადამიანი იყო დასაქმებული და დაახლოებით 100 ათასი ადამიანი იქიდან მიღებული შემოსავლით ცხოვრობდა."

რა არის...

"30 მსხვილი სამრეწველო ორგანიზაციიდან დღეს აღარაფერი დარჩა. აღარ არის ამწემშენებელი, ლითონკონსრუქციები, ცენტროლიტი, სამშენებლო-სამრეწველო კომპლექსი, რკინა-ბეტონის ქარხანა... ქიმბოჭკოს ქარხანა, რომელიც 76 ჰექტარზე იყო განლაგებული და 5 ათასამდე კაცი მუშაობდა, ბოლო სამი წლის მანძილზე გააკოტრეს, დაჭრეს და გაანადგურეს. ბარბაროსობა მოხდა ამ ქარხანაში. მუშებს კუთვნილი სახელფასო დავალიანებაც კი არ დაუფარეს. სად წავიდა ის ფული, კაცმა არ იცის. და რაც ყველაზე ცუდია, დღეს უკვე გამოიკვეთა, რომ ასეთივე ბედი მოელის მეტალურგიულ კომბინატს და აზოტს... საწარმოების ნგრევის დამლუპველი პროცესი განსაკუთრებით არნახული ტემპებით განვითარდა საქართველოში და მას ხელი შეუწყო ხელისუფლების ობსტრუქციამ, მათი მხრიდან ეკონომიკის იგნორირებამ. ამას მხარი დაუჭირა მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმაც. ასეთი რამ არც ერთ პოსტსაბჭოურ ქვეყანაში არ მომხდარა. უნიათო წინა მთავრობამ იგნორირება გაუკეთა რუსთავის სამრეწველო პოტენციალს და ეს პროცესები დღევანდელი ხელისუფლების პირობებშიც გრძელდება," - ამბობს იუზა მაჭავარიანი, რომელიც ამჟამად რუსთავის მრეწველობის გადარჩენის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარეა. ის თვლის, რომ რუსთავში ჯერ კიდევ არის მრეწველობის ნაშთები, რომელთა გადარჩენაც შეიძლება.

"2004 წლის დასაწყისში შეიქმნა სამთავრობო კომისია პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას ხელმძღვანელობით, რომელმაც ამ საქმის გაძღოლა ეროსი კიწმარიშვილს დაავალა. რუსთავის აღორძინება საქართველოს აღორძინებას ნიშნავს, ეს თქვა მაშინ ჟვანიამ. ჩვენ უკვე გვქონდა მონახაზი, თუ როგორ შეიძლებოდა რუსთავის სამრეწველო პოტენციალის ტრანსფორმაცია. ჩემთვის დღემდე ბურუსით არის მოცული, რატომ ჩამოაშორეს ამ საქმეს ეროსი კიწმარიშვილი და რატომ წავიდა ის ამერიკაში. დღეს ყველაფერი გაყინულია და ქალაქი პრეზიდენტ სააკაშვილის ყურადღებას და მის პოლიტიკურ ნებას ელოდება," - აზრს იმის შესახებ, რომ რუსთავის შემდგომი ბედი ქვეყნის ხელისუფლების, კერძოდ კი, პრეზიდენტის ხელშია, თითქმის ყველა რუსთაველი იზიარებს და სააკაშვილის რუსთავში ჩასვლას ხსნასავით ელის.

რა იქნება...

გაკოტრებული წარმოებები იგივეა, რაც გაკოტრებული ქალაქი. რუსთავი დღეს გაკოტრებული ქალაქია, რადგან რამდენიმე კვირაში ამ სტატუსს ოფიციალურად მიიღებს ის ორი საწარმო, რომელთა არსებობამ ამ ქალაქის არსებობაც განაპირობა - რუსთავის მეტალურგიული კომბინატი და ქიმიური კომბინატი.

"არავითარ შემთხვევაში წარმოება გაკოტრებისკენ არ უნდა წავიდეს. დაწერენ ფორმალურად რეაბილიტაციის გეგმას. მერე მიადგებიან ამ ქარხნებს და, როგორც გაკოტრებულად გამოცხადებულ ქიმბოჭკოში მოხდა, მიიტანენ საჭრელ აპარატებს, მიიყვანენ სადემონტაჟო ბრიგადებს, დაჭრიან და ჯართად გაყიდიან. უკეთესობის იმედი არ მაქვს, რადგან ქიმბოჭკოს მაგალითი სახეზეა," - აცხადებს იუზა მაჭავარიანი.

რუსთავში სწუხან, რომ ცენტრალური ხელისუფლება თავს არ ინუხებს ინფორმაცია მაინც მიაწოდოს ხალხს იმის შესახებ, თუ რა პროცესები მიმდინარეობს და რა ბედი ელის მეტალურგიულ კომბინატსა და "აზოტს". ამ უკანასკნელის გენერალური დირექტორი პარშუტინი ორი კვირის წინ "24 საათთან" საუბარში აცხადებდა, რომ ქარხანა რენტაბელური და მომგებიანია. ჩვენი ინფორმაციით, "იტერა" "აზოტის" გაკოტრებას დიდად არ მიესალმება, მაგრამ მათ არავინ არაფერს ეკითხება - რენტაბელური ქარხანა გაკოტრებულად ცხადდება და მორჩა.

ქართული მრეწველობის ფლაგმანის წოდებიდან გაკოტრებული ქალაქის სტატუსამდე რუსთავი სწრაფი უკუსვლით მივიდა. მიუხედავად ყველაფრისა, იქაურებს სჯერათ, რომ ეს დასასრულის დასაწყისი არ არის.

"ჩვენ, რუსთაველებს, გვაქვს ჩვენი ხედვა, როგორ უნდა მოხდეს ქალაქის ტრანსფორმაცია - მას უნდა მიეცეს ქვემო ქართლის რეგიონის ცენტრის სტატუსი, რუსთავში რაიონებიდან უნდა გადმოვიდეს სამრეწველო ობიექტები, აქ არის რკინიგზის დიდი კვანძი, უამრავი თავისუფალი შენობა. ვფიქრობთ, რომ მეტალურგიაში დღეს არსებული დიდი სიმდიდრის გაყიდვის ხარჯზე, შესაძლებელი იქნება პატარა-პატარა სამრეწველო ობიექტების გაკეთება. ჩვენი ქალაქის გადარჩენა შესაძლებელია, ოღონდ ვინმე დაინტერესდეს და მოგვისმინოს," - ამბობს იუზა მაჭავარიანი.

არქიტექტურული კონკურსი

საქართველოს არქიტექტორთა კავშირი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინსტიტუტი და ნაკვეთის მფლობელი ფიზიკური პირები აცხადებენ ადგილობრივი მნიშვნელობის ღია კონკურსს თბილისში საირმის გორაზე ათბინიანი საცხოვრებელი სახლის საუკეთესო ესკიზური პროექტის გამოსავლენად. გამარჯვებულთათვის დაწესებულია სამი პრემია, თითოეული 4000 ლარის ოდენობით.

კონკურსში მონაწილეთა რეგისტრაცია, საკონკურსო პროგრამა და პირობები გაიცემა 2005 წლის 7 ივნისიდან საქართველოს არქიტექტორთა კავშირში. დ. აღმაშენებლის გამზირი 89/24, III სართული, ნუგზარ დუდუჩავასთან.

ტელეფონი: 22-74-02, 96-86-58
ფაქსი: 95-99-87
ელ-ფოსტა: archunion_geo@yahoo.com

საკანონმდებლო ინიციატივების ექსპერტიზა

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი
CIVIL SOCIETY INSTITUTE

ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION

რუბრიკა შეიქმნა "სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის" პროექტის "სამოქალაქო საზოგადოება კანონშემოქმედებით პროცესში" ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" ფინანსური მხარდაჭერით, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან და გაზეთ "24 საათთან" თანამშრომლობით.

ლიცენზირების რეფორმა - ლიბერალიზაციას ამოფარებული მკაცრი ადმინისტრირება

ირაკლი ნარმანია

"სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი" აგრძელებს საკანონმდებლო ინიციატივების ექსპერტიზაზე მუშაობას. დღეს გთავაზობთ დამოუკიდებელი ექსპერტის მოსაზრებებს ლიცენზირების სფეროში მოსალოდნელი ცვლილების შესახებ, კონკრეტულად კი - მოსაზრებებს კანონპროექტის "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" შესახებ, რომელიც მომზადებულია რეფორმების კოორდინაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მიერ. სტატიის ავტორია ირაკლი ნარმანია.

დაინტერესების შემთხვევაში შეგიძლიათ მოგვმართოთ: სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი; ტელ: 94 16 05; 33 04 17; ელ-ფოსტა: law@civilin.org

ცნობილია, რომ სტრუქტურული რეფორმების სფეროში სახელმწიფო მინისტრის მიერ მომზადებული და პარლამენტისათვის განსახილველად წარდგენილია კანონპროექტი "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ". კანონპროექტი მიზნად ისახავს ლიცენზირების სფეროს რეფორმას, რაც ძირითადად ლიცენზირებას და ნებართვის გაცემას დაქვემდებარებული საქმიანობების შემცირებაში და ლიცენზიის/ნებართვის "ერთი სარკმლის პრინციპით" გაცემაში გამოხატება. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო ამცირებს ლიცენზირებად საქმიანობებს, თუმცა ლიბერალიზაციის არ უნდა ამოეფაროს ის მკაცრი, დაუსაბუთებელი და არაფრისმომცემი ადმინისტრირება, რომლის შემოღებაც არის კანონპროექტით ნაგულისხმევი. ამისათვის მნიშვნელოვანია გავეცნოთ კანონპროექტის ცალკეულ ასპექტებს.

დღეს მოქმედი წესისაგან განსხვავებით, კანონპროექტით ხდება მოქმედების არეალის გაფართოება და ლიცენზირება გავრცელდება არასამეწარმეო საქმიანობაზეც (მოქმედი კანონმდებლობით, ლიცენზირებადია მხოლოდ სამეწარმეო საქმიანობა). თუმცა, კანონპროექტი ამ ზოგადი წესისაგან ერთ მეტად საყურადღებო გამონაკლისს უშვებს - იგი არ გავრცელდება ლიცენზირებად/ნებართვას დაქვემდებარებულ საქმიანობებზე და ქმედებებზე, თუ მას ახორციელებს სახელმწიფო ორგანო. ასეთ პრივილეგიას მოქმედი კანონი არ იცნობს.

მიმაჩნია, რომ კანონპროექტითაც არ უნდა იქნეს დაშვებული პრივილეგია სახელმწიფო ორგანოებისათვის, რადგანაც ლიცენზირება და ნებართვების გაცემა ეხება განსაკუთრებით მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ინტერესს, მომეტებულ საფრთხეს, რის გამოც იგი სრულად ექცევა სახელმწიფო რეგულირების სფეროში. აქედან გამომდინარე, მას უნდა ახორციელებდეს შესაბამისი ლიცენზიისა თუ ნებართვის მფლობელი სუბიექტი. სახელმწიფო ორგანომ, თუ მას სურს კანონპროექტით განსაზღვრული საქმიანობა, დააფუძნოს სამეწარმეო საზოგადოება, რომელიც შემდგომ აიღებს ლიცენზიასა თუ ნებართვას. თუ კანონპროექტი ლიცენზიისა და ნებართვის სახით ადმინისტრაციულ ბარიერს უწესებს კერძო სექტორს, თუნდაც კონკურენციიდან გამომდინარე არ უნდა ათავისუფლებდეს სახელმწიფო სექტორს. სხვა ვითარებაა, თუ კანონპროექტით გათვალისწინებულ საქმიანობას სახელმწიფო ორგანოები ფორს-მაჟორულ გარემოებებში მოახდენენ. ასეთ ვითარებაში მოქმედებს სამართლის ზოგადი პრინციპები და სპეციალური ჩანაწერის არსებობა არ არის აუცილებელი.

ლიცენზიის/ნებართვის მოქმედების ვადა

საქმიანობის ლიცენზიები გაიცემა განუსაზღვრელი ვადით, ხოლო ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიაზეც კანონპროექტი იგივე წესს ავრცელებს ანუ სარგებლობის ლიცენზიაც უვადოდ გაიცემა. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზია არ უნდა გაიცეს განუსაზღვრელი ვადით, რასაც ვერ ვიტყვით საქმიანობის ლიცენზიაზე. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის უფლება მუდმივად არ უნდა ჰქონდეს კონკრეტულ სუბიექტს.

ლიცენზიის სახეები

კანონპროექტით ხდება ლიცენზიის კლასიფიკაცია შემდეგ სახეებად - სარგებლობის, საქმიანობის, გენერალური და სპეციალური ლიცენზია. გენერალური და სპეციალური ლიცენზიების შემოღება არ არის მიზანშეწონილი, მისი შინაარსიდან გამომდინარე. თანაც, სულ 3 სახის გენერალური ლიცენზიის არსებობაა გათვალისწინებული.

გენერალური ლიცენზიით პირს უფლება ეძლევა ზოგადი ლიცენზიის საფუძველზე განახორციელოს მსგავსი ტიპის საქმიანობები. ასეთი "მსგავსი ტიპის საქმიანობების" არსებობისას უმჯობესია მოხდეს მათი ერთ სალიცენზიო სახეობად გაერთიანება. მაგ., ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობა (გენერალური ლიცენზია) უნდა იყოს ერთი სალიცენზიო სახეობა და მისი 3 სალიცენზიო სახეობად დაყოფა არ უნდა მოხდეს (დაწყებითი, საბაზო, საშუალო). ანალოგიური ვითარებაა პროფესიული საქმიანობის ლიცენზირებისას. გასათვალისწინებელია საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციაც, რომელიც თავის მხრივ, დამოუკიდებელ პირობებს აწესებს, თუნდაც მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან დაკავშირებით და უფრო ეფექტურიცაა. გენერალურ ლიცენზიაში გაერთიანებული საქმიანობები ურთიერთსაწინააღმდეგოცაა. მაგ., ხე-ტყით სარგებლობა მოცემულია გენერალურ სალიცენზიო სახეობად და აერთიანებს ხე-ტყის დამზადებისა და სამონადირეო მეურნეობის მოწყობის სალიცენზიო სახეობებს. ამ შემთხვევაში ორივე საქმიანობა აბსოლუტურად განსხვავებულია ერთმანეთისაგან, შეიძლება ითქვას ურთიერთგამომრიცხველი და საწინააღმდეგოც, რადგანაც იქ, სადაც სამონადირეო მეურნეობა ეწყობა, დაუშვებელია ხე-ტყის დამზადება (ჭრა და ა.შ.).

სპეციალური ლიცენზიით, მისი მფლობელი განახორციელებს "რომელიმე ვიწრო საქმიანობას ლიცენზირებადი საქმიანობის ზოგადი სახეობიდან". უნდა აღინიშნოს, რომ კანონპროექტი არ გვთავაზობს ლიცენზირებადი საქმიანობის ზოგად სახეებს ანდა რომელიმე ვიწრო საქმიანობას ლიცენზირებადი საქმიანობის ზოგადი სახეობიდან. კანონპროექტი მხოლოდ აბსტრაქტულად იცნობს სალიცენზიო სახეებს, რომელზედაც პირი იღებს ლიცენზიას. მისი დეტალიზება კი, არ არის მართებული (მაგ., ლიცენზირებადი საქმიანობიდან რაღაც ვიწრო საქმიანობის გამოყოფა).

ერთი სარკმლის პრინციპი

კანონპროექტით არის მცდელობა, რომ შემოღებულ იქნეს ლიცენზიისა და ნებართვის ერთი სარკმლის პრინციპით გაცემის წესი. ლიცენზიის/ნებართვის მაძიებელს არ უნდა უწევდეს სხვადასხვა სამსახურებში სიარული სალიცენზიო/სანებართვო პირობების დამაკმაყოფილებელი დოკუმენტების მოსაპოვებლად - ეს კანონპროექტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნოცაციად ითვლება.

არსებობს ერთი სარკმლის პრინციპის რემდენიმე ვარიანტი:

1. ქვეყანაში არსებობს ლიცენზიებისა და ნებართვების გამცემი ერთიანი სამსახური (კერძო სექტორისათვის ყველაზე უფრო მისაღები), რომელიც ძირითადად 2 ფორმით ფუნქციონირებს:

პირველი, თვითონვე არის დაკომპლექტებული შესაბამისი დარგის სპეციალისტებით და თვითონ განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას;

- მეორე, ძირითადად ასრულებს ორგანიზაციულ ფუნქციას: იღებს ლიცენზიებისა და ნებართვების მაძიებლების განაცხადებს და უზრუნველყოფს მათ გადაგზავნას შესაბამისი სამსახურებისათვის და მათგან მიღებული დასკვნების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის შესახებ.

კანონპროექტით რეალურად შესაძლებელი იყო "მეორე ფორმით" ფუნქციონირებადი ერთიანი სამსახურის შემოღება, რომელიც მცირე აპარატით და არც ისე დიდი ხარჯებით უზრუნველყოფდა ერთი სარკმლის პრინციპის რეალიზაციას. "პირველი ფორმით" ფუნქციონირებადი ერთიანი სამსახურის შემოღებაც შესაძლებელია, თუმცა მოითხოვს გაცილებით მეტ (დიდ) აპარატსა და დაფინანსებას;

2. ერთი სახეობის ლიცენზიის ან ნებართვის გამცემი სამსახური თვითონვე უზრუნველყოფს დამატებითი სალიცენზიო ან სანებართვო პირობების შესრულებას სხვა სამსახურებთან თანამშრომლობით. ამ ვარიანტის შემოღება არის ნავარაუდევი კანონპროექტით.

კანონპროექტმა ერთი სარკმლის პრინციპის შედარებით მარტივი ვარიანტი აირჩია და მისი მთავარი ღირსება ისაა, რომ ლიცენზიის ანდა ნებართვის გამცემი სამსახური თავად "უზრუნველყოფს დამატებითი სალიცენზიო ან სანებართვო პირობების სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადასტურებას". კანონპროექტითვე უნდა მოხდეს კონკრეტული დეტალიზება, თუ რა ფორმით და სახით მოხდება ამის უზრუნველყოფა. მოხდება მხოლოდ სალიცენზიო/სანებართვო პირობების "დადასტურება" ამ ტერმინის პირდაპირი გაგებით, თუ ლიცენზიის/ნებართვის მაძიებელს ამისათვის მოუწევს სხვა დოკუმენტების წარმოდგენა.

გარდა ამისა, კანონპროექტით გამიჯნული უნდა იქნეს, თუ ერთი სარკმლის პრინციპის შესაბამისად სახელმწიფო რა ვალდებულებას იღებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს გახდება არაქმედითი დებულება, რომელიც მის შინაარსში ჩადებულ შედეგებს ვერ მოგვცემს.

სალიცენზიო/სანებართვო პირობები

ლიცენზიის ანდა ნებართვის მისაღები პირობები სწორად არის განმარტებული, როგორც კანონით დადგენილი (ხოლო ნებართვის შემთხვევაში, კანონის საფუძველზე ასევე ადგილობრივი ორგანოს მიერ დადგენილი), ხოლო მიღების შემდეგ თუნდაც ნებისმიერი ნორმატივით განსაზღვრული. ამ განმარტებას არსებითად ეწინააღმდეგება კანონპროექტით გათვალისწინებული "ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონმდებლობით დადგენილი დამატებითი სალიცენზიო და სანებართვო პირობების დამაკმაყოფილებელი ფაქტობრივი გარემოებების დადგენა". ასევე, მაძიებლის ვალდებულება წარმოადგინოს "დამატებითი სალიცენზიო/სანებართვო პირობების დამაკმაყოფილებელი ფაქტობრივი გარემოებები".

ლიცენზიის/ნებართვის მისაღები პირობების მხოლოდ კანონით დადგენა განპირობებულია სტაბილურობისა და მისი დანიშვნის საჯაროობისა და საზოგადოების ფართო მასების მონაწილეობის შესაძლებლობით. მოქმედი კანონმდებლობაც ამ წესს ითვალისწინებს, რომელიც 2002 წლის ლიცენზირების მომწესრიგებელი კანონის უდიდესი მიღწევა იყო, რომელმაც შეცვალა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ სალიცენზიო თუ სანებართვო პირობების ქაოსურად დადგენის შესაძლებლობა. გათვალისწინებულ უნდა იქნეს გასული წლების მანკიერი პრაქტიკა და კანონპროექტით ხელახლა არ უნდა იქნეს დაშვებული მსგავსი შესაძლებლობა. ადმინისტრაციულ ორგანოზე საზოგადოებრივი კონტროლის ხარისხი ნაკლებია და ბიუროკრატიამ სხვადასხვა მოტივებით შესაძლოა გადაულახავი ბარიერები შეუქმნას ლიცენზიის/ნებართვის მაძიებლებს "დამატებითი სალიცენზიო და სანებართვო პირობების დამაკმაყოფილებელი ფაქტობრივი გარემოებების დადგენის" უფლების მინიჭებით. ამით კი, ბიზნეს-სექტორისადმი ლიბერალური პირობების დადგენის ნაცვლად საპირისპირო შედეგებს მივიღებთ. ადმინისტრაციულ ორგანოს, მათ შორის, "სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს, არ უნდა მიეცეს სალიცენზიო პირობების დადგენის უფლება.

ფილიალის საქმიანობა

მნიშვნელოვანია, რომ ფილიალს არ მოეთხოვება ლიცენზიის/ნებართვის აღება და საქმიანობს იურიდიული პირის ლიცენზით/ნებართვით. ფილიალის საკითხი უნდა განთავისუფლდეს დამატებითი ზედმეტი ელემენტებისგანაც, როგორიცაა ლიცენზიის/ნებართვის მფლობელის ვალდებულება შეატყობინოს ლიცენზიის/ნებართვის გამცემს ფილიალის მიერ ლიცენზირებადი ანდა ნებართვას დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელების შესახებ - ფილიალის მიერ სალიცენზიო/სანებართვო პირობების დაკმაყოფილების შესახებ. ეს არაპირდაპირ, იგივე ლიცენზიის/ნებართვის გაცემას ნიშნავს ფილიალზე. თუ ფილიალი ვერ აკმაყოფილებს სალიცენზიო/სანებართვო პირობებს, როგორც ჩანს, ლიცენზიის/ნებართვის გამცემი იურიდიულ პირს "არ დართავს ნებას" ფილიალის საქმიანობისათვის. არაფერს არ ცვლის ის ფაქტი, ფორმალურად გაიცემა თუ არა ლიცენზია/ნებართვა; მთავარია რეჟიმი, რომელსაც ექვემდებარება ფილიალის საქმიანობის შეტყობინება, რომელიც თავისი შინაარსით კანონპროეტის მიერ გაიგივებულია ლიცენზირებასთან და ნებართვის გაცემასთან. განსხვავება მხოლოდ მოსაკრებლის გადაუხდელობა და სალიცენზიო/სანებართვო მოწმობის გაუცემლობაა. თუ ფილიალის საქმიანობის დაწყებით რაიმე არსებითი ცვლილებები ხდება, მაშინ თვითონ იურიდიულმა პირმა უნდა უზრუნველყოს მისი საქმიანობის შესაბამისობა სალიცენზიო/სანებართვო პირობებთან.

ფილიალი არ არის დამოუკიდებელი სუბიექტი, იგი იურიდიული პირის ქვედანაყოფია და საქმიანობა წარმოებს იურიდიული პირის მიერ. ამდენად, ფილიალის მიერ ლიცენზირებადი ან ნებართვას დაქვემდებარებული საქმიანობა თავისუფალი უნდა იყოს, თუ მისი სათაო ოფისი (იურიდიული პირი) ფლობს შესაბამისი საქმიანობის ლიცენზიას/ნებართვას.

ლიცენზიის/ნებართვის გაცემის ვადები

ლიცენზიის გაცემის ვადად მოცემულია 30 დღე (ხოლო ნებართვის - 20 დღე), რომელიც ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება გაგრძელდეს 3 თვემდე. გარდა ვადის 3 თვემდე გაგრძელებისა, კანონპროექტი ითვალისწინებს ლიცენზიის გაცემის ვადის კიდევ 3 თვით გაგრძელებას საქართველოს მთავრობის მიერ, ლიცენზიის გამცემის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე. ნებართვის შემთხვევაშიც, ვადის გაგრძელების მიმართ იგივე წესები და პირობებია განსაზღვრული. განსაზღვრული (ზოგადი) ვადის 3 თვემდე გაგრძელების შემდგომ არ უნდა იქნეს გათვალისწინებული დამატებით კიდევ 3 თვემდე გაგრძელება. დაუშვებელია ლიცენზიის/ნებართვის გაცემის საკითხი განუწყვეტლივ იხილებოდეს. 3 თვეში შესაძლებელი უნდა გახდეს გადაწყვეტილების მიღება (ადმინისტრაციული აქტის გამოცემა).

კონტროლი

კანონპროექტში მოცემულია სალიცენზიო პირობების შესრულების კონტროლის მექანიზმი სალიცენზიო პირობების შესრულების შერჩევითი შემოწმებისა და ლიცენზიის მფლობელის მიერ (ყოველწლიური) ანგარიშგების გზით. სანებართვო პირობების შემოწმებისათვის გათვალისწინებულია შერჩევითი შემოწმება.

კონტროლის აღნიშნული სახეები, განსაკუთრებით კი, შერჩევითი შემოწმება, არ პასუხობს არსებულ რეალობას და არ შეესაბამება კონტროლის კანონმდებლობას. მოქმედი კანონმდებლობით, ლიცენზიის/ნებართვის გამცემი მოსამართლის ბრძანების გარეშე ვერ განახორციელებს ლიცენზიის/ნებართვის მფლობელის საქმიანობის შემოწმებას. ეს მოდელი ქვეყნის განვითარების ამ ეტაპისათვის უდავოდ მისაღებია და ზღუდავს ადმინისტრაციულ ორგანოს, რათა თვითნებურად არ განახორციელოს ლიცენზიის/ნებართვის მფლობელის საქმიანობაზე კონტროლი. შემოწმების თაობაზე ბრძანების მოპოვებამდე მაკონტროლებელს უწევს ლიცენზიის/ნებართვის მაძიებლის მიერ სალიცენზიო/სანებართვო პირობების დარღვევის შესახებ დასაბუთებული ინფორმაციის წარდგენა. აღნიშნულისაგან განსხვავებით, კანონპროექტი რადიკალურად ცვლის კონტროლის დღეს არსებულ მოდელს და ლიცენზიის/ნებართვის გამცემს უფლებას ანიჭებს საკუთარი ადმინისტრაციული აქტითვე მოახდინოს ლიცენზიის/ნებართვის მფლობელის შერჩევითი შემოწმება. ასეთი ფართო უფლებამოსილების მინიჭება ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაამკვიდრებს ლიცენზიის/ნებართვის მფლობელების თვითნებურ შემოწმების ფაქტებს. არსებითად ვერ შეცვლის სურათს ის, რომ "თუ კანონით სხვა რამ არის დადგენილი, ლიცენზიის/ნებართვის გამცემის მიერ სალიცენზიო/სანებართვო პირობების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება შესაძლებელია კალენდარული წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ". ყოველწლიური გეგმიური შემოწმება მიიღებს ფორმალურ ხასიათს და საქმიანობის ხარისხთან დაკავშირებითაც ეფექტური ვერ იქნება, უფრო ოპტიმალური ფორმაა კონტროლის განხორციელება საქმიანობი სალიცენზიო/სანებართვო პირობებტან შეუსაბამობის მოტივით მოსამართლის ბრძანების საფუძველზე. ეს მეწარმეთათვისაც ერთგვარი გარანტია იქნება. საჭირო გახდება მხოლოდ დამატებები, რომლებიც არასამეწარმეო საქმიანობის კონტროლს მოაწესრიგებენ.

შერჩევითი შემოწმების გარდა, ლიცენზიის მფლობელს მოუწევს სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ყოველწლიური ანგარიშის წარდგენა. ეს ნორმა გაურკვეველი შინაარსისაა, არ ჩანს კონკრეტულად რა არის "სალიცენზიო პირობების დაცვის" ანგარიშგება - ზოგადად განხორციელებული საქმიანობის აღწერა, საქიანობისას უსაფრთხოების ნორმების დაცვის შესახებ ინფორმაციის მიწოდება თუ სხვა რამ. ან კიდევ, რომელი ლიცენზიის მფლობელი წარმოადგენს ინფორმაციას რომ მან არ დაიცვა სალიცენზიო პირობები?! პირდაპირ უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნორმა პრაქტიკულად გახდება წმინდა ფორმალური ხასიათის, რომელიც ორივე მხარისათვის (ლიცენზიის მფლობელი და ლიცენზიის გამცემი) ყოველწლიურ ზედმეტ შრომის ხარჯვას გამოიწვევს. უფრო მისაღები იქნებოდა, რომ კანონპროექტს სისტემატიზებული სახით გადმოეცა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელი პირის ვალდებულება, წარმოადგინოს წლის განმავლობაში ბუნებრივი რესურსების მოპოვების თუ სარგებლობის შესახებ ინფორმაცია (რაოდენობა, სახეობა და ა.შ.). მიმობნეული სახით, მსგავსი ვალდებულება გათვალისწინებულია ზოგიერთი კანონით.

ლიცენზიის/ნებართვის მფლობელ პირთა პასუხისმგებლობა

სალიცენზიო/სანებართვო პირობების დაუცველობა იწვევს ლიცენზიის/ნებართვის მფლობელის დაჯარიმებას. ლიცენზიის/ნებართვის გამცემი კი, განუსაზღვრავს სალიცენზიო/სანებართვო პირობების დაკმაყოფილებისათვის გონივრულ ვადას. ამ ვადაში სალიცენზიო/სანებართვო პირობების შეუსრულებლობისას, დაკისრებული ჯარიმა გასამმაგდება და კვლავ განესაზღვრება ვადა სალიცენზიო/სანებართვო პირობების შესასრულებლად. თუ ისევ არ გამოსწორდა ვითარება, გასამმაგებული ჯარიმა კიდევ გასამმაგდება. ამის შემდგომაც სალიცენზიო/სანებართვო პირობების შეუსრულებლობა იწვევს ლიცენზიის/ნებართვის გაუქმებას.

ლიცენზიის ანდა ნებართვის მფლობელზე მსგავსი ეკონომიკური რეპრესიის გამოყენებით დასახული მიზნები ვერ მიიღწევა. უფრო მეტიც, ჯარიმის დაურსულებელმა გასამმაგებამ შესაძლოა მცირე ბიზნესის გაკოტრებამდეც კი მიიყვანოს საქმე. თანაც, ჯერ-ჯერობით უცნობია ჯარიმის ოდენობა და მისი დადების წესი, უშუალოდ ვის მიერ მოხდება იგი - ლიცენზიის/ნებართვის გამცემის ოქმის საფუძველზე სასამართლოს მიერ თუ თვითონ ლიცენზიის/ნებართვის გამცემის მიერ. უფრო ცივილიზებული მოდელია გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით - სალიცენზიო/სანებართვო პირობების დარღვევა იწვევს ლიცენზიის/ნებართვის მოქმედების შეჩერებას 3 თვემდე ვადით, ხოლო ამ ვადაში დარღვეული სალიცენზიო/სანებართვო პირობების გამოუსწორებლობა, ლიცენზიის/ნებართვის გაუქმებას. ლიცენზიის/ნებართვის შეჩერების მექნიზმს საერთოდ არ იცნობს კანონპროექტი, რომელიც მის ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

კანონპროექტი ლიცენზიის/ნებართვის გამცემს ანიჭებს უფლებას პასუხისმგებლობის დაკისრების მიუხედავად ლიცენზიის/ნებართვის მფლობელის სახელითა და ხარჯით თვითონ ან მესამე პირების მეშვეობით უზრუნველყოს სალიცენზიო/სანებართვო პირობების შესრულება. რაიმე სალიცენზიო/სანებართვო პირობების შეუსრულებლობისას უნდა ხდებოდეს ლიცენზიის/ნებართვის შეჩერება ანდა გაუქმება. ლიცენზიის/ნებართვის მფლობელს ეკისრება პასუხიმგებლობა და ამის შემდეგ, ლიცენზიის/ნებართვის გამცემი ლიცენზიის/ნებართვის მფლობელისავე ხარჯებით ახდენს სალიცენზიო/სანებართვო პირობების შესრულებას. გამოდის რომ არაფერს არ ვეკითხებით ლიცენზიის/ნებართვის მფლობელს, რომლისთვისაც პასუხისმგებლობის დაკისრების შემდეგ ("გასამმაგებული ჯარიმები") შესაძლოა არც იყოს მიმზიდველი ლიცენზირებადი ანდა ნებართვას დაქვემდებარებული საქმიანობის გაგრძელება. ეს ყოველივე ლიცენზიის/ნებართვის მფლობელის ეკონომიკურ თავისუფლებაში ჩარევას წარმოადგენს. გარდა ამისა, კანონპროექტს შემოაქვს სპეციალური მმართველის ინსტიტუტი, რომელიც დანიშვნის პროცედურებითა სხვა ელემენტებითაც გაკოტრების მმართველს წააგავს. სალიცენზიო/სანებართვო პირობების შესრულება არ არის დაკავშირებული "საწარმოს გადარჩენასთან", მის რეაბილიტაციასთან და შესაბამისადვე, არ არის საჭირო რაიმე სპეციალური მმართველი. ლიცენზირება, ნებართვის გაცემა - ესაა რაღაც საქმიანობის უფლება, რომელიც შეიძლება ჰქონდეს ან არ ჰქონდეს საწარმოს. ამასთანავე, სპეციალური მმართველის ხარჯების გაღება წარმოებს ლიცენზიის/ნებართვის მლობელის მიერ.

სტატიის ავტორის მოსაზრებები შესაძლოა, არ ემთხვეოდეს სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის პოზიციას.

განცხადება აშშ სელჩო თბილისში

2005 წლის 25 ივნისს აშშ საელჩო თბილისში აწყობს ღია აუქციონს. აუქციონზე წარმოდგენილი იქნება ნახმარი და დაზიანებული საყიფაცხოვრებო მოწყობილობები, ავეჯი და აგრეთვე ავტომანქანები.

აუქციონზე წარმოდგენილი ყველა ნივთი იყიდება "არსებულ მდგომარეობაში" გარანტიის გარეშე. საჭიროების შემთხვევაში მყიდველი პასუხისმგებელია აუქციონზე შეძენილი ნივთების განბაჟებაზე და სრულად იხდის საბაჟო გადასახადებს.

მსურველთათვის ნივთების დათვალიერება მოხდება დილის 9:00-დან 11:00 სთ-მდე. აუქციონი დაიწყება დილის 11:00სთ-ზე.

აუქციონი ჩატარდება შემდეგ მისამართზე: **ლილო, რუსთაველის ქ. 4, აშშ საელჩოს საწყობის ტერიტორია**.

ცნობებისათვის დარეკეთ:
98 99 67 ანდ 98 99 68, შიდა 4201.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება კონკურსის შესახებ

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს კონკურსს სამინისტროს ცენტრალური აპარატის თანამშრომლების საზღვარგარეთ მოკლევადიანი მივლინებისას *სამოგზაურო დაზღვევისა (საშუალოდ 500 სამოგზაურო დღე)* და საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში და საკონსულო დაწესებულებებში გრძელვადიან მივლენებაში მყოფი თანამშრომლების (190 თანამშრომელი) *უბედური შემთხვევების დაზღვევის* შესყიდვის მიზნით და კონკურსში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ სადაზღვევო კომპანიას.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ საგარეო საქმეთა სამინისტროს, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჩიტაძის ქ. N4. ოთახი 227, ტელ: 28-46-18; 28-46-27.
წინადადებები სამინისტროში წარდგენილ უნდა იქნეს - 2005 წლის 20 ივნისის 18 საათამდე.

რუსეთის დღე სარკინიგზო ავარიით აღინიშნა

სამგზავრო მატარებელი, რომელზეც კრემლი არაერთხელ აპელირებდა ჩეჩნეთში სიტუაციის ნორმალიზაციაზე საუბრისას, გუშინ აფეთქების შედეგად რელსებიდან გადავიდა. რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის ინფორმაციით, გროზნო-მოსკოვის მატარებლის კატასტროფა, უდავოდ, ტერაქტის შედეგია.

ჩეჩნეთის სტაბილურობის სიმბოლოზე - გროზნო-მოსკოვის სამგზავრო მატარებელზე თავდასხმა "რუსეთის დღეს" დაემთხვა.

"მემანქანეს თქმით, ლოკომოტივიის ქვეშ სარკინიგზო რელსი აფეთქდა", - განაცხადა უშიშროების ფედერალური სამსახურის პრესსპიკერმა დიანა შემიაკინამ მას შემდეგ, რაც აშკარა გახდა, რომ მატარებლის ინციდენტის მიზეზი სხვა არაფერი იყო თუ არა ტერაქტი.

მანამდე კი რუსეთის ოფიციალური პირები ცდილობდნენ, გროზნო-მოსკოვის მატარებლის ავარია ტექნიკური გაუმართაობით აეხსნათ. **"გვინდა, გვჯეროდეს, რომ ავარია ტექნიკური მიზეზებით არის გამოწვეული. გროზნო-მოსკოვისა და საპირისპირო მიმართულებით მოძრავი ვაგონთა პარკი, კარგა ხანია, მოძველებულია. ამიტომ ვფიქრობთ, სწორედ ძველი ტექნიკითაა გამოწვეული გადაბმის რღვევა",** - ასე ხსნიდა ავარიის მიზეზებს ვლადიმირ პუტინის მრჩეველი ასლანბეკ ასლახანოვი.

წინასწარი მონაცემებით, აფეთქებას ვაგონის რელსებიდან გადავარდნა მოჰყვა. შემთხვევის ადგილზე, დაახლოებით, 1 მეტრის დიამეტრის თხრილი გაჩნდა. აფეთქების ადგილის სიახლოვეს, ასევე, აღმოჩენილია ელექტროსადენები, რომელთა დახმარებითაც, სავარაუდოდ, ნაღმი მოიყვანეს მოქმედებაში.

აფეთქება მოსკოვის დროით, დაახლოებით, 7 საათსა და 10 წუთზე, მოსკოვიდან 153 კილომეტრის მოშორებით მოხდა. რელსებიდან 4 ვაგონი გადავიდა, შემთხვევის დროს 12 ადამიანი დაშავდა, მათ შორის - ერთი 11 წლის გოგონა. მსხვერპლი არ არის.

ჯერჯერობით მომხდარზე პასუხისმგებლობა არავის აუღია. თუმცა, როგორც "ფედერალები" აცხადებენ, მათ ორი ეჭვმიტანილის მონაცემები აქვთ. მემანქანის თანაშემწემ შემთხვევის ადგილას შეამჩნია ორი საეჭვო პირი, რომლებიც "მკვეთრად გამოირჩეოდნენ დანარჩენი მგზავრებისგან".

საგულისხმოა, რომ 12 ივნისს რუსეთში დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავენ - 15 წლის წინ რუსეთის ფედერაციამ სუვერენიტეტი გამოაცხადა. როგორც წესი "რუსეთის დღის" აღსანიშნავად დიდ ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომებია მიღებული. თუმცა, გუშინდელი შემთხვევაც ადასტურებს, რომ უსაფრთხოების გაძლიერების დროსაც ვერ ხერხდება თავდასხმების თავიდან აცილება.

ბუნებრივია, პირველი რიგში, ჩეჩენი მეამბოხენი მოექცნენ ეჭვქვეშ - მათ ხომ რეგიონში, ყოველდღიური თავდასხმების გარდა, ჩეჩნეთს გარეთაც არაერთხელ განუხორციელებიათ ტერაქტები. უკანასკნელი ტერაქტი რკინიგზაზე ერთი წლის წინათ მოხდა. 2004 წლის მაისში რკინიგზის ლიანდაგის აფეთქების შედეგად რელსებიდან მოსკოვი-ვლადიკავკაზის მატარებელი გადავარდა. ინციდენტის დროს არავინ დაშავებულა.

ასე რომ, ჩეჩენთა დადანაშაულება კრემლის პირველი რეაქცია იყო. თუმცა, მათ გარდა, შესაძლოა, თავდასხმაში დამნაშავენი ულტრანაციონალისტებიც იყვნენ. **"სამწუხაროდ, რამდენიმე ფაშისტური ორგანზიაცია მოქმედებს (რუსეთში), რომლებიც არ ფარავენ სიძულვილს კავკასიელთა მიმართ. მათი რიცხვი დიდი არ არის, მაგრამ მათ უკან გავლენიანი ძალა დგას, რომელსაც ხელს აძლევს სიტუაციის დაძაბვა, უფრო მეტიც - ფსიქოზის გამოწვევაც კი უნდათ",** - ამბობს პრეზიდენტის მრჩეველი, ეროვნებით ჩეჩენი, ასლამბეკ ასლახანოვი.

24 საათი

მსოფლიო ყოველწლიურად ტრილიონ დოლარს ხარჯავს იარაღზე

ნანა ნასყიდაშვილი

მსოფლიოს პრობლემათა კვლევის სტოქჰოლმის საერთაშორისო ინსტიტუტის (SIPRI) წლიური მოხსენების თანახმად, დედამიწაზე თითოეული ადამიანის შემოსავლიდან 162 აშშ დოლარი იარაღზე დაიხარჯა.

შეიარაღებაზე დახარჯული თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი, კერძოდ 47 პროცენტი, "ტერორიზმის წინააღმდეგ წარმოებული გლობალური ომის" შედეგად აშშ-მ გაიღო. აღნიშნული ვითარება განსაკუთრებით ხელსაყრელი აღმოჩნდა იარაღის მწარმოებელთათვის. მხოლოდ 2003 წელს მსოფლიოს უმსხვილესი იარაღის მწარმოებელი 100 კომპანიის პროდუქციის გასაღება 25 პროცენტით გაიზარდა. დღეისთვის იარაღის უმსხვილესი მწარმოებლები გავლენით საერთაშორისო ლიდერ კორპორაციებს გაუტოლდნენ. SIPRI-ის სპეციალისტთა მიერ მომზადებული 2005 წლის მოხსენების მიხედვით, 2004 წლისთვის მსოფლიოს მიერ შეიარაღებაზე გაღებული ხარჯები, წინა წლებთან შედარებით, 8 პროცენტით გაიზარდა და კოლოსალურ თანხას - 1,035 ტრილიონ აშშ დოლარს მიაღწია. ინფლაციის გათვალისწინებით, აღნიშნული თანხები 1987-88 წლების, ცივი ომის ბოლო პერიოდში იარაღის შესყიდვაზე გაღებული ხარჯების ისტორიულ მაქსიმუმს მხოლოდ 6 პროცენტით ჩამოუვარდება.

აშშ-მ, რომელიც მსოფლიო მასშტაბით საბრძოლო არსენალის განახლებითა და ერაყი-ავღანეთთან საომარი ოპერაციების წარმოებით იყო დაკავებული, კვლევითი ინსტიტუტის მონაცემთა მიხედვით, 2004 წელს ყველაზე დიდი სამხედრო ხარჯები გაიღო. მთლიანობაში 2002-2004 წლებში აშშ-მ "ტერორიზმთან ბრძოლაში" 238 მილიარდამდე აშშ დოლარი დახარჯა, რაც მსოფლიოს ყველა განვითარებადი ქვეყნის, მათ შორის, ჩინეთის თავდაცვაზე გაღებულ ხარჯებს აღემატება. "თანამედროვე მსოფლიოში თავდაცვაზე მიმართული ხარჯების ზრდის ტენდენცია, ძირითადად, აშშ-ს მიერ სხვა ქვეყნებში განხორციელებული საომარი ქმედებებითა და, გარკვეულწილად, აშშ-ს პარტნიორ ქვეყანათა მიერ ორგანიზებული კოალიციებითაა განპირობებული", – აღნიშნულია SIPRI-ის მოხსენებაში.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებმა აქტიურად დაიწყეს შეიარაღება. ამავდროულად, იარაღზე "განსაკუთრებული მოთხოვნილება" გაუჩნდა ჩინეთსა და ინდოეთს, რომლებიც სასურველი საქონლის იმპორტს, ძირითადად, რუსეთიდან ეწევიან. ამჟამად ისინი ამ სფეროში ახალ პარტნიორებსაც ეძებენ.

SIPRI-ის სპეციალისტთა მოხსენებაში ყურადღება არა მხოლოდ თავდაცვით სფეროს, არამედ საომარ მოქმედებებსაც ექცევა. კვლევითი ინსტიტუსის მონაცემთა მიხედვით, ამჟამად მსოფლიოში 19 შეიარაღებული კონფლიქტი მიმდინარეობს (მათ შორის, "ალ-ქაიდას" წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა, დარფურის კონფლიქტი და ერაყის ომი წლების განმავლობაში გრძელდება), რომელთაც 2004 წელში ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ინსტიტუტი ყურადღებას იმაზეც ამახვილებს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის ერთობილივი ძალისხმევა ვეღარ უმკლავდება მომრავალებულ ცალმხრივ ქმედებებს ზოგეთრი სახელმწიფოს მხრიდან. თუმცა, იმასაც აღნიშნავს, რომ მსოფლიოს ბევრი ქვეყანა უსაფრთხოების საკითხების მოგვარებას საერთაშორისო სისტემათა მეშვეობით ცდილობს. მოხსენებაში იმ გარემოებასაც ექცევა ყურადღება, თუ როგორ შეზღუდვებს აწყდება აშშ საერთაშორისო ინსტიტუტთა მხარდაჭერის გარეშე სხვადასხვა სახის ქმედებათა განხორციელებისას. "ნაადრევია იმაზე საუბარი, რომ პლანეტის მომავალს ძალის ცალმხრივი და არა მრავალმხრივი გამოყენება გადაწყვეტს", – აღნიშნულია SIPRI-ს მოხსენებაში.

ევრორეფერენდუმების შედეგები - დემოკრატიის უტყუარი დასტური

საფრანგეთისა და ჰოლანდიის რეფერენდუმების შედეგებით საყოველთაო უკმაყოფილების მიუხედავად, ამ ორი ევროპელი ხალხის უარს დემოკრატიის ნამდვილ გამარჯვებად აფასებს ჩეხეთის პრეზიდენტი ვაცლავ კლაუსი.

იმის მიუხედავად, რომ ამ უარით ევროპული სივრცის ახალი უზენაესი კანონის პროექტი, ფაქტობრივად, ჩავარდა, პლებისციტების შედეგებმა ის მაინც გამოააშკარავა, რომ არსებობს უზარმაზარი სხვაობა ევროპულ პოლიტიკასა და რიგით ევროპელთა შეხედულებებს შორის.

ვაცლავ კლაუსის თქმით, ამის შემდეგ, რასაკვირველია, არავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს ევროკონსტიტუციის რატიფიკაციის პროცესის გაგრძელებას. მისი აზრით, გაერთიანებული ევროპის კონსტიტუცია უკვე იქცა "მკვდარ დოკუმენტად".

"ევროკავშირი დღემდე არსებობდა მის გარეშე და არც მომავალში გაუჭირდება უმისოდ ცხოვრება", - განაცხადა ჩეხეთის პრეზიდენტმა.

მისი თქმით, რეფერენდუმებზე "კი"-საც და "არა"-საც თანაბარი ლეგიტიმურობა ჰქონდა და, რადგანაც ხალხმა არჩევანი უკვე გააკეთა, არ შეიძლება ეს პლებისციტის "ჩავარდნად" შეფასდეს. თუმცა, გასაგებია იმ ადამიანების პოზიციაც, ვისაც ერთადერთ პასუხად "კი" მიაჩნდა.

ევროკონსტიტუციის იდეისადმი კლაუსის ადრინდელი დამოკიდებულების გათვალისწინებით, საინტერესო ხდება, ხომ არ განიხილავს იგი ამ პროექტის ჩავარდნას საკუთარ გამარჯვებად? როგორც ირკვევა, 2 რეფერენდუმის შედეგები მასში, გამარჯვებით ტკბობის არა, მაგრამ კმაყოფილების გრძნობას ნამდვილად იწვევს.

რაც შეეხება თავად ჩეხეთში რეფერენდუმის პროგნოზებს, რომლის ჩატარებაც აუცილებელია ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოთა მეთაურების შეთანხმებით, ვაცლავ კლაუსი თავს იკავებს.

"ჩვენს ქვეყანაში შესაძლოა, მოხდეს ისიც, რომ პოლიტიკურმა ელიტამ ევროკონსტიტუციის რატიფიცირების ფორმაზეც ვერ მოახერხოს შეთანხმება", - აღნიშნა ჩეხეთის პრეზიდენტმა.

დაბოლოს, ევროპის განვითარებაში ცალკეულ პირთა დამსახურებებზეც თუ ვიტყვით ორიოდ სიტყვას, უნდა აღინიშნოს, რომ ვაცლავ კლაუსი გახდა პირველი ევროპელი პოლიტიკოსი, რომელმაც მიიღო პრემია "ევროპული თანამშრომლობის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის".

"ეს ძალიან სასიამოვნო ჯილდოა, რომელიც გაერთიანებული ევროპის განვითარებაში ჩემს პოზიციასა და შეტანილ წვლილს მიუკერძოებლად აფასებს", - აღნიშნა კლაუსმა.

უჯრულა ჰალსტუხები "დიდი რვიანის" სამიტისათვის

სააგენტო "რია ნოვოსტ"-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მიმდინარე წლის 6-8 ივლისს შოტლანდიაში დაგეგმილი "დიდი რვიანის" სამიტისათვის სპეციალურად დამზადდა უჯრულა ჰალსტუხებისა და ყელსახვევების პარტია. აღნიშნული აქსესუარები, სუვენირების სახით, სამიტის სტუმრებსა და ჟურნალისტებს დაურიგდებათ.

როგორც ცნობილია, შოტლანდიაში ტრადიციული მატყლის უჯრულა ქსოვილის, დაახლოებით, 3 500 სახეობა არსებობს, რომელთა საერთო სახელწოდებაა "ტარტანი". ამ ქვეყანაში თითოეულ კლანს ტარტანის თავისი უნიკალური სახეობა აქვს. უჯრულა ქსოვილიდან იკერება კილტები (მამაკაცის ქვედა ბოლოები), თავსაბურავები, ქალის ტანსაცმელი და სხვა სახის ნაწარმი.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ განსაკუთრებულ შემთხვევებში მზადდება ტარტანის სპეციალური სახეობაც, მაგალითად "დიდი რვიანის" სამიტისათვის შემუშავდა ქსოვილის ისეთი სახე, რომელიც ამ ღონისძიებისთვის ცნობილი სიმბოლიკითაა შესრულებული.

ქსოვილის ძირითადი ფონი ლურჯი ფერისაა, რომელიც შოტლანდიის დროშის სიმბოლოა - მასზე დატანებულია 8 წვრილი თეთრი ზოლი (კავშირში შემავალი ქვეყნების რაოდენობის მიხედვით), რაც შორიდან ერთ მთლიან თეთრ ზოლად აღიქმება და შოტლანდიის დროშის თეთრ ჯვარს განასახიერებს. ქსოვილზე არსებული წითელი ზოლი ღარიბი ქვეყნებისათვის დახმარების სიმბოლოა, რაც "რვიანში" ბრიტანეთის ერთ-ერთი პრიორიტეტია; თანაც წითელი ერთადერთი ფერია, რომელიც "დიდ რვიანში" შემავალი სახელმწიფოებისათვის საერთოა.

დაბოლოს, მწვანე და იისფერი ზოლები სამიტის ოფიციალურ ემბლემას შეესატყვისება.

სპეციალურად სამიტისათვის შერჩეული ტარტანის ავტორი ბრაიან უილტონია. სპეციალური ესკიზების კონკურსში ჟიურის მიერ შერჩეული 3 კანდიდატიდან უილტონზე არჩევანი შეაჩერა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის მეუღლემ შერი ბლერმა.

კვლევის შედეგები საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარებაზე მეტყველებს

საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარება ქვეყანაში დემოკრატიის მიღწევად აღიქმება და მისი მდგრადობა და სიძლიერე ქვეყანაში დემოკრატიის განვითარების მაღალ დონეზე მეტყველებს. საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ ასევე საზოგადოებრივი დღის წესრიგის განსაზღვრასა და რეფორმების განხორციელებაშიც. არასამთავრობო სექტორში გაერთიანებულია ადამიანების ის კრიტიკული მასა, რომელიც თავიდანვე განიმსჭვალა ქვეყანაში რეფორმების განხორციელების მოთხოვნილებით. სამოქალაქო ინტერესების დაცვის პროგრამის ფარგლებში გაერთიანებული საზოგადოებრივი ორგანიზაციები უკვე რამდენიმე წელია მესამე სექტორის განვითარების ხელშეწყობისათვის იღწვიან.

2005 წლის 4 ივნისს "თბილისი მარიოტში" საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების შესახებ ჩატარებული კვლევის შედეგების პრეზენტაცია ჩატარდა. კვლევა საქართველოს გაეროს ასოციაციამ და სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა სამოქალაქო ინტერესების დაცვის პროგრამის ფარგლებში განახორციელეს. პრეზენტაციაზე გაშუქდა სამოქალაქო სექტორის განვითარების პერიოდი 2002-დან 2005 წლამდე. პრეზენტაციას საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების, საჯარო სტრუქტურებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებიც დაესწრნენ.

კახა ლომაია

კვლევის ტექნიკური განმახორციელებელი გახლდათ საქართველოს გაეროს ასოციაციის ბაზაზე არსებული "გამოყენებითი კვლევების ჯგუფი", რომელსაც 1999 წლიდან მოყოლებული არაერთი მსგავსი კვლევა განუხორციელებია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის დაკვეთით.

მოცემული კვლევის ფარგლებში მკვლევართა ჯგუფი 2005 წელს ცხრა რეგიონის 184 ორგანიზაციის ხელმძღვანელს გაესაუბრა სპეციალური კითხვარის გამოყენებით. შეგროვილი მონაცემები მკვლევარებმა 2002 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს შეადარეს, რომელშიც 189 საზოგადოებრივი ორგანიზაცია მონაწილეობდა.

გაეროს ასოციაციის მკვლევართა ჯგუფის ხელმძღვანელის, ჯაბა დევდარიანის თქმით, 2002-2005 წლების განმავლობაში საზოგადოებრივი ორგანიზაციები სტაბილურად ვითარდებოდა. განვითარების დონე ამაღლდა როგორც თბილისში, ისე რეგიონებში. თუ 2002 წელს ჩატარებული კვლევის ფარგლებში გამოკითხული ორგანიზაციებიდან განვითარების უმაღლეს დონეზე იყო 27 ორგანიზაცია, 2005 წელს მათი რიცხვი 39-მდე გაიზარდა.

ანალიზის შედეგებმა ასევე აჩვენეს, რომ რეგისტრირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების რაოდენობა დაზუსტებული მონაცემებით დღეისათვის 9000-ს აღწევს და მათი საქმიანობის მასშტაბები 1990-იანი წლების შუა ხანებიდან მოყოლებული იზრდება. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონებში რეგისტრირებული ორგანიზაციების მხოლოდ 10-15%-ია რეალურად მოქმედი. "ცოცხალი" ორგანიზაციების პროცენტი ყველაზე მაღალია სამეგრელოს რეგიონში, ხოლო ყველაზე მცირე - აჭარაში. აჭარაში ავტორიტარული რეჟიმის პირობებში ავტონომიის საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარება შეფერხდა და ჩამორჩა საერთოქართულს.

დღეს, ისევე როგორც 2002 წელს დედაქალაქის ორგანიზაციები უფრო განვითარებულია, თუმცა რეგიონები ნელ-ნელა "ეწევიან" დედაქალაქს. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების რაოდენობა შედარებით მცირეა სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში. თუმცა, ბოლო წლებში დონორების გაზრდილმა ყურადღებამ უკვე დაიწყო მოქმედება ამ რეგიონების მდგომარეობაზეც.

არის ახალი ტენდენციებიც. 2003 წლის ნოემბრის მოვლენების შემდეგ საგრძნობი გახდა კადრების გადინება საზოგადოებრივი სექტორიდან სახელმწიფო სამსახურში. თბილისის ორგანიზაციების 26%-დან (18 ორგანიზაცია) და რეგიონის ორგანიზაციების 13%-დან (16 ორგანიზაცია) ერთი თანამშრომელი მაინც გადავიდა სახელმწიფო სტრუქტურებში სამუშაოდ. თუნდაც ერთი გამოცდილი თანამშრომლის დანაკლისი ბევრად უფრო საგრძნობი აღმოჩნდა რეგიონებში, რამაც კვალიფიციური კადრის დეფიციტი შექმნა.

თბილისში სახელმწიფო სტრუქტურებთან ერთობლივი საქმიანობა ძირითადად კანონპროექტების შექმნა-განხილვაში მონაწილეობას, სახელმწიფო პოლიტიკის მიმოხილვისა და სხვადასხვა სფეროში სახელმწიფო პროგრამების შემუშავებაში დახმარებას გულისხმობს. კვლევაში წარმოჩენილია ორი საინტერესო და საკმაოდ პარადოქსული ტენდენცია.

ერთი არის ის, რომ რამდენჯერმე გაიზარდა ორგანიზაციების რიცხვი, რომლებიც აცხადებენ, რომ მონაწილეობენ სახელმწიფო რეფორმებში.ეს განსაკუთრებით რამდენიმე სამინისტროს ეხება - კერძოდ მეცნიერებისა და განათლების სამინისტრო და ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან რეფორმების ჩამოყალიბებისა და განხორციელების ეტაპებზე. ამავე დროს, მთლიანობაში იმ ორგანიზაციათა საერთო რაოდენობა, რომლებიც აცხადებენ რომ არანაირი ურთიერთობა არა აქვთ სახელმწიფო დაწესებულებებთან, თითქმის გაორმაგდა გამოკითხულთა 6-დან 13 პროცენტამდე.

მეცნიერებისა და განათლების მინისტრი კახა ლომაია, რომელიც ამ პრეზენტაციას ესწრებოდა, ამბობს, რომ არსებობს თანამშრომლობის გამოუყენებელი პოტენციალი.

"ჩემი აზრით, ის დიდი ინტელექტუალური პოტენციალი, რომელიც გააჩნიათ არასამთავრობო ორგანიზაციებს, არ არის კარგად ცნობილი სამთავრობო სტრუქტურებისათვის. ეს არის მათი კლასიკური ფუნქცია - მონიტორინგი, ისინი არიან საზოგადოების თვალი და აკვირდებიან სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობას. მაგრამ ამ ფუნქციასთან ერთად, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შეუძლიათ, შეასრულონ და ნაწილობრივ ასრულებენ კიდეც თანამშრომლობას რეფორმების განსახორციელებლად, თანამშრომლობას სასიკეთო ცვლილებებისაკენ," ამბობს კახა ლომაია.

ჯაბა დევდარიანი და მარინა იმერლიშვილი

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში შეიცვალა ურთიერთობა მასმედიასთანაც. "გამოყენებითი კვლევების ჯგუფის" ერთ-ერთი ანალიტიკოსი, ქეთი ხარატიანი ამბობს, რომ დედაქალაქში დაახლოებით 10%-ით შემცირდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ საკუთარი საქმიანობის ელექტრონულ მედიაში გაშუქების შემთხვევები და ამავე მაჩვენებლით გაიზარდა თანამშრომლობა ბეჭდვით მედიასთან. ქეთი ხარატიანის აზრით, ამის მიზეზი პოლიტიკური ინფორმაციით თბილისის მედიის გადატვირთულობა იყო. მიმდინარე მოვლენების ფონზე, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს უჭირდათ ელექტრონული მედიისათვის ღირებული საბაბის შექმნა.

საქართველოს გაეროს ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის რამაზ აფციაურის თქმით, კვლევის შედეგებმა დღევანდელობის რეალური სურათი გვიჩვენა და ოპტიმიზმის საბაბიც შექმნა. აფციაურის თქმით ცხადია, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები თავიანთ შესაძლებლობებს და საკუთარ სისუსტეებს დღეს უფრო ადეკვატურად აფასებენ. **"2002 წელს ორგანიზაციების წარმოდგენები საკუთარ შესაძლებლობებზე გაცილებით მაღალი იყო რეალურზე. მიუხედავად იმისა, რომ წლევანდელი შედეგები გვაძლევს მაჩვენებლის კლებას განვითარებაში, ჩემთვის ეს ნიშნავს, რომ სურათი რეალობას უახლოვდება. კვლევა იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ ორგანიზაციული განვითარება სტაბილურად მიმდინარეობს და დღეს არსებობს ორგანიზაციათა გარკვეული რაოდენობა, რომელთაც მყარი ინსტიტუციონალური საფუძველი აქვთ."**

დამსწრე სტუმრები სექტორის განვითარების აუცილებელ პირობად ინსტიტუციურ განვითარებას მიიჩნევდნენ

საზოგადოებრივი სექტორი თანდათან იძენს იმის უნარს, რომ თავისი საქმიანობა საზოგადოებისათვის უფრო ხილული გახადოს. ამის მაგალითად თუნდაც 2005 წლის აპრილში სამოქალაქო ინტერესების პროგრამის ფარგლებში ჩატარებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამოფენა-ფორუმიც გამოდგება, რომელზეც სხვადასხვა მიმართულებით მომუშავე 60-ზე მეტ ქართულ საზოგადოებრივ ორგანიზაციას მიეცა საშუალება ფართო საზოგადოებისათვის წარედგინა საკუთარი ნამუშევრები და კიდევ ერთხელ დაეფიქსირებინა თავისი ადგილი საზოგადოებაში. იზრდება სექტორს შიგნით თანამშრომლობაც, რაც უდავოდ წაადგება მათი საქმიანობის გაფართოებას და გააუმჯობესებს მის ხარისხს.

მაია ტაკაშვილი

რეგიონებში ათასობით ჰექტარი სასუქების გარეშე რჩება

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების აზოტოვანი სასუქებით გამოკვების ოპტიმალური ვადები დამდგარია. განსაკუთრებით ინტენსიური მოთხოვნილებაა დასავლეთ საქართველოში სიმინდის კულტურებისთვის. თუ 15 ივნისიდან ამ კულტურების აზოტიანი სასუქებით გამოკვება არ მოხდება, მცენარის განვითარება შეფერხდება და მოსავლიანობა მნიშვნელოვნად შემცირდება, - აცხადებენ სპეციალისტები.

როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგროქიმიური და ნიადაგის ნაყოფიერების სამსახურის უფროსმა ირინა ცომაიამ "24 საათს" განუცხადა, ქვეყანაში არ არსებობს მოწესრიგებული სადისტრიბუციო ქსელი, რომლის მეშვეობითაც სასუქების მწარმოებლიდან, კერძოდ სს აზოტიდან გლეხებამდე და ფერმერებამდე მიტანა უპრობლემოდ მოხერხდება.

დღეისათვის "აზოტიდან" სასუქები კერძო მოვაჭრეებს გამოაქვთ და მას რაიონებს არასეზონურად, ქაოსურად აწვდიან, რის გამოც გლეხები და ფერმერები მათ იმედზე ვერ იქნებიან. გარდა ამისა, კერძო მოვაჭრეები სასუქებს ძვირად ყიდიან, რის გამოც გლეხები მის შეძენას ვერ ახერხებენ.

აღსანიშნავია, რომ 50-კილოგრამიანი ტომრის ფასი მინიმუმ 18-19 ლარია. ზოგჯერ კი მისი ფასი 22 ლარსაც კი აღწევს. 1 ტომარა სასუქის თვითღირებულება ქარხანაში 13,50 ლარია, რასაც ემატება ტრანსპორტირებისა და მოვაჭრეების დამატებული თანხები. სასუქებზე არახელმისაწვდომის გამო ხშირ შემთხვევაში ათასობით ჰექტარი ფართობი სასუქების გარეშე რჩება, რის შედეგადაც ვიღებთ ძალზე მცირე მოსავალს, რომელიც მის მოვლა-პატრონობაზე გაწეულ ხარჯებსაც კი ვერ ანაზღაურებს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროში ამ მდგომარეობიდან გამოსავალს აზოტოვანი სასუქით მომარაგების სადისტრიბუციო ქსელის შექმნაში ხედავენ და რაშიც დიდი როლი სახელმწიფომ და სს "აზოტმა" უნდა შეასრულონ. სამინისტრო ორივე მიმართულებით მართავს მოლაპარაკებებს, რაც სავარაუდოდ დადებითად დასრულდება.

24 საათი

ორშაბათს ახალი საბაჟო-გამშვები პუნქტი „ოპიზა" გაიხსნება

საბაჟო დეპარტამენტის ინფორმაციით, "ოპიზა" საბაჟო-გამშვები პუნქტი "ლილოს" ლიკვიდაციის შედეგად შეიქმნა.

დეპარტამენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, ახალ საბაჟო პუნქტში ლილოში მდებარე ტერმინალი და სხვა საბაჟო მომსახურების ობიექტები განთავსდება.

მათივე ინფორმაციით, გახსნის ცერემონიალს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, ფინანსთა მინისტრი ვალერი ჩეჩელაშვილი და საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარე ზურაბ ანთელიძე დაესწრებიან.

პრაიმ-ნიუსი

14 ივნისიდან საქართველოს მოსახლეობას ელექტროენერგიის მიწოდება შეეზღუდება

"საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" მაღალი ძაბვის ქვესადგურ "დიდ ზესტაფონში" სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას 14 ივნისიდან გეგმავს. სამუშაოები, სავარაუდოდ, 3-4 დღის განმავლობაში გაგრძელდება, რის გამოც საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს, მათ შორის დედაქალაქს, დენი შეზღუდვით მიეწოდება.

სამუშაოების დაწყება ქვესადგურ "დიდ ზესტაფონში" ჯერ კიდევ 10 ივნისს იგეგმებოდა. როგორც "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემიდან" "მედიანიუსს" აცნობეს, სამუშაოების გადადება თბილისის მე-3 ბლოკის ჩართვას უკავშირდება, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს მოსალოდნელ ენერგოდეფიციტს.

როგორც "თბილსრესში" "მედიანიუსს" განუცხადეს, მე-3 ბლოკი ტექნიკურად მზად არის და როგორც კი შესაბამის ბრძანებას მიიღებენ, ბლოკი ჩაირთვება. მას 130 მეგავატის გამომუშავება შეუძლია.

მოსაგვარებელია მხოლოდ გაზის მიწოდების საკითხები. მე-3 ბლოკს, იმისთვის, რომ 130 მეგავატი სიმძლავრე გამოიმუშაოს, საათში 42 ათასი მეტრ კუბი გაზი ესაჭიროება.

როგორც ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა "მედიანიუსს" განუცხადა, მე-3 ბლოკის ჩართვის საკითხი ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის. "შესაძლოა, მისი ჩართვა საერთოდ არ დაგვჭირდეს", - განაცხადა მინისტრმა.

მედია-ნიუსი

ევროკონსტიტუციაზე უარმა ევრო აზარალა

საერთო ევროპული ვალუტა კვლავაც გააგრძელებს ვარდნას, თუ უახლოეს მომავალში ევროზონის სახელმწიფოების ხელისუფალნი ევროკონსტიტუციასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ კონფლიქტს ვერ მოაგვარებენ, – მიიჩნევენ უცხოელი ექსპერტები.

დიანა ჩაჩუა

ევროს კურსის ვარდნა მას შემდეგ დაიწყო, რაც მაისის ბოლოს საფრანგეთმა და ჰოლანდიამ ევროპული კონსტიტუციის რატიფიცირებაზე უარი განაცხადეს. მომდევნო დარტყმა ვალუტას იტალიის შრომის მინისტრმა რობერტო მარონიმ მიაყენა, რომელმაც ქვეყანაში ფულის მიმოქცევის ორმაგი სისტემის შემოღების შესაძლებლობაზე განცხადება გააკეთა. იტალიელი ჩინოვნიკის აზრით, ერთიანი ევროპული ვალუტის შემოტანამ იტალიის ეკონომიკური ზრდის შენელებას შეუწყო ხელი, მაშინ, როცა დიდ ბრიტანეთში, რომელმაც თავის დროზე ევროზე უარი თქვა, ეკონომიკა აღმავლობას განიცდის და ეროვნული ვალუტის კურსიც სტაბილურია.

იტალიელი მინისტრის ამ განცხადების შემდეგ ევროპაში პანიკა დაიწყო, რაც, ბუნებრივია, ევროს კურსზე აისახა. იტალიის შრომის მინისტრის განცხადებიდან სულ მცირე დროში ევრომ დოლარის მიმართ ვარდნა აღადგინა და 1,2290-დან 1,2220 დოლარამდე დაეცა.

"ევროპელები ძვირიანი ევროსგან დაიღალნენ. ევროპაში საქონლის გაყიდვა უკვე არამომგებიანია. ევროზონის ქვეყნებში ევროს კურსის "შერბილების" აშკარა სურვილი შეინიშნება," – განაცხადა კომპანია "რეგიონის" წამყვანმა ანალიტიკოსმა ვალერი ვაისბერგმა.

ამას გარდა, ევროზონის რიგი ქვეყნების ეკონომიკა სიძნელეებს განიცდის. საფრანგეთი და გერმანია უმუშევრობის დონის 10,2 პროცენტიდან 11,8 პროცენტამდე შემცირებას ცდილობენ, ხოლო პორტუგალია და იტალია ბიუჯეტის დეფიციტს ებრძვიან. ექსპერტების შეფასებით, 2005 წლის ბოლოსთვის პორტუგალიის ბიუჯეტის დეფიციტმა, შესაძლოა, 4,9 პროცენტს, იტალიის ბიუჯეტის დეფიციტმა კი - 3,6 პროცენტს მიაღწიოს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ციფრები ევროკავშირის მიერ დადგენილ ზღვრულ მაჩვენებლებს აღემატება. კერძოდ, ევროზონის ქვეყნის ბიუჯეტის დეფიციტმა მთლიანი შიდა პროდუქტის 3 პროცენტს არ უნდა გადააჭარბოს.

ევროპაში არსებული პანიკური განწყობილება სხვა ქვეყნებსაც გადაედო და ევროს მიმართ არსებული უნდობლობის ტენდენცია აღმოსავლეთის ბაზრებმაც აიტაცეს. მაგალითად, აზიის წამყვანი ქვეყნების ცენტრალურმა ბანკებმა ევროს ფასიანი ქაღალდების სახით შესყიდვების მოცულობის შემცირება დაიწყეს.

ევროს მიმართ არსებული მზარდი უნდობლობის აღმოსაფხვრელად ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკის და ფინანსთა მინისტრებმა ლუქსემბურგში მიმდინარე სხდომის ფარგლებში განაცხადეს, რომ ისინი ევროპის ერთიან ვალუტას მტკიცედ უჭერენ მხარს.

"არ მგონია, რომ ევრო დიდხანს გააგრძელებს გაძვირებას. არ გამოვრიცხავ, რომ ევროპის ქვეყნების სტაბილურობის პაქტი გამარტივდეს, რაც ევროპულ სახელმწიფოებს შედარებით "რბილი" საბიუჯეტო პოლიტიკის გატარების შესაძლებლობას მისცემს. შესაძლოა, მათ მეტი ევროს ბეჭდვის ნებაც დართონ, რაც ევროს გაიაფებას გამოიწვევს," – განაცხადა ვალერი ვაისბერგმა.

სავალუტო ჯიხურების ლიცენზირება, ჯერჯერობით, არ უქმდება

სახელისუფლებო განზრახვამ - "ერთი ფანჯრის პრინციპი" დაამკვიდროს ქვეყანაში არსებულ ლიცენზირების სისტემაში, საპარლამენტო განხილვები, პრინციპში, უპრობლემოდ გადალახა. პარასკევს, რიგგარეშე სესიაზე პარლამენტმა კანონპროექტი პირველი მოსმენით უკვე მიიღო და უახლოესი პერიოდისთვის მისი მეორე-მესამე მოსმენებით კენჭისყრა, ანუ - კანონად ქცევა იგეგმება. კანონპროექტში ლიცენზირების სხვა სახეობებთან ერთად, სავალუტო ჯიხურების ლიცენზირების გაუქმებაც არის გათვალისწინებული, თუმცა, როგორც "24 საათმა" გაარკვია, ამ კანონში არსებულ ჩამონათვალში ამ ლიცენზიის არარსებობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ სავალუტო ჯიხურის ფუნქციონირებისთვის ლიცენზიის აღება საჭირო არ არის.

თამარ ივანიძე

როგორც ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა ეკა გალდავამ "24 საათს" განუცხადა, ის, რომ სავალუტო ჯიხურის ფუნქციონირება ლიცენზირებას ექვემდებარება, "ეროვნული ბანკის შესახებ" ორგანული კანონით გახლავთ განსაზღვრული. ხოლო იქედან გამომდინარე, რომ ორგანულ კანონს უპირატესი ძალა აქვს, "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" კანონში სავალუტო ჯიხურების ლიცენზირების გაუთვალისწინებლობა სიტუაციას სულაც არ ცვლის - ანუ ჯიხურების საქმიანობას კვლავ ლიცენზირებად სფეროდ ტოვებს.

თუმცა, ცხადია, სურვილის შემთხვევაში ახალ ხელისუფლებას, არსებული დამთრგუნველი უმრავლესობის პირობებში, არც ორგანულ კანონში გაუჭირდება შესაბამისი ცვლილების შეტანა, რასაც ეროვნულ ბანკში, რომელიც ამ სფეროს მარეგულირებელი გახლავთ, ცხადია, კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან.

მთავარი და საკმაოდ წონადი არგუმენტი - ქართული ხელისუფლების მიერ საერთაშორისო ინსტიტუტების წინაშე ნაკისრი ვალდებულებებია, პირველ რიგში - ფულის გათეთრებასთან ბრძოლის კონტექსტში.

ეროვნული ბანკის ფინანსური მონიტორიგის სამსახურის ხელმძღვანელის ნიკა გეგუჩაძის განმარტებით, ქართული კანონმდებლობის ევროპულთან ჰარმონიზაციის გზაზე საქართველოს ხელისუფლების მიერ აღნიშნული სფეროს რეგულირების გაუქმება უკან გადადგმულ ნაბიჯად ჩაითვლება და, პერსპექტივაში, სავალუტო ჯიხურების ლიცენზირების შემოღება ისევ დადგება დღის წესრიგში.

"ამ სფეროს ლიბერალიზაციის კუთხით ჩვენ მომზადებული გვაქვს გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებები. ვაპირებთ გავამარტივოთ ფულის გადახურდავების პროცესიც - მაგალითად, მცირე თანხების გადახურდავებისას არ იყოს აუცილებელი პირადობის მოწმობის წარდგენა და ასე შემდეგ, თუმცა სფეროს რეგულირების გარეშე დატოვება აშკარად მიუღებელია" - განუცხადა "24 საათს" ნიკა გეგუჩიძემ.

მიუხედავად ეროვნული ბანკის აღნიშნული პოზიციისა, კანონპროექტის ინიციატორი კახა ბენდუქიძე და მასთან ერთად საპარლამენტო უმრავლესობის გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ სავალუტო ჯიხურების ლიცენზირება აბსოლუტურად გაუმართლებელი შეზღუდვაა და ეკონომიკის ლიბერალიზაციის გზაზე მისი გაუქმება აუცილებელია.

რომელი პოზიცია გაიმარჯვებს, ჯერ კიდევ არ არის ცნობილი, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, უკვე ცნობილია, რომ ახალი კანონი ლიცენზირების შესახებ, მიუხედავად მისი ავტორების სურვილისა, ჯერჯერობით - ორგანული კანონის შეცვლამდე, ჯიხურების ლიცენზირებაში ცვლილებას ვერ შეიტანს.

საბანკო სუბიექტების განვითარება - მნიშვნელოვანი ფაქტორი ქვეყნისათვის

ეკა ჭალაბანიძე

დღესდღეობით ხელისუფლებისა და საზოგადოების უმთავრესი სტრატეგიული ამოცანა ეროვნული მეწარმეობის მხარდაჭერაა, რაც წარმოუდგენელია ეკონომიკის განვითარების გარეშე. ეს კი, თავის მხრივ, გულისხმობს ხელსაყრელი ბიზნესგარემოსა და ოპტიმალური საინვესტიციო კლიმატის შექმნას. ახალი ინიციატივები უკვე მიღწეული და წარმატებული გამოცდილებიდან უნდა მომდინარეობდეს. ამ მხრივ ძალზე მნიშვნელოვანია საბანკო სუბიექტების მდგრადი განვითარება, საფინანსო ინსტიტუტების ეფექტური ფუნქციონირება, მოქნილი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება.

დადებით ფაქტორად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ დღეს საბანკო სექტორში კონკურენტუნარიანი გარემო შეინიშნება, რაც დიდ სტიმულს წარმოადგენს მისი განვითარებისათვის. სწორედ ამიტომ, საბანკო სექტორი ერთ-ერთი ყველაზე მზარდი სფეროა. იგი ხასიათდება მდგრადი განვითარების ტენდენციით, რაზეც ნათლად მეტყველებს 2004 წლის მაჩვენებლები - საბანკო სექტორში 9 ბანკის აქტივები გაიზარდა 1.5 მილიარდ ლარამდე, წმინდა მოგება - 22854000 ლარამდე.

რაც შეეხება ცალკეული ბანკების ფინანსური საქმიანობის შედეგებს, 2004 წლის მონაცემებით, აქტივების ზრდის მაჩვენებლით, მოწინავე პოზიცია ბანკმა "რესპუბლიკამ" დაიკავა. აღსანიშნავია ისიც, რომ ბანკი დაწინაურებულია ROE-სა და ROA-ს (აქტივებისა და კაპიტალის უკუგების დინამიკა) ფინანსური მაჩვენებლებითაც - მეორე ადგილი საქართველოს საბანკო სივრცეში წმინდა მოგების სიდიდით, ადგილი საბანკო სისტემის ლიდერთა ხუთეულში კაპიტალის მიხედვით და პოზიციების მუდმივი ზრდა.

ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ საქართველოს საბანკო სივრცე მუდმივად ვითარდება და უკვე არსებული ლიდერი ბანკების რიცხვს კიდევ ერთი ბანკი შეუერთდება.

აღსანიშნავია, რომ კონკურენციის მეტად გამძაფრება ხელს შეუწყობს ზოგადად სექტორის შემდგომ განვითარებას. ბანკებს შორის კონკურენტულ ბრძოლაში კი გამარჯვებული, რა თქმა უნდა, მომხმარებელია, რადგან ახალი კლიენტების მოზიდვისა და ძველის შენარჩუნების მიზნით ბანკები იძულებული არიან, მუდმივად გაამჯობესონ მომსახურების პირობები.

ინფორმაციისათვის: ბანკი "რესპუბლიკა" ყველაზე ხანგრძლივი ისტორიის მქონე ბანკია საქართველოში. იგი XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში შეიქმნა და დღეს საქართველოს საბანკო სექტორში ერთ-ერთი ყველაზე საიმედო სტრუქტურაა.

ბანკი "რესპუბლიკა" წმინდა მოგების სიდიდით საქართველოს საბანკო სივრცეში მეორე ადგილზეა, კაპიტალის მიხედვით მოწინავე ბანკების ხუთეულშია და მუდმივად აძლიერებს პოზიციებს. 2004 წლის განმავლობაში მან აქტივების 64%-იან (ქართულ საფინანსო სექტორში ყველაზე დიდი მაჩვენებელი) ზრდას მიაღწია და მისი მთლიანი აქტივები დღეისათვის 130 000 000-მდე (ასოცდაათი მილიონი) ლარს უტოლდება.

საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთობა ყველა კომპანიისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია. ბანკი "რესპუბლიკა" პირველი ქართული ბანკია, რომელიც საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) მიერ ბიზნესის განვითარების პროექტის ფარგლებში შერჩეულ იქნა პილოტ კომპანიად საქართველოში. აღნიშნული პროექტის მიზანია მიმდინარე პროცესების გამჭვირვალობა საზოგადოებისათვის, ასევე საიმედო მექანიზმების შექმნა ყველა არსებული თუ პოტენციური ინვესტორის ღირებულებების დასაცავად.

ბანკ "რესპუბლიკის" პარტნიორები არიან ისეთი სოლიდური საფინანსო ინსტიტუტები, როგორიცაა: მსოფლიო ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, კომერციბანკი და საერთაშორისო თანამშრომლობის საშემნახველო ბანკების ფონდი. ბანკი KfW-ს საკრედიტო საგარანტიო ფონდის პროექტის პარტნიორიაცაა, რაც მას საერთაშორისო ბანკებისგან იაფი საკრედიტო რესურსის მოზიდვის შესაძლებლობას აძლევს.

ამგვარი პროექტების შედეგად დანერგილი სწორი კორპორაციული მართვა ბანკის გრძელვადიანი კონკრეტული უპირატესობის მაჩვენებელია, რაც მომავალშიც ხელს შეუწყობს ბიზნესპარტნიორებთან ურთიერთობის განვითარებას.

საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია
UNITED ENERGY DISTRIBUTION COMPANY OF GEORGIA

განცხადება

სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" აცხადებს ღია ტენდერს

ინდივიდუალური მოხმარების მრიცხველების დამონტაჟებაზე თბილისის, ზაჰესის და ჟინვალის სერვის-ცენტრებისათვის (5500 აბონენტისათვის)
ონიაშვილის ქ. №6, 0160. თბილისი

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე, (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის დართვით) **2005 წლის 27 ივნისის 17:00 საათამდე**, შემდეგ მისამართზე: თბილისი (0160). ონიაშვილის ქ. №6.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისათვის:

1. წინასაკვალიფიკაციო ანკეტა-ფორმულარი. (შესავსები ანკეტა-ფორმულარის მიღება შეგიძლიათ 2005 წლის 13 ივნისიდან სგსე ცენტრალურ ოფისში, ქ. თბილისი, ონიაშვილის №6, ტელ:387199)
2. ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა: (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან):
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია: (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან):
4. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილების მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით; (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან):
5. ცნობა იურიდიული პირის ხელმძღვანელის (დირექტორი, პრეზიდენტი) იდენტიფიკაციის შესახებ. (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან რეგისტრაციის შესახებ).

ფიზიკური პირებისათვის:

1. წინასაკვალიფიკაციო ანკეტა-ფორმულარი. (შესავსები ანკეტა-ფორმულარის მიღება შეგიძლიათ 2005 წლის 13 ივნისიდან სგსე ცენტრალურ ოფისში, ქ. თბილისი, ონიაშვილის №6, ტელ:387199)
2. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია;
3. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
4. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების საქმის წარმოება;
5. მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი დასახელებულ იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის პერიოდში წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

პრეტენდენტები წარმოადგენენ ერთ სატენდერო წინადადებას დახურული კონვერტით.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს -
გიორგი თათილაშვილს, ტელ: 38 71 99, (შიდა - 229)
ელ.ფოსტა - giorgi.tatilashvili@uedc.ge, ონიაშვილის №6

"ოფიციალური ბაქო გამოძიების დეტალებს მკაცრად ასაიდუმლოებს"

"ბაქოელი ჟურნალისტის, ოპოზიციური გაზეთის რედაქტორის მკვლელობაში ეჭვმიტანილებს აზერბაიჯანის ხელისუფლება 180 ქვეყანაში ეძებს", - ამის შესახებ ბაქოში უშიშროების მინისტრმა ელდარ მაჰმუდოვმა განაცხადა.

მაჰმუდოვის განმარტებით, საგამოძიებო-ოპერატიული ჯგუფი, რომელშიც შედიან უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებისა და გენპროკურატურის თანამშრომლები, უახლოეს ხანებში აპირებს, მოძებნოს დამნაშავეები ინტერპოლის "წითელი ხაზით".

"ამ ხაზის საშუალებით, ჩვენ მოვძებნით ეჭვმიტანილებს 180 ქვეყანაში", - განაცხადა მაჰმუდოვმა. მისი თქმით, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები მაღალ დონეზე მიმდინარეობს.

აზერბაიჯანელი სამართალდამცავები ელოდებიან ამერიკის გამოძიების ფედერალური ბიუროს ექსპერტიზის პასუხს იმ საგნებზე, რომლებიც ჟურნალისტის მკვლელობის ადგილზე იპოვეს. ოფიციალური ბაქო გამოძიების დეტალებს მკაცრად ასაიდუმლოებს.

შეგახსენებთ, რომ ელმარ ჰუსეინოვი 2005 წლის 2 მარტს მოკლეს საკუთარი სახლის სადარბაზოში. აზერბაიჯანის მთავრობა ჟურნალისტის მკვლელობაში ეჭვმიტანილებად აცხადებს 2 პიროვნებას - ტაჰირ ხუბანოვს და თეიმურაზ ალიევს; ამტკიცებს, რომ ისინი საქართველოს მოქალაქეები არიან. საქართველოს გენპროკურატურა არ იზიარებს აზერბაიჯანის მხარის მტკიცებას და აცხადებს, რომ სანამ არ იქნება შესწავლილი მასალები, ნაადრევია საუბარი ეჭვმიტანილების მოქალაქეობრივ კუთვნილებაზე. გენპროკურატურამ აზერბაიჯანიდან ოფიციალური შეტყობინება, დაახლოებით, ერთი კვირის წინ მიიღო.

პრაიმ-ნიუსი

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ვითარება დღითიდღე იძაბება

ერთი კვირის წინ ცხინვალში გაუჩინარებული ოთხი ქართველის ადგილ-სამყოფელი კვლავ გაურკვეველია, რის გამოც, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სიტუაცია დღითიდღე იძაბება. დაკარგულების ახლობლები, მათი ბედის გარკვევის მოთხოვნით, პერმანენტულ აქციებს მართავენ. უგზო-უკვლოდ გაუჩინარებულთა ნათესავები მომხდარ ფაქტს პოლიტიკურ ანგარიშსწორებად აფასებენ და ეჭვობენ, რომ გატაცებული ქართველები შურისძიების გამო მოკლეს, თუმცა ამის რეალური კვალი არც სამართალდამცველებს და არც სამშვიდობოებს ჯერჯერობით არ გააჩნიათ.

ამასობაში კი ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ოსური მხარე ქართული სოფლების გარშემო სიმაღლეებს ამაგრებს. გავრცელებული ინფორმაციით, ქართული სოფლებიდან კარგად ჩანს, სიმაღლეებზე როგორ აქტიურობენ შეიარაღებული პირები; მობილიზებულია სპეციალური ტექნიკაც სანგრების გასათხრელად.

ადგილობრივი მცხოვრებლების ინფორმაციით, ბოლო სამი დღის განმავლობაში ოსური მხარიდან ყოველ ღამე ისმის ავტომატური იარაღიდან სროლის ხმა.

დიდი ლიახვის ხეობაში, ვითარების უკიდურესად გამწვავების გამო, ადგილობრივ მოსახლეობასთან შესახვედრად შაბათს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის საკითხთა კომისიის წევრები ჩავიდნენ.

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ტრანსპორტითა და ფეხით მოსიარულეებს რუსი სამშვიდობოები ცხინვალისკენ გადაადგილების ან ცხინვალიდან გასვლის უფლებას მხოლოდ ორ საათში ერთხელ აძლევენ, რის გამოც, დიდი ლიახვის ხეობის მოსახლეობა ბლოკადაშია მოქცეული და ხელისუფლებისგან სასწრაფო ზომების გატარებას ითხოვს.

დაკარგულთა ახლობლებსა და ოჯახის წევრებს კონფლიქტის ზონაში შერეული სამშვიდობო ძალების სარდალი მარად კულახმეტოვიც შეხვდა, თუმცა მან გაუჩინარებულთა მდგომარეობის შესახებ მათ ახლობლებს ვერანაირი დამაიმედებელი ინფორმაცია ვერ მიაწოდა.

"გამოძიებას ქართველი და ოსი სამართალდამცველები აწარმოებენ და რაიმე განსაკუთრებული ზომების მიღება ჩემს კომპეტენციაში არ შედის", - ასეთი გახლავთ კულახმეტოვის განცხადება. თუმცა, კულახმეტოვი აკონკრეტებს, რომ სამშვიდობოები ამ ფაქტით დაინტერესებულნი არიან და ყველაფერს გააკეთებენ, რათა პრობლემა არ გამწვავდეს. მან მოსახლეობას იმედი მისცა, რომ სიმართლე უახლოეს ხანში გაირკვევა.

ერთი სიტყვით, ამ დროისთვის კონფლიქტის ზონაში ქართულ და ოსურ მხარეებს შორის მიმოსვლა შეჩერებულია. დაკარგული ოთხი ქართველის ოჯახის წევრები და ახლობლები კი მომხდარის დეტალურად გარკვევამდე კვლავ საპროტესტო აქციებით იმუქრებიან.

24 საათი

შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა გამოსცა კრებული "ვსწავლობთ ტექსტის გააზრებას". კრებული განკუთვნილია 9-10 წლის ბავშვებისათვის და ემსახურება კითხვის უნარის განვითარებას, მოაზროვნე, აქტიური მკითხველის ჩამოყალიბებას, რაზეც ზრუნვა სწავლების ადრეულ საფეხურზევე უნდა დაიწყოს.

კრებულში წარმოდგენილია მასალა, რომელიც გამოყენებული იყო განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტით გათვალისწინებულ 2003 წლის სასწავლო პროცესის შეფასებაში. ეს არის ხალხური ზღაპარი, ლიტერატურული ზღაპარი, თანამედროვე საბავშვო მოთხრობა, ისტორიული მოთხრობა და ლექსები, აგრეთვე, საინფორმაციო ხასიათის ტექსტები, რომლებიც მათემატიკისა და ბუნების სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი მასალის ანალოგიურია და რომელთა მსგავს ტექსტებს მოსწავლეები საბავშვო ენციკლოპედიებიდან, ჟურნალებიდან და გაზეთებიდან იცნობენ. ტექსტებს ერთვის სხვადასხვა სირთულის ტესტური კითხვები და დავალებები. კრებული დახმარებას გაუწევს მასწავლებლებს, ნაყოფიერად იმუშაონ მოსწავლეებთან კითხვის უნარის განსავითარებლად.

კრებულის შეძენა შესაძლებელია წიგნის მაღაზიებში: "წიგნის სახლი" (გამსახურდიას 31) და "ლიტერატურული კაფე" (კოსტავას 46/50), წიგნის მაღაზია "პრიმავერა-ჯორჯია (ცოტნე დადიანის 43), აგრეთვე "სასკოლო ბიბლიოთეკარში" (შალვა დადიანის 11),

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი



ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION

ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის სარესურსო ცენტრი (CRC) აცხადებს კონკურსს 2005 წლის შემოდგომაზე ერთკვირიან სესიებში მონაწილეობის მისაღებად. კონკურსში გამარჯვებულთათვის გათვალისწინებულია ვიზიტი უნივერსიტეტში, სადაც საშუალება მიეცემათ, დაამუშაონ სასწავლო პროგრამა, ისარგებლონ ბიბლიოთეკით. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად განმცხადებელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:
- ასწავლიდეს უმაღლეს სასწავლებელში სოციალურ ან ჰუმანიტარულ დისციპლინას, ამზადებდეს ახალ სასწავლო კურსს ან სრულყოფდეს არსებულს
ფლობდეს ინგლისურ ენას
- წარმოადგინოს ყველა მოთხოვნილი დოკუმენტი

http://www.ceu.hu/crc/

2005 წლის შემოდგომისათვის ჩატარდება შემდეგი ტიპის სესიები:

- ღია სახლის სესიები (Open House Sessions):

გარემოს დაცვითი მეცნიერებები 24-29 ოქტომბერი **(საბუთების ჩაბარების ბოლო ვადა: 15 სექტემბერი 2005)**

- ინოვაციური კურსების სესიები:

ისტორია: 29 სექტემბერი - 5ოქტომბერი **(საბუთების ჩაბარების ბოლო ვადა: 25 აგვისტო 2005)**
(ევროპის რელიგიების შედარებითი ისტორია. შუა საუკუნეებიდან მე-19 საუკუნემდე)

მედია: 10-16 ოქტომბერი **(საბუთების ჩაბარების ბოლო ვადა: 1 სექტემბერი 2005)**
(ახალი მედია და პოლიტიკა)

სოციოლოგია: 7-11 ნოემბერი **(საბუთების ჩაბარების ბოლო ვადა: 15 სექტემბერი 2005)**
(მიგრანტების ინტეგრაცია)

ღია საზოგადოების არქივები და ისტორია: 21- 25 ნოემბერი **(საბუთების ჩაბარების ბოლო ვადა: 5 ოქტომბერი 2005)**
(თანამედროვე ისტორიის სწავლება: "სამიზდატი", როგორც სოციალური და პოლიტიკური ფენომენი და ძირითადი წყარო)

- თემატური საკითხები სასწავლო პროგრამის განვითარებაში:

მედიაველისტიკა: 14 -18 ნოემბერი **(საბუთების ჩაბარების ბოლო ვადა: 5 ოქტომბერი 2005)**
(ბოლონიის პროცესი და მისი გავლენა ისტორიულ მეცნიერებებში ახალი სალექციო კურსების განვითარებაზე)

სესიების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციის, საგანაცხადო ფორმებისა და კონსულტაციებისათვის მიმართეთ ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველოს" ოფისს, შემდეგ მისამართზე: ჭოველიძის ქ. 10,

ტელ: 25 04 63, 25 05 92; ან ეწვიეთ ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდს:

http://www.ceu.hu/crc/

უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

ანკეტა

სახელი, გვარი.....

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი .....

საკონტაქტო ტელეფონი.....

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქეროსანებში არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ასევე თბილისში მეტროს ავლით რამოთველილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ამბეტელის თეატრი" (ცენტრი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II",
(ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაჭლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაკე-ფშაველას 45 "სოფეშენის" შენობის ხლ სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფურცელ ფოსტით შემდეგ მისამართზე: Off ამბელისი, წერეთლის გამზ.77 იურიდიული ოფისი "გაპი".

ვიწრო სპეციალიზაციის მოსამართლეობის მსურველები გამოცდას აბარებენ

სასამართლო რეფორმის მეორე ეტაპი გრძელდება. სამქალაქო სასამართლოების - ანუ ვიწრო სპეციალიზაციით შექმნილმა მართლმსაჯულებამ პირდაპირი გავლენა მოახდინა სამოსამართლეო გამოცდებზე, რომლებიც რამდენიმე დღის წინ დაიწყო. უკვე წარსულს ჩაბარდა მოსამართლეობის მსურველების მხრიდან საერთო იურისპრუდენციის ცოდნის აუცილებლობა. დღეიდან საქართველოს კონკრეტული დარგის – სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების ვიწრო სპეციალისტები სჭირდება. ორი დღის წინ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დაწყებული სამოსამართლეო ტესტური გამოცდებიც სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

"ვინაიდან მთლიანად ვცვლით სასამართლო სისტემას ფუნქციონალურადაც და შინაარსობრივადაც, ეს, ასევე, გულისხმობს ახალი კადრების მოზიდვასაც. ბუნებრივია, აუცილებელია გამოცდა, რომლის გარეშეც, ადამიანი ვერ დაინიშნება მოსამართლედ", - განაცხადა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილმა.

სამოსამართლეო გამოცდაზე, რომელიც პარლამენტის შენობაში ორი დღის წინ დიწყო, (ატესტაცია საერთო სპეციალიზაციაში ჩატარდა), განაცხადი 203-მა კანდიდატმა წარადგინა, თუმცა გამოცდაზე მხოლოდ 178 კანდიდატი გამოცხადდა. აქედან, იუსტიციის საბჭოს პრესმდივნის ნათია გვასალიას ინფორმაციით, გამოცდა უმეტესობამ წარმატებით ჩააბარა.

ტესტური გამოცდების მეორე ეტაპი სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართალში ჩატარდა, სადაც განაცხადი სულ 563-მა "აბიტურიენტმა" შეიტანა. სამოქალაქო სამართალში მოსამართლეობის 388 მსურველი აღმოჩნდა, რომლებმაც გამოცდის ჩაბარების შემდეგ, მაქსიმალური 100 ქულიდან, 75 ქულა მაინც უნდა დააგროვონ, რათა შემდგომ ტურში გასვლის უფლება მოიპოვონ. მოსამართლეობის ის კანდიდატები, რომლებიც 75 ქულას და მეტს დააგროვებენ, მომავალ შაბათს წერით გამოცდას ჩააბარებენ.

მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდები, რომელიც ამერიკის იურისტთა ასოციაციის ფინანსური და ტექნიკური უზრუნველყოფით გუშინ ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში ჩატარდა, ატესტაციის პერიოდშივე უიღბლო აღმოჩნდა ერთი "აბიტურიენტისთვის". იგი გამოცდების ქართველმა და უცხოელმა დამკვირვებლებმა მობილური ტელეფონის გამოყენებისთვის დარბაზიდანვე გააძევეს. მოსამართლეობის რამდენი მსურველი შეძლებს მოსამართლის სერტიფიკატის მიღებას, ოფიციალურად დღეს გახდება ცნობილი. თუმცა, არაოფიციალურად გუშინ რამდენად წარმატებულად გაართვეს თავი ატესტაციას მოსამართლეობის მსურველებმა, გამოცდების დასრულებისთანავე ეცოდინებათ, რადგან სწორი პასუხები ატესტაციის დასრულებისთანავე გამოცხადდა.

სამოსამართლეო გამოცდები დღესაც გაგრძელდება, რის შემდეგაც მოსამართლეობის მსურველ "აბიტურიენტებს" მეორე ეტაპის გავლა მოუწევთ და საქართველოს ვიწრო სპეციალიზაციის მოსამართლეებიც ეყოლება.

24 საათი

მოკლედ

ქსნის კოლონიაში პოლიციის ორი აგენტის ვინაობა გაიშიფრა

ქსნის კოლონიაში პოლიციის ორი აგენტის ვინაობა გაიშიფრა, რომლების სიცოცხლესაც დანარჩენი პატიმრებისგან საფრთხე ემუქრება.

"ასეთ დროს ციხის ხელმძღვანელები აგენტებს საგამოძიებო იზოლატორებში აბრუნებენ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი, მათ გადაყვანას რუსთავის კოლონიაში აპირებენ. თუმცა, გაშიფრულებს იქ გადასვლაც აშინებთ, - ამბობს ელენე თევდორაძე, რომელიც პატიმრების მონახულებას უახლოეს დღეებში აპირებს.

მისივე თქმით, აგენტების გაშიფვრა საპატიმროებში არ უჭირთ ხოლმე. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, მათი ვინაობა ციხის ხელმძღვანელებისგანაც ხმაურდება. წინა ხელისუფლების მმართველობის დროს ასეთი შემთხვევა იმიტომ მოხდა, რომ აგენტმა ციხის ხელმძღვანლებთან თანამშრომლობის გაგრძელება აღარ მოინდომა.

ელენე თევდორაძის თქმით, პატიმრები აგენტობაზე, სულ რაღაც, 10 ლარის საფასურადაც თანხმდებიან. თუმცა, მათ ეს თანხა არ ჰყოფნით, ამიტომ ხშირად ციხის უფროსებს დეზინფორმაციასაც აწვდიან, რათა შემოსავალი გაეზარდოთ.

"ციხეებში აგენტების გამოყენების პრაქტიკა ამერიკისა და ევროპის ქვეყნებშიც არსებობს, გაშიფვრის შემთხვები იქაც აქვთ ხოლმე, თუმცა პენიტენციური სისტემა განსხვავებულია, ამიტომ პრობლემებიც ნაკლებად ექმნებათ", - ამბობს თევდორაძე. მისი აზრით, გამოსავალი ის არის, რომ აგენტებთან ტრეინინგები ჩატარდეს, რათა მათ ციხის ხელმძღვანელობასთან თანამშრომლობის მაღალი კულტურა გამოუმუშავდეთ და არც ადვილად გაიშიფრონ.

ჯი-ეიჩ-ენი

რუსმა სამშვიდობოებმა ოტობაიას გამგებლის ვაჟს სასტიკად სცემეს

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში, გალის რაიონის სოფელ ოტობაიაში ადგილობრივ ახალგაზრდებსა და რუს სამშვიდობოთა 210-ე საგუშაგოს ჯარისკაცებს შორის ჩხუბი მოხდა. თვითმხილველთა თქმით, ინციდენტი ფეხბურთის თამაშს მოჰყვა. რუს ჯარისკაცებსა და ადგილობრივ ახალგაზრდებს შორის კონფლიქტი შელაპარაკებით დაიწყო და ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა. ჩხუბის შედეგად სასტიკად არის ნაცემი სოფლის გამგებლის დალი ხალვაშის ვაჟი ლაშა სახეიშვილი. მას სხეულის მრავლობითი დაზიანება აღენიშნება - კერძოდ, დაზიანებული აქვს თავის ქალა, ასევე, აღენიშნება მრავლობითი მოტეხილობაც. დაზარალებული ზუგდიდის რესპუბლიკურ საავადმყოფოშია მოთავსებული, სადაც მას ოპერაციას გაუკეთებენ.

მკურნალობის ხარჯებს მთლიანად ქართული მხარე დაფარავს.

რუსი სამშვიდობოების მიერ ნაცემი ლაშა სახეიშვილი სამეგრელო-ზემო სვანეთში პრეზიდენტის რწმუნებულმა კახა არდიამ მოინახულა.

"ეს ფაქტი აღმაშფოთებელია. ეს არ არის პირველი შემთხვევა - რუსი სამხედროები ნასვამ მდგომარეობაში მოსახლეობაში გადიან და სჩადიან ცუდ საქციელს", - განაცხადა კახა არდიამ.

საქმეში ოთხმხრივი საგამოძიებო კომისიაა ჩართული. იგეგმება სახეიშვილის ცემაში ეჭვმიტანილი რუსი სამხედროების დაკითხვა.

24 საათი

6 ათას ლარამდე ღირებულების კონტრაბანდული საქონელი – ორ დღეში

სამართალდამცავებმა ბოლო ორი დღის განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, დაახლოებით, 6 ათასი ლარის ღირებულების კონტრაბანდული საქონელი ამოიღეს.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, ძალოვანმა სრტუქტურებმა დუშეთის რაიონის სოფელ მლეთაში დაკავებულ ავტომანაქანაში აღმოაჩინეს ჩრდილო ოსეთის სოფელ ბალთაში მცხოვრებ 44 წლის ლარისა პავლიაშვილის კუთვნილი 1524 ლარის ღირებულების 1014 კოლოფი უაქციზო სიგარეტი და სხვადასხვა დასახელების 700 ლარის ღირებულების სურსათი, რაც პავლიაშვილს ყაზბეგიდან თბილისში გადაჰქონდა. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით მოკვლევას მცხეთა-მთიანეთის საფინანსო პოლიცია აწარმოებს.

იმავე დღეს სამართალდამცავებმა დუშეთის რაიონის დაბა ფასანაურთან დააკავეს ავტომანქანა "ფორდ-ტრანზიტი", რომლის მძღოლს, ყაზბეგის რაიონის სოფელ ტყარშეთში მცხოვრებ 31 წლის ტ. მაისურაძეს ყაზბეგიდან თბილისში 1500 ლარის ღირებულების სურსათი გადაჰქონდა. ავტომანქანა საგადასახადო ინსპექციას გადაეცა.

სამართალდამცავებმა გორის რაიონის სოფელ საქაშეთში დააკავეს ავტომანქანა "უაზი", რომლის მძღოლს, სოფელ ქვემო სობისში მცხოვრებ 27 წლის კ. აწკარუნაშვილს უსაბუთოდ 1200 ლიტრი სპირტი გადაჰქონდა. გამოძიებას გორის შს სამმართველო აწარმოებს.

პრაიმ-ნიუსი

გაზეთი „24 საათი“, „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრთან“ ერთად, აწარმოებს ღია დისკუსიას საქართველოს ენერგოსექტორის მოწყობის, რეფორმირების, დარგში კორუფციის აღმოფხვრის გზების ძიების საკითხებზე. დარგის სპეციალისტებს და დამოუკიდებელ ექსპერტებს, ეკონომისტებსა და იურისტებს ვეპატიჟებით ჩვენს ღია დისკუსიაში მონაწილეობისთვის. შეგიძლიათ მასალები (აგრეთვე, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც დარგისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევთ) მოგვაწოდოთ გაზეთ „24 საათის“ რედაქციის ეკონომიკის განყოფილებაში economics@24hours.ge (tel: 20-24-24) ან „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის“ ელექტრონულ ფოსტაზე energy@ecm.ge, ან დაუკავშირდეთ პროექტის ხელმძღვანელს ელექტრონულ მისამართზე maya_u@gol.ge.

ECM ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი
Center of Economic Corruption Monitoring

The Eurasia Foundation Georgia Office

ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და ენერგორეფორმების საზოგადოებრივი მხარდაჭერის პროექტს „ენერგეტიკა – კორუფციის გარეშე“ „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი“ ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, ფონდ „ევრაზიისგან“ მიღებული გრანტის მეშვეობით ახორციელებს. მიუხედავად ამისა, პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. მასალების შინაარსზე პასუხს „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი“ აგებს.

სგსე-ს წარმატებული რეფორმა - გზა ენერგოკრიზისის დაძლევისკენ

საქართველოს ენერგეტიკისთვის ფული კვლავ პრობლემაა. ელექტროენერგეტიკულ სექტორში მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების საკითხი კვლავ იმ დილემად რჩება, რომელიც დარგის ნორმალურ ფუნქციონირებას უშლის ხელს. ამ ფონზე, დარგში ვითარების გამოსწორებისთვის საკვანძო მნიშვნელობა აქვს ენერგოდისტრიბუტორების მუშაობას. "შავი ხვრელი", სადაც მთელი ქართული ენერგეტიკის შემოსავლები უკვალოდ ინთქმება, ძველებურად, საქართველოს რეგიონებია, რომელთაც ამერიკული "პი-ეი კონსალტინგის" მიერ მართული "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" (სგსე) ემსახურება. კომპანიაში რეფორმა 2003 წლის გაზაფხულის ბოლოდან, ანუ მის მენეჯმენტში ამერიკული კომპანიის შემოსვლის დღიდან დაიწყო. "პი-ეი კონსალტინგში" აცხადებენ, რომ დღეს კომპანიაში ვითარება გაცილებით გაუმჯობესდა, თუმცა სასურველი ეფექტისგან ჯერ ისევ შორს ვართ. კომპანია მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის მეექვსედს თუ იხდის ხოლმე და, ისიც, გაჭირვებით. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რეგიონების სოციალურ მდგომარეობასთან ერთად, საზოგადოებრივი განწყობაა, რომელიც ვერა და ვერ "გადაეწყო" თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის რელსებზე, რაც რეფორმირების პროცესს სერიოზულ წინაღობებს უქმნის.

ამიტომ, ვინაიდან სგსე-ს რეფორმირებაზე მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული ქვეყნის ენერგეტიკის აღორძინება, დღეს "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" შეეცადა, მკითხველისთვის განემარტა, რაში მდგომარეობს სგსე-ს რეფორმის არსი და კომპანიის ერთ-ერთი ფილიალის მაგალითზე წარმოეჩინა ის ცვლილებები, რომელთა განხორციელების შედეგად კომპანიის მოხმარება და ამოღების მაჩვენებლები ოდესმე მაინც უნდა დაუახლოვდეს ერთმანეთს.

მასალები, რომლებზე დაყრდნობითაც პუბლიკაცია მომზადდა, სგსე-ს მცხეთა-მთიანეთის ფილიალის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა მოგვაწოდა.

სგსე-ს რეფორმა პირველ რიგში იმ კორუფციული ხვრელების ამოქოლვას ითვალისწინებს, რომლებიც წლების განმავლობაში აზარალებდა ენერგეტიკას. კერძოდ, საუბარია კომპანიის დისპეტჩერების გარიგებებზე "სახელმწიფო ელექტროსისტემის" დისპეტჩერებთან, რის შედეგადაც ელექტროენერგიის გადადინების კვანძებში მრიცხველების "ჩამოყრა" და მოხმარებული ელექტროენერგიის შესახებ ოფიციალური მონაცემების გაყალბება სისტემატურ ხასიათს ატარებდა.

რეფორმირების შემდეგ (რასაც ფინანსურად დონორები – აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო, გერმანიის საკრედიტო ბანკი და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი - უჭერენ მხარს), სგსე-სა და "სახელმწიფო ელექტროსისტემას შორის გადადინების წერტილები მკაცრი აღრიცხვის ზონაში უნდა მოექცეს და უნდა გაკონტროლდეს ყველა საკვანძო წერტილი, საიდანაც ელექტროენერგიის სოლიდური ნაკადები შეიძლება "აორთქლდეს".

ზოგადი ინფორმაცია სგსე-სა და მისი მმართველის შესახებ

"პი-ეი კონსალტინგ გრუპი" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" მართვას საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული შუალედური მმართველობითი ხელშეკრულების შესაბამისად, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით ახორციელებს. გარდა "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" მართვისა, "პი-ეი კონსალტინგი" ზედამხედველობას უწევს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საქართველოს ენერგოუსაფრთხოების ინიციატივის რამოდენიმე დიდ პროგრამას, საქართველოს ზამთრის გათბობის დახმარების, საკრედიტო სისტემის განვითარებისა და თემთა მობილიზების პროგრამის ჩათვლით.

სგსე 2002 წელს, რეგიონალური ელექტროგამანაწილებელი კომპანიების შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდა. ის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კერძო სააქციო საზოგადოებაა, რომლის აქციების 100 პროცენტის მფლობელი სახელმწიფოა. კომპანიის მომსახურეობის არეალი ფარავს საქართველოს ტერიტორიის 70 პროცენტს და მოიცავს სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, გურიის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის და შიდა ქართლის რეგიონებს. კომპანიას დაახლოებით 660 000 მომხმარებელი და 4 000 თანამშრომელი ჰყავს.

მცხეთა-მთიანეთის ფილიალის სტრუქტურა

"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" რეგიონალური მართვის პრინციპზე გადასვლასთან დაკავშირებით, რეორგანიზაციის შემდეგ ჩამოყალიბდა 6 ფილიალი, მათ შორის - მცხეთა-მთიანეთის. ეს ფილიალი 2004 წლის 22 ოქტომბერს შეიქმნა. ფილიალის მომსახურების არეალი დაყოფილია 7 სერვის ცენტრად, გეოგრაფიულ-ტექნიკურ საფუძველზე, აბონენტთა რაოდენობა არის 44 644 აქედან, 90 პროცენტი სოფლის მოსახლეობაა. ფილიალის საშუალო თვიური მოხმარება შეადგენს 15,000,000 კვტ.;

[illegible]	5365	365	950
[illegible]	14967	365	420
[illegible]	9921	202	367
[illegible]	3678	120	450
[illegible]	4221	289	250
[illegible]	1498	103	230
[illegible]	3513	137	190
[illegible]	43163	1481	408

ზოგადი მონაცემები ფილიალის შესახებ

ფილიალის მომსახურების ტერიტორია მოიცავს მცხეთა-მთიანეთის რეგიონის 5 რაიონს: მცხეთის, დუშეთის, თიანეთის, ახალგორის, ყაზბეგის რაიონი. ფილიალის მომსახურების თითქმის მთელი ტერიტორია მაღალმთიანია, ბუნებრივ-კლიმატური პირობები არის ძალზედ მკაცრი. ხშირია დიდთოვლობის და მეწყერების მიერ გამოწვეული ავარიები მაღალი ძაბვის გადამცემ ხაზებზე. ხშირად ფილიალის ტექნიკური სამსახური ექსტრემალურ ვითარებაში მუშაობს ავარიული ობიექტების შესაკეთებლად.

ფილიალის ტექნიკური აქტივები, რომელთა მეშვეობითაც სგსე მცხეთა-მთიანეთის ფილიალი ახდენს ელ. ენერგიის დისტრიბუციას საკუთარ მომსახურების ტერიტორიაზე, მოიცავს: მაღალი ძაბვის საერთო დადგმული სიმძლავრის 12 ქვესადგურს დუშეთში; 15 ერთეულ 110 და 35 კილოვოლტიან ელექტროგადამცემ ხაზს საერთო სიგრძით-280 კმ; 1000-მდე 6/0.4 და 10/0.4 ტიპის ძალოვან ტრანსფორმატორს და 0.4 კილოვოლტიან ქსელს, რომლის საერთო სიგრძე 2 800კმ-ს შეადგენს.

ფილიალის კონტროლი დუშეთის ქვესადგურებზე იძლევა საშუალებას, ზუსტად გაკონტროლდეს გრაფიკების დაცვა, მოკლე დროში მოხდეს დაზიანებული ელექტრომოწყობილობების შეკეთება, გარანტირებულია ინფორმაციის მიღების სისწრაფე და სიზუსტე.

"საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ" უკვე დაიწყო 110 და 35 კვ-ანი აქტივების სგსე-სთვის გადაბარების პროცესი. სგსე მცხეთა-მთიანეთის ფილიალში აცხადებენ, რომ ეს პროცესი ეტაპობრივად წარიმართება. ამჟამად ფილიალში მიიჩნევენ, რომ საჭიროა ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების მხრიდან აქტიური თანამშრომლობა რიგი ტრანსფორმატორების და ელ. გადამცემი ხაზების კომპანიის ბალანსზე გადმოცემის საქმეში, რათა ენერგოკომპანიამ განახორციელოს მიზანმიმართული ინვესტირება ფილიალის ელექტროტექნიკური ქსელის გამართულად მუშაობისთვის.

ფილიალის ტექნიკური მდგომარეობა



დისბალანსი ლიმიტებსა და რეალურ მოხმარებას შორის.

ფილიალისთვის ელ. ენერგიის მოხმარების საბითუმო ბაზრის მიერ დაწესებულ ლიმიტს და რეალურ მოხმარებას შორის ბალანსი დარღვეულია. ფილიალი აღნიშნული პრობლემის გადაჭრის გზად, ერთი მხრივ, მაღალი და დაბალი ძაბვის აქტივების ფილიალის ბალანსზე გადმოცემას და მეორე მხრივ, ელ. ენერგიის ხარჯის დაზოგვის მიზნით კომუნალური და ინდივიდუალური აღრიცხვიანობის მოწესრიგებას მიიჩნევს.

როგორც ფილიალში აცხადებენ, რეორგანიზაციის შემდეგ დაიწყო ფილიალის ტექნიკური აქტივების ანალიზი, ჩატარდა ლაბორატორიული გაზომვები, შემუშავდა პრიორიტეტები; დაინიშნა უსაფრთხოების ინჟინერი, ვინც კურირებს სამუშაოების შესრულების პროცესში უსაფრთხოების წესების დაცვას და ატარებს საჭირო ინსტრუქტაჟებს; ფილიალის 10-მა თანამშრომელმა გაიარა კვალიფიკაციის კურსები; დიდი ავრიების დროს საქმეში ერთვება მთელი ფილიალის რესურსი; გეგმიური პროექტების განხორციელებამ მიიღო პერმანენტული ხასიათი. სახეზეა წარმატებული პროექტები.

ფილიალის ფინანსური მდგომარეობა

რეორგანიზაციამდე:

მომსახურების ცენტრები დამოუკიდებლად, უკონტროლოდ განკარგავდნენ ხარჯებს;

შესყიდვის ოპერაციებზე პასუხისმგებლობები იყო გაფანტული;

არ ხდებოდა ფინანსური ფორმების კომპიუტერული შევსება;

ფულის მოძრაობა ხდებოდა ხელით;

რეორგანიზაციის შემდეგ:

ფილიალი ყველა ფინანსურ ოპერაციას ცენრტალიზებულად მართავს;

პასუხისმგებლობა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე დაკისრებულია და კონტროლირდება ბუღალტერიის მიერ;

სამეურნეო სამსახური პასუხისმებელია შესყიდვის ოპერაციებზე;

ფილიალში დაინერგა საბანკო ანგარიშსწორების პრაქტიკა;

სერვის ცენტრები მუშაობენ ერთიან ფინანსურ სტანდარტულ ფორმებზე;

ფინანსური მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია არქივდება კომპიუტერულ ბაზებში;

მოხმარებული დენის საფასურის ამოღების მაჩვენებლები



ა-გადარიცხვები; ბ-თანხის ამოღების მაჩვენებლები; გ-ადგილობრივი ხარჯები.

ფილიალის საკადრო მდგომარეობა

რეორგანიზაციამდე:

მენეჯმენტის არაპროფორიტეტული დამოკიდებულება დროისა და ადამიანური რესურსების დაგეგმვის და მართვის კუთხით;

დასაქმებული იყო 560 თანამშრომელი დუბლირებული ფუნქციებით, არასპეციალისტები, საპენსიო ასაკს გადაცილებული;

მომსახურება:

1 თანამშრომელი – 80 აბონენტი; საშუალო ხელფასი – 100 ლარი;

ახალგაზრდა პროფესიონალი კადრების კრიზისი;

თანამშრომელთა მოტივირების მექანიზმების არარსებობა, სამუშაოს მიმართ გულგრილობა, კორუფცია;

არაეფექტური თანამდებობრივი სტრუქტურა;

რეორგანიზაციის შემდეგ:

ინერგება დროისა და ადამიანური რესურსების დაგეგმვის მეთოდიკა, ფილიალში კადრების სამსახურმა დაიწყო საკონტრაქტო სისტემის დანერგვა, კადრების შერჩევის მთავარი მოთხოვნა პროფესიონალიზმია;

რეორგანიზაციის შემდეგ სამუშაოზე დარჩა 360 თანამშრომელი ზუსტად გაწერილი სამსახურეობრივი ინსტრუქციით;

მომსახურება:

1 თანამშრომელი – 130 აბონენტი;

საშუალო ხელფასი – 300 ლარი;

ფილიალის საპასუხისმგებლო თანამდებობებზე დაინიშნა 7 ახალგაზრდა, ვინც წარმატებით გაიარა "ზაფხული 2004" სტაჟირების პროგრამა;

10 ტექნიკურმა პერსონალმა გაიარა მიცხველების დამონტაჟების და შემდგომი ექსპლუატაციის პროფესიული გადამზადების კურსები.

გამოცხადებულია 34 საყვედური;

შეიცვალა თანამდებობრივი სტრუქტურა;

ფილიალის თანამდებობრივი სტრუქტურა

ფილიალის თანამდებობრივი სტრუქტურა მოიცავს ფილიალის დირექტორს, დირექტორის აპარატს და 3 განყოფილებას/სამსახურს. ესენია: ტექნიკური სამსახური, ფინანსური სამსახური და რეალიზაციის სამსახური. აღნიშნულ განყოფილებებს ჰყავთ საკუთარი საშტატო წარმომადგენლები ფილიალის მომსახურების ცენტრებში.

მომსახურების ცენტრების თანამდებობრივი სტრუქტურა

მომსახურების ცენტრების თანამდებობრივ სტრუქტურაში ძირითადი რგოლებია ტექნიკური და რეალიზაციის სამსახურები, რომელსაც მართავს მომსახურების ცენტრის მენეჯერი და ფილიალის შესაბამისი სამსახურები. მხოლოდ ფინანსური სამსახურის შტატები დაყვანილია მოლარემდე მას შემდეგ რაც, ფინანსურ ოპერაციებს ფილიალი ცენტრალიზებულად მართავს.

განხორციელებული ტექნიკური პროექტები

2004 წლის ივნისის შემდეგ ფილიალში დამუშავდა 70 000 ლარის ღირებულების ტექნიკური პროექტები:

ქვ. "დუშეთი 110"-სა და "გუდაური-110"-ში ოთხ 110 კვ-იან ზეთიან ამომრთველს ჩაუტარდა კაპიტალური შეკეთება;

ქვ. "დუშეთი 110"-ში კაპიტალური შეკეთება ჩაუტარდა ყველა 35კვ-იან ზეთიან ამომრთველს;

ქვ. "დუშეთი 110"-ში დამონტაჟდა ახალი სააკუმულატორო ბატარეა;

ქვ. "დუშეთი 110"-ში ჩატარდა მართვის ფარის შენობის გადახურვა, მეტალის კარებების და გისოსების მონტაჟი, მორიგე პერსონალის უსაფრთხო მუშაობის მიზნით;

ფილიალის მასშტაბით ჩაისხა 15000 ლიტრი სატრანსფორმატორო ზეთი;

დაგეგმილი ტექნიკური პროექტები

ფილიალში შემდგომი ტექნიკური პროექტების განსახორციელებლად გათვალისწინებულია 150 000 ლარი:

ფასანაურის 110 კვტ-იან ქვესადგურში y110 ტიპის 2 ზეთიანი ამომრთველის შეკეთება;

ქვ. "გუდაურის" სააკუმულატორო ბატარეის შეცვლა;

ქვ. "დუშეთი 110"-ში 110 კვ-იანი ზეთიანი ამომრთველების კაპიტალური შეკეთება;

დუშეთის ტრანსფორმატორის შეკეთება;

110 და 35 კვ-იანი ქვესადგურების შენობების შეკეთება და გამთიშველების პროფილაქტიკური შეკეთება;

ფილიალის საქმიანობის სამომავლო პრიორიტეტები

გამრიცხველიანების პროექტის განხორციელება:

სგსე-ში წლების განმავლობაში ელ. ენერგიის აღრიცხვა იყო მოუწესრიგებელი. აბონენტებმა და ენერგოკომპანიამ ზუსტად არ იცოდა მოხმარებული ელ. ენერგიის რაოდენობა. ენერგოკომპანიის მართვაში "ფი-ეი კონსალტინგ ჯგუფის" მოსვლის შემდეგ, წლების განმავლობაში პირველად, ენერგოკომპანიამ დაიწყო გამრიცხველიანების 2 ტიპის პროექტის განხორციელება:

კომუნალური გამრიცხველიანება;

ინდივიდუალური გამრიცხველიანება;

სგსე იმედოვნებს, რომ გამრიცხველიანების პროექტების განხორციელების დაწყებისთანავე შემცირდება ელ. ენერგიის დატაცების ფაქტები, რაც გაზრდის ამოღების მაჩვენებელს.

კომუნალური გამრიცხველიანება

სგსე-მ მთელი საქართველოს, მათ შორის, მცხეთა-მთიანეთის ფილიალის მასშტაბით დაიწყო სასოფლო ტიპის დასახლებებში კომუნალური გამრიცხველიანების პროექტის განხორციელება. კომუნალური მრიცხველები ყენდება სოფლებში არსებულ ტრანსფორმატორებზე და აღრიცხავს ელ. ენერგიის ხარჯს იმ უბნებისთვის, რომლებიც აღნიშნული ტრანსფორმატორებიდან მარაგდება ელ. ენერგიით.

კომუნალური გამრიცხველიანების პროექტის მიზანს წარმოადგენს:

დასახლებული უბნების მიხედვით ელ. ენერგიის მოხმარების და კომერციული კარგვების რაოდენობის კონტროლის განხორციელება;

დასახლებული უბნების მიხედვით აბონენტების მიერ მოხმარებული ელ. ენერგიის საფასურის განსაზღვრა კომუნალური მრიცხველის ჩვენების შესაბამისი ფულადი ოდენობით;

მცხეთა-მთიანეთის ფილიალის 821 ტრანსფორმატორის კომუნალური გამრიცხველიანებისთვის დაიხარჯება დაახლოებით 150 000 ლარი. ამჟამად შეძენილია კომუნალური მრიცხველები, დენის ტრანსფორმატორები და საჭირო ხელსაწყოები. კომუნალური მრიცხველების დამონტაჟება/ექსპლოატაციის სფეროში სპეციალური გადამზადება გაიარა ფილიალის 10-მა ტექნიკურმა თანამშრომელმა.

ფილიალში კომუნალური მრიცხველების დამონტაჟება დაიწყო 2005 წლის 18 მარტს და დასრულდება 2005 წლის ივნისში, 22 მაისის მონაცემებით ფილიალში დამონტაჟებულია 613 კომუნალური მრიცხველი. მრიცხველების დამონტაჟებაზე უშუალოდ მუშაობს 15 ერთეული 2 კაციანი ბრიგადა.

ენერგოკომპანიის რეფორმირების გზაზე კომუნალური მრიცხველების დაყენება წარმოადგენს ახალ მიდგომას გამრიცხველიანების კუთხით, რაც უზრუნველყოფს ტრანსფორმატორების დონეზე დენის მოხმარების და ამოღების მაჩვენებლების გამჭვირვალობას.

ინდივიდუალური გამრიცხველიანება

დღესდღეობით, სგსე-ის გაუმრიცხველიანებელ უბნებს მასიურად აწუხებს ენერგომომარაგებასთან დაკავშირებული პრობლემები, როგორც გრაფიკების ხანგრძლივობის ასევე გრაფიკების ფარგლებში სტაბილური ენერგომომარაგების კუთხით. არსებული მწირი ენერგორესურსების განაწილებისას საბითუმო ბაზარი და ენერგოკომპანია პრიორიტეტს გამრიცხველიანებულ უბნებს, ანუ ელ. ენერგიის საფასურის 100%-იან გადამხდელებს ანიჭებენ. ამდენად, სგსე-ის ქალაქის აბონენტების ინდივიდუალური გამრიცხველიანების მიმართულებით მუშაობის გაგრძელება მნიშვნელოვანია არსებული ენერგოკრიზისის ფონზე.

იმ პირობებში, როცა ახალი მრიცხველების შეძენა-დამონტაჟებისათვის საჭირო დაფინანსება არ არსებობს, მოიძებნა შემდეგი გამოსავალი: გამრიცხველიანება შესაძლებელია მოსახლეობიდან აკრეფილი თანხებით, (30 ლარის ოდენობით-დაიხარჯება მრიცხველის შემოწმების და დამონტაჟების პროცედურებზე), რომელიც მოსახლეობას ჩაეთვლება ძველი დავალიანების დაფარვაში, ხოლო დავალიანების არარსებობის შემთხვევაში აბონენტს გადახდილი თანხა ავანსად ჩაეთვლება.

მრიცხველების გამოტანის პროექტი წარმატებით განხორციელდა ქ. რუსთავში. მრიცხველების გამოტანის შემდეგ რუსთავის მოხმარება განახევრდა, 6 საათიანი გრაფიკი 18 საათიანი გრაფიკით შეიცვალა, ხოლო ამოღების მაჩვენებელი 20%-დან 95%-მდე გაიზარდა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მოსახლეობამ დაიწყო ელ. ენერგიის მოხმარების დაზოგვა და ყაირათიანი ხარჯვა, რამაც გარკვეულწილად დეფიციტის შემცირებას შეუწყო ხელი.

ამჟამად, მცხეთა-მთიანეთის ფილიალში მრიცხველების გამოტანის პრიორიტეტს ქალაქი მცხეთა წარმოადგენს.

ქალაქ მცხეთის ინდივიდუალური გამრიცხველიანება:

მცხეთაში გასამრიცხველიანებელია 3017(აქედან 900 კორპუსების) აბონენტი. მცხეთაში მრიცხველების გამოტანა, ისევე როგორც რუსთავში, ერთი აბონენტისთვის 30 ლარი ჯდება, საიდანაც 15 ლარს ყოველი აბონენტისთვის მცხეთის რაიონის გამგეობა ჩარიცხავს, ენერგოკომპანიასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის მიღწეული შეთანხმების შესაბამისად. აბონენტი გადაიხდის დანარჩენ 15 ლარს, რომელიც მას ჩაეთვლება ძველი დავალიანების დაფარვაში, ხოლო დავალიანების არარსებობის შემთხვევაში აბონენტს გადახდილი თანხა ავანსად ჩაეთვლება.

ენერგოკომპანია მცხეთაში დაამონტაჟებს ახალ 2200 მრიცხველს, ისინი მოთავსდება დახურულ კარადებში და დამონტაჟდება არსებულ ბოძებზე ინდივიდუალურად. მრავალსართულიან ბინებში, სადაც არის ნაწილობრივი გამრიცხველიანება, მოხდება არსებული მრიცხველების შეკეთება და საქსტანდარტის მიერ დამოწმება, ასევე, კარადებისა და ქსელის რეაბილიტაცია. მრიცხველების ჩვენების წაკითხვა შესაძლებელი იქნება კარადის კარების გაღების გარეშე, შუშის სარქველების მეშვეობით. შემუშავებულია მცხეთის ინდივიდუალური გამრიცხველიანების ტექნიკური სქემა კერძო სექტორის (ნახ. A) და კორპუსის აბონენტებისთვის(ნახ. B):



ნახ. ა და ბ.

პროექტის განხორციელება თავისთავად ნიშნავს გამრიცხველიანებული აბონენტებისთვის ენერგომომარაგებას პრივილეგირებული, ბევრად უკეთესი გრაფიკებით და დენის საფასურის გადახდას საკუთარი მრიცხველის ჩვენების მიხედვით, რაც დაამკვიდრებს სამართლიანობის პრინციპს და მოისპობა დამკვიდრებული სტერეოტიპი, რომლის პირობებშიც, წლების განმავლობაში, მხოლოდ ელ. ენერგიის რაოდენობის მიუხედავად, ყველა აბონენტი იხდიდა ფიქსირებულ გადასახადს.

მცხეთის გამრიცხველიანებას ენერგოკომპანია უახლოეს მომავალში გეგმავს, თუმცა ამ მხრივ მნიშვნელოვანია აბონენტების არჩევანი და აქტიური თანამშრომლობა კომპანიასთან. მრიცხველების გამოტანის პროექტის დასრულების შემდეგ ქ. მცხეთა შეება მომარაგების პრიორიტეტთა სიაში.

მცხეთის გამრიცხველიანებასთან ერთად, სახლმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული 20 მილიონი და სხვა დაფინანსების წყაროებიდან მცხეთა-მთიანეთის ფილიალში იგეგმება ქალაქის ტიპის სხვა დასახლებების ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროექტების დაფინანსებაც;

ამჟამად მიმდინარეობს ქალაქის ტიპის დასახლებების ინდ. გამრიცხველიანების პროექტების შედგენა.

ბილინგის ახალი სისტემის დანერგვა

ინდივიდუალურ გამრიცხველიანებასთან ერთად მცხეთა-მთიანეთის ფილიალში მიმდინარეობს ბილინგის ახალი სისტემის დანერგვა, რომელიც წარმოადგენს აბონენტის მიერ მოხმარებული ელ. ენერგიის შესაბამისი საფასურის გადახდის ეფექტურ ფორმას. აბონენტის მიერ საფასურის გადახდის სქემა ეტაპობრივია და მოიცავს 3 საფეხურს:



აბონენტის მიერ საფასურის გადახდის სქემა.

ბილინგის სისტემის სრულყოფილი მუშაობა თავისთავად ნიშნავს ინკასატორის ინსტიტუტის გაუქმებას. ანუ აიკრძალება ფულის ხელზე აღება და აბონენტი თავად გადაიხდის მოხმარებული ელ. ენერგიის საფასურს. ამგვარი სისტემა 100%-ით გამორიცხავს კორუფციული გარიგებების არსებობას.

ბილინგის განყოფილება დღეისათვის მთელ ფილიალში დაკომპლექტებულია. მიმდინარეობს მომხმარებელთა მონაცემთა ბაზების სრულყოფა და მომხმარებელთა მომსახურების ობიექტებისა-სალაროების მომზადება, პრიორიტეტული-გამრიცხველიანებული მომსახურების ცენტრების მიხედვით.

ბილინგის ახალ სისტემას გააჩნია მთელი რიგი უპირატესობები აბონენტებისთვის და ფილიალისთვის:

აბონენტისთვის ბილინგის სისტემა წარმოადგენს გარატიას, რომ მის მიერ გადახდილი თანხა არ გადაიქცევა კორუფციის წყაროდ და მოხმარდება ფილიალის მიერ დაგეგმილი ტექნიკური სამუშაოების დაფინანსებას;

აბონენტები ინდივიდუალურად მიიღებენ ინფორმაციას მათ მიერ გადასახდელი ელექტროენერგიის რაოდენობის და ღირებულების შესახებ;

გადახდის კონკრეტული ვადის ცოდნა დაეხმარება აბონენტს, მიცემული ვადის ფარგლებში მისთვის ხელსაყრელ დროს მოახდინოს გადახდა;

აბონენტები გადაიხდიან საფასურს მათთვის სპეციალურად მოწყობილ გადახდის პუნქტებში, რითაც გარანტირებული იქნება მათ მიერ გადახდილი თანხების დროული და სრული აღრიცხვა;

ფილიალისთვის ბილინგის სისტემის დანერგვა იძლევა სწრაფ, ეფექტურ, ყოველდღიური ანლიზის გაკეთების საშუალებას:

ფილიალს საშუალება ექნება დარიცხვის პროგრამის მეშვეობით მიიღოს მოხმარების და გადახდის ამომწურავი ანგარიშები ფიდერების, ტრანსფორმატორების ცალკეული ტერიტორიული ერთეულების და აბონენტების დონეზე;

აღნიშნული მონაცემები განმსაზღვრელი იქნება ფილიალის კარგი გადამხდელებისათვის უკეთესი გრაფიკების დაწესებისთვის;

ბილინგის პროგრამის დანერგვა საშუალებას მისცემს ფილიალს, დროულად მიიღოს ინფორმაცია ე.წ. კომერციული დანაკარგების შესახებ და მიმართოს შესაბამის ზომებს კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვა/გასატარებლად;

ენერგოკომპანია და მომხმარებელი

"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისთვის" მნიშვნელოვანია მომხმარებელთან ურთიერთობა კომპანიაში მიმდინარე პროცესების შესახებ აბონენტების სწორი და ოპერატიული ინფორმირების მიზნით. სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ ამ მიმართულებით გააქტიურა მუშაობა და ფილიალების დონეზე მუშაობა დაიწყო ენერგოკომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებმა, რომლთა უმთავრეს მიზანს ენერგოკომპანიის ფილიალების და მომხმარებლებს შორის კონსტრუქციული თანამშრომლობის ფორმირება წარმოადგენს.

ფილიალის და მომხმარებელის ურთიერთთანამშრომლობის მიზანია კომპანიაში რეფორმების გატარების ხელშეწყობა; რეფორმების საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოპოვება; საზოგადოების ანგარიშვალდებულების გაზრდა ენერგომოხმარების გადახდასთან დაკავშირებით; საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა ენერგოკრიზისიდან გამოსვლასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების და რეკომენდაციების შემუშავების პროცესებში.

ჭირითი ეთნოგრაფიულ მუზეუმში

B2

მოვიგე, ფეოლა!

B4

ლონდონში გაიხსნა წმინდა ვავლეს განახლებული ტაძარი

B8

მომავალ ორშაბათამდე!

ნოდარ ლადარია

"ეპოქა (პერიოდს უფრო დავარქმევდი), რომელშიც არსებობა გვიწევს, ნამდვილად გარდამავალია" — წერს 10 ივნისს თავის სვეტში **ნინია კაკაბაძე**. ადვილია, ამ დროს გაიხსენო თანამედროვე რუსი მწერლის, **ვიქტორ პელევინის** ახალი წიგნის სათაური — "გარდამავალი პერიოდი არსაიდან არსად". მაგრამ ამ ასოციაციას ერთგვარი დამტკიცება სჭირდება — დამტკიცების გარეშე ძალიან მძიმეა, ძალიან არასასურველი...

ნინია კაკაბაძის სვეტს კიდევ დავუბრუნდებით, ზემოთქმული გასამაგრებლად კი ტელეშოუ "ამტანს" მივმართოთ.

... ევრორემონტიან სახლში გამომწყვდეული ჯან-ღონით სავსე ყმაწვილები, თუ კარგად მოიქცევიან, დღეში ათ ლარს იღებენ. რიცხვით ექვსნი არიან. მაშასადამე სულზე დღეში 1 ლარი და 67 თეთრი გამოსდით. ვარდების რევოლუციის შემდეგ გაორმაგებული პენსიის ოდენობა 28 ლარია, ანუ დღიური თანხა 90-დან 93 თეთრამდე მერყეობს (დაილოცოს თებერვალი — მცხრალ წელიწადს დღიური პენსია 1 ლარს აღწევს!). ამავე დროს, ევრორემონტიან სახლში გამომწყვდეულ ყმაწვილებს შუქი 24 საათის განმავლობაში აქვთ, ისინი არ იხდიან დენისა და გაზის გადასახადებს, მომავალში გარდაუვალი საფლავის მაგიერ შესაძლო 5000 აშშ დოლარი უღიმით და ამ ყველაფერთან ერთად არ სტანჯავთ სინდისის ქენჯნა იმის გამო, რომ შვილიშვილის დაბადების დღისთვის გადადებული ლარიანი პურსა და ასანთში შემოეხარჯათ...

მაშ ვინ ყოფილა ნამდვილი "ამტანი"?

მაგრამ ჯერ სადა ხართ! — საარსებო სახსარი ყმაწვილებს დღეში ერთხელ მოსდით. როგორც არ უნდა დახარჯონ, იციან, რომ ხვალ იგივე განმეორდება: ესეც ქართული ოცნება — დათქმულ დროს კარს აღებს მელოტი ძია და მოწყალებას არიგებს. თავის გასატანად მათ არა თუ შრომა არ სჭირდებათ, არამედ ნაჩუქარი თანხის გამოზოგვაც კი! საოჯახო ეკონომიკა, რომლის წინაშე დღითი-დღე განმეორებული ერთადერთი შეკითხვა დგას — "ამით რა მოგვივა?" — ერთგვარი ანარეკლია მთელი ქვეყნის ეკონომიკისა, რომელსაც უკვე რამდენი წელია, რაც ტრანშიდან ტრანშამდე რის ვაი-ვაგლახით გააქვს თავი.

ამგვარი პროექტები სხვანაგაც ეწყობოდა. ურბანისტულ გარემოში აღზრდილ იტალიელებს ხორბალი და სიმინდი მოჰყავდათ ქათმების გამოსაკვებად და მათგან კვერცხის მისაღებად. რუსები თავიანთი ხელით აშენებდნენ სახლს. ქართველები? — დგანან და ელიან, როდის გაიღება კარი. მანამდე კი ყველაფერი სტუდენტების მიერ ბაკურიანში ღამეში ორ ლარად ნაქირავებ ბინას ჰგავს: იატაკზე დაყრილი ნივთები, ჯოკერის თამაში და გაუთავებელ, მონოტონურ და მოსაწყენ საქმის გარჩევამდე დაყვანილი კომუნიკაცია, მწირი ლექსიკით და ხეიბარი სინტაქსით გამორჩეული უსაგნო საუბრები, სადაც ურთიერთდაახლოვებისა და ინტიმურობის მწვერვალად გვევლინება შეკითხვა: "რა მოსდის ქალის ტრუსიკს, თუ დროზე არ გარეცხე?"...

და ამას, რაც ისედაც ნაცნობი და ჩვეულია მოსახლეობის უმრავლესობისთვის, იმ განსხვავებით, რომ კომფორტით ბევრად ჯობია მდგომარეობას, რომელშიც ეს უმრავლესობა იმყოფება, საქართველოში დაარქვეს "ამტანი".

რისთვის გადავუხვიე ჩემს ძირითად მოვალეობას? მიზეზი ორია: ჯერ ერთი, სურვილი მქონდა, ჩემი აზრი გამომეხატა ამ მოვლენაზე, რომელიც უკვე იპყრობს საზოგადოების საგრძნობი ნაწილის ყურადღებას იმდენად მაინც, რომ ორგანიზატორები ახეიროს. მეორეც — ობიექტისა და მისი სახელწოდების ურთიერთშეუსაბამობა მხოლოდ შედეგია. მიზეზი სულ სხვაა: ნინია კაკაბაძე 10 ივნისის სვეტში (*ახალი პრიალა სნობები*) ძალიან ახლოს მივიდა მასთან, თუმცა ხელის ჩავლება ვერ მოახერხა — საკუთარი თავის მიმართ კრიტიკულმა დამოკიდებულებამ შეუშალა ხელი: **"ეს სვეტიც ახალი პრიალა სნობიზმის ერთ-ერთი ნიმუშია"**.

ასეც რომ იყოს, კომპიუტერთან საჯარო აღსარებებისთვის არ ვსხდებით: ჩვენ სათქმელი უნდა ვთქვათ და საკუთარი ცოდვები ყელშიც რომ გვებჯინებოდეს, სათქმელი მაინც სამართებელივით ბასრი უნდა გამოვიდეს. რადგან ამაშია ჩვენი გამართლება.

ამჯერად ხელში სალესის აღება მომიწევს.

ჩვენი მესვეტის თანახმად, ქართველი საზოგადოება შემდეგ ჯგუფებად იყოფა: "ელიტა" (მასში შედიან "ინტელექტუალები", "სვეტები", "ანდერგრაუნდი" და "ხელისუფლება") და "გოიმები" (ესენი ერთი მედიევისტის ტერმინი რომ გამოვიყენოთ, "მდუმარე უმრავლესობაა", რომელსაც სახელისუფლებო ელიტა საარჩევნოდ კოჭს უგორებს და რევოლუციების მოსაწყობად ხმარობს). სტატიის ძირითადი პათოსი ესაა: ბოლო დროს "ელიტას" გაუჩნდა ახალი საშუალება საკუთარი თავის გამოსახატავად — "გლიანცი" ჟურნალები. შედეგად, ქართული შოუ-ბიზნესი, მრავალთავა ჰიდრა მთელი თავისი სეფიაშვილ-თათარაშვილ-ნურწუმიათი "გოიმების" სალაფავად იქცა. ავტორი ქოქოლას აყრის "გოიმ ელიტას", რომელიც ახალი ჟურნალების პრიალა ფურცლებზე ხოტბას ასხამს საკუთარ თავსა და ნათესავებს, და თანაუგრძნობს "ელიტარულ გოიმებს", რომლებსაც დაუკითხავად სთავაზობენ **რუსლანას** და არ ეკითხებიან, იქნებ **ჩეჩილია ბარტოლი** მოეწონოთ.

ყოველივე ამის თაობაზე რამდენიმე აზრი მიჩნდება:

1) ბევრს ნუ მოვთხოვთ ქართველ ინტელექტუალებს. როგორც ეტყობა "ახალი მემარჯვენეები" მართლაც მკერდით გადაეფარნენ ქართულ ჰაგიოგრაფიას: იმდენად, რომ იმის გარჩევაც ჭირს, შიგ რა წერია. იქ კი წერია, რომ მსოფლიოს მიყრუებულ კუთხეში ვიმყოფებით და თუ რომელიმე ინტელექტუალმა იმდენი მოახერხა, რომ გამართული ქართულითა და საკმაო ემოციურობით აღწერა მეგობრის შვილის (ვარიანტი — ბავშვის) ქორწილი, მადლობაც უნდა ვთქვათ.

2) ეს არ ნიშნავს, რომ "ნამდვილი" ინტელექტუალები არა გვყავს: უბრალოდ, მათი ადგილი ან მყინვარის მწვერვალზეა, ან თერგის ტალღებში. ყოველ შემთხვევაში, პრიალა ჟურნალების ფურცლებზე არაფერი ესაქმებათ.

3) განხილული ტექსტის მიღმა აშკარად იკვეთება მელოტი ძიას სახე, რომელსაც ხელში მაცოცხლებელი სილურჯით მოკიაფე ათლარიანი უკავია. "ელიტისთვის" ეს **რჩეულიშვილი** და **პატარკაციშვილი** აღმოჩდნენ, რომელთაგან ერთმა შუბლზე "ანაბეჭდი" მიაკერა, მეორემ კი "ცხელი შოკოლადი" დაუსხა. "გოიმებისთვის" ალბათ **სააკაშვილი** უნდა იყოს, რომელიც მოედანზე რუსლანას კი არა, ჩეჩილია ბარტოლის ამღერებს. თუმცა კი უნდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარი რამ "სალიარკის" დარიგებას დაემსგავსება, მიუხედავად განუზომლად უფრო დიდი სიძნელისა. არა, ვერ შედის ქართველის გონებაში, რომ უფასო საუზმეები არათუ არ არსებობს, არამედ არც უნდა არსებობდეს!

მაგრამ არის კიდევ ერთი რამ, რაც განაპირობებს სინამდვილისა და სახელწოდების შეუსაბამობას საქართველოში: სიძულვილი და უნდობლობა ადამიანის მიმართ. სიძულვილი და უნდობლობა, რომელსაც საგულდაგულოდ მალავენ და ნიღბავენ. ამიტომაც არ გვეუბნებიან: "შენი ვაჟკაცობა სჭირდება სამშობლოს!" ან "მოდი, თუ გინდა თავი მამაკაცად იგრძნო!". სულ სხვა რამეს გვეუბნებიან: კარგად შეჭამ, ინგლისურს და კომპიუტერს ისწავლი, პინგ-პონგის თამაშით გულს იჯერებ. არ გვენდობიან, გულის სიღრმეში დარწმუნებულნი არიან, რომ გაიძვერები და კომფორმისტები ვართ...

გაიძვერებისა და კომფორმისტებისთვის კი ყველაზე ძნელად დასაძლევი მარტივი შეკითხვებია. იმის მსგავსი, რომელიც 10 ივნისს, **რუსუდან ამირეჯიბმა** დასვა: "რას ნიშნავს იყო ქართველი?". ავტორი წერს, რომ ეთნიკური წარმოშობის საკითხი **"ყველაზე მეტად აღელვებს ჩვენს საზოგადოებას, ვინაიდან ბევრ ქართველს, მათ შ რის პოლიტიკოსს, მისდამი ისეთივე დამოკიდებულება აქვს, როგორც გოჩა ფიფიას, მაგრამ მხოლოდ ფიფია აღმოჩნდა საკმარისად "ქაჯი" ამის საჯაროდ გამოსათქმელად"**. მართალია! ღმერთმანი, მართალია!

ვითარება საკმაოდ მარტივია: საზოგადოების შემაკავშირებელი ძალა ღირებულებათა ერთიანობაა. როცა ადამიანთა ჯგუფი ღირებულებათა დეფიციტს განიცდის, მათ ეთნიკური წარმოშობის ერთიანობა ჩაანაცვლებს ხოლმე. ნაციონალიზმის საფუძველიც ესაა — ღირებულებათა დეფიციტი.

ვგრძნობ, რა წინააღმდეგობას გამოიწვევს ეს დებულება: როგორ, განა ღირებულებები გვაკლია ქართველებს? — გვაკლია კი არა, თავზე საყრელად გვაქვს, ჩამოთვლაც გაუჭირდება კაცს. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს ღირებულებები ძალიან მაგონებს სოფლის სახლის მეორე სართულს — გარემონტებულს, მოწყობილს, ავეჯით ("ვეშჩით") გამოტენილს — მეორე სართულს, სადაც არავინ ცხოვრობს, ასვლითაც ათასში ერთხელ თუ ადის ვინმე მოსაგვლად და ხანდახან სტუმარს თუ გაათევინებენ ღამეს...

ჩვენი ღირებულებებიც ასეთია: აი, თუნდაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და მისი კათოლიკოს-პატრიარქი. არავინ ცოვებს საშუალებას, მის მიმართ ღრმა პატივისცემა გამოხატოს, ყველა აღიარებს მის ცალსახა და ფასდაუდებელ მნიშვნელობას ჩვენი ერის ცხოვრებაში, მის წარმატებებს საერთაშორისო ასპარეზზე. ჰოდა, ეს ცალსახად მნიშვნელოვანი პიროვნება რამდენიმე დღის წინათ გაემგზავრა აზერბაიჯანში. ქართულ მედიაში კი სრული დუმილია.

ნუთუ არავის აინტერესებს, რასა იქმს აზერბაიჯანში საქართველოსთვის ეგზომ მნიშვნელოვანი პიროვნება? ერთი "საპატრიარქოს უწყებანმა" მიუძღვნა ერთი გვერდი ვიზიტს — მაგრამ იმათ ხომ ისედაც არ ასცდებოდათ. მასალიდან გამოდის, რომ ილია მეორე აზერბაიჯანში ინგლოთა მოსანახულებლად იყო წასული. ახლა კი ვნახოთ, როგორ იყო საქმე...

რუსეთის საინფორმაციო სააგენტო *ბლაგოვესტ-ინფო* იუწყება, რომ 5 ივნისს კათოლიკოს-პატრიარქი აზერბაიჯანის პრეზიდენტს, **ილჰამ ალიევს** მიუღია. ამასთან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მწყემსთმთავრისთვის აზერბაიჯანული ორდენი, "შოჰრატიც" მიუნიჭებია. 7 ივნისს, ილია მეორეს აზერბაიჯანელი ხალხის საკეთილდღეოდ (მათი უმრავლესობა მუსლიმია) ლოცვა აღუვლენია ბაქოს საკათედრო ტაძარში და ლოცვას დასწრებიან ბაქოს კათოლიკური მრევლის წინამძღვარი, პატრი **იანი**, ებრაელთა თემის წინამძღოლი **სიმონ იიხილოვი**, საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი აზერბაიჯანში, **ზურაბ გუმბერიძე** და სხვადასხვა ქვეყნის ელჩები. ამის გარდა, კათოლიკოს-პატრიარქს მოუნახულებია მეჩეთი "ბიბიჰეიბიათი", სადაც ერთობლივ განცხადებაზე მოუწერია ხელი აზერბაიჯანის მუსლიმთა წინამძღოლთან, შეიხ **ჰაჯი ალაჰშუქურ ფაშაზადესთან** ერთად.

როგორც ვთქვი, ქართული მედია არაფერს გვეუბნება ამის შესახებ, "საპატრიარქოს უწყებანი" კი ისე გადმოგვცემს მოვლენებს, თითქოს ილია მეორეს აზერბაიჯანში ინგალოების გარდა არავის ენახოს. გასაგებია, რას უწოდებს აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის წლიური ანგარიში თვითცენზურას? — ორმაგ სტანდარტსა და გულგრილობას, რომელსაც ასე ფაციფუცით ვმალავთ. კაი, ბატონო პატრთან და რაბინთან ერთად მუსლიმთა კეთილდღეობისთვის ლოცვა იქნებ ვინმემ პანეკუმენზმად ჩაუთვალოს (მერე რა? — ვისაც რა უნდა, ის იფიქროს), მაგრამ ჩვენი მეგობარი ქვეყნის პრეზიდენტის მიერ მონიჭებულ ორდენზე რაღას ვიტყვით, რატომ გვრცხვენია? — ერთი დამანახა, რა სახეს მიიღებს ილჰამ ალიევი, თუ გაიგებს, რომ ამ ამბავს შიშით ვარიდებთ თავს.

ნეტა, რისი გვეშინია, რატომ ვმალავთ? — იმისა, რის გამოც ვმალავთ, გულის სიღრმეში ხომ არავისა გვწამს! რომ გვწამდეს, განა ასეთი გულგრილები ვიქნებოდით იმის მიმართ, რაც ირგვლივ ხდება? ნეტა, ვის ვუმალავთ, ვისი გვეშინია? — ისინი, ვისაც ვუმალავთ, ხომ გულის სიღრმეში გოიმებად მიგვაჩნია?

ამგვარი ვითარება მხოლოდ ერთს ამტკიცებს: ჩვენში საყოველთაოდ განცხადებული ღირებულებები ბუტაფორიაა და მეტი არაფერი.

მაგრამ ისევ პირველ სიტყვასა მოვიდეთ. "საპატრიარქოს უწყებანი" შემთხვევით არ მიხსენებია. 11 ივნისს "24 საათმა" მთლიანად გადმობეჭდა ამ პატივსაცემი ორგანოდან ინტერვიუ მღვდელ **გიორგი ზვიადაძესთან**.

საქმე ისევ იერუსალიმის ყოფილ პატრიარქს, **ემანუილ სკოპილიტისს** ეხება. იქვე, 11 ივნისის ნომერში დავბეჭდეთ მაკედონიის საინფორმაციო სააგენტოს მიერ გავრცელებული ცნობა, რომ ამ პირს იერუსალიმის ეკლესიის წმინდა სინოდმა მღვდელმოქმედება აუკრძალა ანტიეკლესიური ქმედებისთვის. და მაინც, გვაუწყებენ, რომ **"საქართველოს ეკლესია განაგრძობს იერუსალიმის პატრიარქის მოხსენიებას"**.

ახლა ვნახოთ, როგორ მოიხსენიებს მღვდელი გიორგი იერუსალიმის ეკლესიის წმინდა სინოდს: **"ეს არის გარკვეული ჯგუფი ადამიანებისა, მათ შორის სასულიერო პირებისაც, რომლებიც კანონიკურ პატრიარქს დაუპირისპირდნენ"**. კარგი, ბატონო, ილჰამ ალიევთან ურთიერთობა არ გაგვიფუჭდება — ბოლოს და ბოლოს, აზერბაიჯანის პრეზიდენტისთვის ორდენის გადაცემაზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხებიც არსებობს და ამას ყურადღებას არ მიაქცევს. მაგრამ ავტოკეფალური და ღირსებით უფროსი ეკლესიის ასეთი შეურაცხყოფა რას ნიშნავს? სკოპილიტისის შესახებ კი მღვდელი გიორგი გვამცნობს: **"მან სამართლიანი შეფასება მისცა იმ არაკანონიკურ ქმედებას, რაც მოწინააღმდეგე ჯგუფის მხრიდან გამოვლინდა, რადგან მათ დაარღვიეს ყოველგვარი საეკლესიო წესი; ეს იყო უგულებელყოფა საეკლესიო კანონებისა და ბუნებრივია, ამას შესაბამისი შეფასება მისცა იერუსალიმის პატრიარქმა"** — ნუთუ ასეთი მარტივი გასაგებია, რომ ემანუილ სკოპილიტისი აღარაა იერუსალიმის პატრიარქი, ავტოკეფალური ეკლესიის წმინდა სინოდი კი არაა უბრალოდ "მოწინააღმდეგე ჯგუფი".

ამგვარი უცნაური სიჯიუტის მიზეზს მღვდელი გიორგი ასე განმარტავს: **"ისე არ გამოვიდეს, რომ ეკლესია მხარს უჭერს დაჯგუფებას, რომელიც დაუპირისპირდა კანონიერ პატრიარქს; ამან ზიანი არ უნდა მიაყენოს ეკლესიას და არ წაახალისოს ის ადამიანები, რომელთაც მომავალში სურვილი ექნებათ, რომ პატრიარქს ოპოზიციაში ჩაუდგნენ ან რაიმე დაჯგუფება შექმნან და ასე არაკანონიკურად დაუპირისპირდნენ ეკლესიის მეთაურს"**. აი, თურმე რატომ დაუპირისპირდა საქართველოს საპატრიარქო მსოფლიო მართლმადიდებლობას. ვინმესთვის ჯერაც გაუგებარია? თვით მღვდელ გიორგის ვანდოთ კომენტარი: **"საქართველოს ეკლესიის დელეგაციამ დააფიქსირა ის, რომ ის მეთოდები რაც უწმიდესი ირინეოსისადმი დაპირისპირებულმა დაჯგუფებამ გამოიყენა, მიუღებელია ეკლესიისთვის; მათ ევალებოდათ, კანონიკურად ეწარმოებინათ ყოველგვარი საქმე, მიემართათ საეკლესიო კანონიკისთვის და ასეთი დაპირისპირება არავითარ შემთხვევაში არ მოეწყოთ პატრიარქის წინააღმდეგ. მათ ამაში არ უნდა ჩაერთოთ უამრავი ადამიანი, რაც იერუსალიმის ეკლესიაში შფოთის მიზეზი გახდა. ძალიან ბევრმა ადამიანმა აღნიშნა, რომ საქართველოს ეკლესიის დამოკიდებულება სწორი იყო"**. აქ კი ყველაფერია განმარტებული: იერუსალიმის ეკლესიის წმინდა სინოდი დისიდენტთა დაჯგუფება ყოფილა, და მისი მთავარი შეცდომა ისაა, რომ საქმეში უამრავი ადამიანი ჩართო. ეს "უამრავი ადამიანი" რომ ქრისტეს ეკლესიის შვილები არიან და გული სტკივათ ღვთის სახლში გამეფებული ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის გამო, არავის უნდა ანაღვლებდეს! მთავარია საქმე შინაურულად გადაწყდეს, როგორც მიჩვეულნი არიან. მრევლი კი "გოიმები" არიან, არ უნდა გაკადნიერდნენ, ჩვენს საქმეში ცხვირი არ უნდა ჩაჰყონ.

და ეს ყველაფერი უმაღლესი პრინციპულობისა და უზენაესი ღირსების სახითაა მოწოდებული! თუმცა ამ "პრინციპულობასა" და "ღირსებას" რაც, ვიმეორებთ, საეკლესიო დამნაშავის მხარდაჭერაში მდგომარეობს, ერთი მნიშვნელოვანი გამოცდა ელის...

საქართველოს საპატრიარქომ გამართა აქტიური სამომლოცველო მოღვაწეობა. ის, რომ თბილისის ტაძრებში ჯერაც იხსენიებენ ღირსებაყრილ სკოპილიტისს, აუცილებლად შეუქმნის პრობლემებს ქართველ პილიგრიმებს იერუსალიმში. მაშინ რაღას აირჩევენ თბილისის საპატრიარქოში, "პრინციპულობასა" და "ღირსებას", თუ სამომლოცველო სამსახურიდან შემოსულ ცოცხალ თანხებს?

ორმაგი სტანდარტით რუსებიც არიან განთქმული, მაგრამ ამას უფრო ჭკვიანურად აკეთებენ: ერთი მხრივ დიპტიქიდან ამოშალეს ირინეოსის სახელი და მოსკოვის პატრიარქმა უკვე 23 მაისს აღარ ახსენა იგი წირვისას; მეორე მხრივ, მათი რეაქციული პრესა კონსტანტინოპოლის პატრიარქს, ბართლომეს მოიხსენიებს როგორც "Стамбульский бармалей" — ამისგან ოფიციალურად გამიჯვნას მოსკოვის საპატრიარქო ყოველთვის შეძლებს, რუსულ ენაში ხომ სპეციალური სიტყვაც არსებობს — откреститься. გამოდის, რომ გულსაც იფხანენ და მომლოცველობის ბიზნესიც ყვავის. ჩვენ რატომ უნდა გამოგვდიოდეს ყველაფერი ასე უაზროდ?!

მაგრამ ეს ყველაფერი იქით იყოს. ახლა სხვა რამაა სადარდებელი. ერთხელ კონფუციუსს ჰკითხეს: რას იზამდი ქვეყნიერების გადასარჩენად? ბრძენმა უპასუხა: სიტყვებს თავიანთი მნიშვნელობას დავუბრუნებდიო. რომდემდე უნდა არქმევდნენ ჩვენს სინამდვილეში კახაბერს იმას, რაც სულ არა ჰგავს მას?

ქვეყნის პრეზიდენტი, რომელიც ხულიგნობას გმირობად იხსენიებს, პოპულარული ტელეარხის მესვეურები, რომლებიც მცონარობას ამტანობად რაცხენ, მოძღვარი, რომელსაც თავისივე ეკლესიაში მოკალათებული ქურდების დასაცავად სიმართლის არდანახვა ღირსეულ საქციელად მიაჩნია — საეჭვოდ და სახიფათოდ გვანან ერთმანეთს.

ისღა დაგვრჩენია, ხელი ჩავიქნიოთ და სუხიშვილების კონცერტზე წავიდეთ.

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge



ჭირითი ეთნოგრაფიულ მუზეუმში

კიდევ ერთხელ გურული მხედრების შესახებ

ვერა ნეფარიძე

"კაცის გული უბედური მაგარია თურმე. მეორე წელია ამერიკაში ვარ მარა ჯერე ვერ მივეჩვიე... ქვეყანაა უკეთეს ვერ ინატრი მარა ჩემ... მიდგას თვალწინ ჩემი ოდას სული მენატრება", - გურული მხედრის ეს ჩანაწერები (რომელიც გამოცემულია ქართულად და ინგლისურად) ამერიკა-საქართველოს ყველაზე ადრეული ურთიერთობის ერთ-ერთი უტყუარი წერილობითი საბუთია. ამიტომაც იყო აშშ-ს საელჩო შაბათს, კუს ტბაზე, ეთნოგრაფიულ მუზეუმში გურული მხედრების კიდევ ერთხელ გასახსენებლად გამართული ხალისიანი ღონისძიების პატრონი "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიასთან" ერთად.

ფოტოგამოფენა, თეატრალური სანახაობა, გურული მრავალხმიანობა, ცხენოსნები, სერსო, ქანთრი, "უაილდ ვესთის შოუს" პლაკატები, ეთნოგრაფიული მუზეუმის გურული ეზო, ბევრი სტუმარი, ლობიო, მჭადი, ღვინო, სუფთა ჰაერი... - ამგვარ სასიამოვნო გარემოში მხიარულება შაბთს გვიან საღამომდე გაგრძელდა. ამ ყველაფრის შინაარსი ზოგადად, გურული მხედრების ამერიკული თავგადასავლების (უფრო ღრმად კი, ორი ქვეყნის ყველაზე ადრეული ურთიერთობების) გახსენება გახლდათ. თუმცა, უმიზეზოდ არც ეს მომხდარა. ამ დღეს ღონისძიების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო ფოტოექსპოზიცია, რომელზეც გურული მხედრების ამერიკული თავგადასავლების ამსახველი რამდენიმე აქამდე გამოუქვეყნებელი ფოტო გამოფინეს; თეატრალიზებული სანახაობა - კოვბოის-ქუდიანი სტუმრებისა და ორგანიზატორების, ჩოხოსნების, მხედრებისა და ამერიკული თამაშობებით გამრთობთა მონაწილეობით, ცხენოსნობის შესახებ ფილმისთვის გადაიღეს; დაბოლოს, ეს ყველაფერი რომ სწორედ შაბათს, 11 ივნისს გადაღებულიყო, ამის მიზეზი აშშ-ს ელჩის მეუღლის შერონ მაილსის დაბადების დღე იყო. ტორტით მოგვიანებით გაუმასპინძლდნენ სტუმრებს. მანამდე კი გურულ მხედრებს მიაგეს პატივი.

როგორც ცნობილია, გურული მხედრები, აქამდე რუს კაზაკებად რომ იხსენიებოდნენ შეერთებულ შტატებში, 30 წლის განმავლობაში გამოდიოდნენ ამერიკული ცირკების არენაზე და შოუებში. გურულების ამერიკული თავგადასავლებით დაინტერესებული თბილისელი კინორეჟისორის ირაკლი მახარაძის მრავალწლიანი კვლევის წყალობით შეერთებული შტატების მუზეუმებში გურული მხედრების ფოტოებს აღარ აწერია, რომ მათზე რუსი კაზაკები არიან გამოსახულნი. სრულიად შემთხვევით, ირაკლი მახარაძის შვილმა სალომემ მიაგნო ერთ-ერთი გურული მოჯირითის დღიურს, რომელიც ამჟამად ქართულ და ინგლისურ ენებზეა გამოცემული; ამას გარდა, 1997 წელს რეჟისორმა ამ თემაზე გადაიღო დოკუმენტური ფილმი "უაილდ ვესთის მხედრები". ამჟამად ირაკლი მახარაძის იდეა-ფილმი "ცხენი და ცხენოსნობა საქართველოში" იმ 36 ფილმის პროექტს შორისაა, რომელმაც კინოს ენაზე საქართველო მსოფლიოს უნდა გააცნოს. შაბათს ეთნოგრაფიულ მუზეუმში სწორედ ამ ფილმის პირველი გადაღებები დაიწყო. რაც შეეხება ექსპოზიციას, ორგანიზატორმა ახლად მოპოვებული რამდენიმე ფოტო აჩვენა საზოგადოებას. "ცოტა ხნის წინათ ინტერნეტის დახმარებით გავიცანი შოტლანდიელი, რომელიც ინდიელების თემით არის დაინტერესებული. გამომიგზავნა ფოტოები, იქნებ "შენიანები" არიანო. მართლაც ჩემიანები აღმოჩნდნენ. მეც გავუგზავნე გურულების ფოტო, რომელიც ედინბურგშია გადაღებული", - ფოტოების აღმოჩენის ამბავს გვიამბობს ირაკლი მახარაძე. ამას გარდა, რეჟისორმა ექვს ფოტოს (იცოდა, რომ ორი ნამდვილად ინახებოდა ემიგრანტთა მუზეუმში) ახლახან ამერიკაში მიაგნო.

ალბათა ბესაშვილის ფოტო

ქალბატონი მაილსი ტორტს ანაწილებს.

ფოტოექსპოზიციას (რომელიც გურულ ოდაში იყო წარმოდგენილი) და ღია ცის ქვეშ გამართულ ფურშეტს გურული მრავალხმიანი სიმღერა, შემდეგ კი ქანთრის ჩანაწერები უქმნიდნენ ფონს. იქვე იყიდებოდა სუვენირები: გურული მოჯირითეების მაისურები, გამარჯვებულ მოთამაშეებს ჩუქნიდნენ კოვბოის ქუდებს. სტუმარი ბევრი იყო და თითქმის ყველას შეხვდა ქალბატონი მაილსის დაბადების დღის აღსანიშნავად გაჭრილი ტორტი. იუბილარი კმაყოფილი ჩანდა. არანაკლებად გაერთნენ დანარჩენებიც.

კავკასიური მუსიკის სამი დღე

რომელიც ბრიტანელებმა მოგვიწყვეს

ვერა ნეფარიძე

ინგლისელი ტობი ბრანდენი რომ არ შემცდარა, როდესაც სამხრეთკავკასიელი მუსიკოსების პოტენციალში დასარწმუნებლად ექსპერტები თბილისში შეკრიბა, კონფერენციის მონაწილეები ყველაზე ცხადად შაბათს, "ნოა ნოაში" გამართულ კონცერტზე დარწმუნდნენ. ევროპელები ნამდვილად მოხიბლა "ჰეირატის" აღმოსავლური მუსიკის სიღრმემ და შესანიშნავმა შესრულებამ; "ლემონ ჯუსის" ენერგიამ ლონდონელებიც კი დაატყვევა; ხოლო თბილისელ "ელექტრონშიკებს" (ნიკაკოი, ჟორჟიკა) კიდევ ერთხელ მოუხდათ იმის ილუსტრირება, რომ ჩვენთან დასავლური და აღმოსავლური კულტურის (ამ შემთხვევაში, ცხადია, მუსიკის) საუკეთესო სიმბიოზი კეთდება.

"ნოა ნოაში" შესრულებული პრაქტიკული სამუშაო სამდღიანი მუსიკალური კონფერენციის დამაგვირგვინებელი აკორდი იყო. თუმცა, მახვილი თვალი უდავოდ შენიშნავდა, რომ ჩვენთან პრაქტიკას გაცილებით დიდი ხნის ისტორია აქვს, ვიდრე ეს ბევრს ჰგონია. მართალია, "ბრიტანეთის საბჭომ" კარგად ორგანიზებული, მნიშვნელოვანი საქმის დასაწყისი შემოგვთავაზა, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ იდეა გაცილებით ადრეც არსებობდა, რასაც წლების განმავლობაში ეჭიდებოდნენ სამხრეთკავკასიელი მუსიკოსები (გავიხსენოთ ლადო ბურდულის ფესტივალები, რომელთა სოციალურ-პოლიტიკური დატვირთვის ანალოგიას წარმატებულ ევროპულ ფესტივალებთან ცოტა ხანში, Exit-ფესტივალის გამოცდილების გაცნობისას აუცილებლად აღმოვაჩენთ); და ეს რომ არ დაენახათ ორგანიზატორებს - ამ შემთხვევაში "ბრიტანეთის საბჭოს" სათავო ოფისის წარმომადგენელს ტობი ბრანდენს, რომლის ინიციატივაც გახლდათ სამდღიანი კონფერენცია თბილისში, ცარიელ ადგილას არავინ დაიწყებდა არარსებულის ძიებას. თუმცა, ბევრი რომ გვაქვს სასწავლი წარმატებების მისაღწევად, ამაში ნამდვილად დაარწმუნებდა ყველას კონფერენციაზე იმ ევროპელი ექსპერტების მოსმენა, რომელთაც საკუთარ საქმეში ენთუზიაზმით, ბევრი შრომითა და იდეების ერთგულებით მიაღწიეს სიმაღლეებს.

ნუნუ ბასილაიას ფოტო

ნიკოლა ჩურიჩი

გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით ყველაზე საინტერესო იყო სერბი ნიკოლა ჩურიჩის გამოსვლა. ეს ადამიანი სტუდენტობიდან მეგობრებთან ერთად არის პოპულარული Exit-ფესტივალის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი. ფესტივალი ნოვი სადში ექვსი წლის წინათ მხოლოდ ენთუზიაზმითა და წარმატების იმედით დაიწყეს; თავიდან მხოლოდ ადგილობრივ, სხვა ქვეყნებისთვის აბსოლუტურად უცნობი შემსრულებლების მონაწილეობით იმართებოდა კონცერტები. თუ რა სიმაღლეებს მიაღწია Exit-მა, ამაში ახლავე დარწმუნდებით. წლევანდელ ფესტივალზე (რომელიც 7-10 ივლისამდეა დაგეგმილი) ბალკანელები ელიან: "გარბიჯს", "უაით სტრაიპსს", "ფეტბოი სლიმს", "ანდერვოლდს"... რამ გადაარჩინა და გაზარდა მუსიკალური ფესტივალი მაშინ, როდესაც რეგიონს საშინლად შელახული ჰქონდა იმიჯი? პატარ-პატარა მიზეზებს შორის, ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი საქმისადმი სწორი მიდგომა და დამოკიდებულებაა. როგორც ჩურუჩი ამბობს, ფესტივალის ორგანიზატორები უარს ამბობდნენ, მათი ღონისძიება დაეფინანსებინა სპირტიანი სასმელებისა და სიგარეტის მწარმოებელ კომპანიას - ეს ახალგაზრდობისთვის არ იქნებოდა სასარგებლო. Exit-ის ინიციატორებმა ზუსტად იცოდნენ, რა უნდოდათ: ქვეყნის პოზიტიური იმიჯის შექმნაში მიეღოთ მონაწილეობა; ფესტივალი - ეს იყო ფორმა, რომელიც ქვეყნისა და რეგიონისთვის სასარგებლო იდეების განხორციელებისთვის იქნებოდა წარმატებული. იდეები - ე.წ. "მესიჯები" წლიდან წლამდე, თემების აქტუალობის მიხედვით იცვლებოდა. 2001 წელს მთავარი დატვირთვა წინასაარჩევნო იყო; მომდევნო წელს, როდესაც საზოგადოება ქვეყანაში განხორციელებული ცვლილებების გამო იმედგაცრუებული დარჩა, ფესტივალის დევიზი გახდა: "სერბია, მზად ხარ მომავალი განვითარებისთვის?" შარშანდელი თემა ადამიანთა ექსპლუატაცია, ტრეფიკინგი იყო. უკანასკნელი წლების განმავლობაში Exit-ის საინფორმაციო მხარდაჭერას უზრუნველყოფს "ემ-ტი-ვი" და "ბი-ბი-სი". მთელი ეს სიამოვნება - ფესტივალზე დასწრება, ბალკანელებს 20-40 ევრო უჯდებათ და თითქმის ყველა ახერხებს დასწრებას, ვისაც სურვილი აქვს. "ამისთვის საკმარისია თვეებით ადრე შეამზადო აუდიტორია და ვისაც უნდა, აუცილებლად შეაგროვებს საჭირო თანხას", - ამბობს ნიკოლა ჩურიჩი. გრანდიოზული მუსიკალური ღონისძიება ნოვი სადში მხოლოდ სპონსორების წყალობით იმართება. სახელმწიფო ახალგაზრდებს ერთადერთ შეღავათს უწევს - ფესტივალი გადასახადის სახით 8 პროცენტს იხდის. იმის გათვალისწინებით, რომ ბალკანეთსა და კავკასიას შორის ბევრი ანალოგიაა და ჩვენი რეგიონის იმიჯისთვის ზრუნვაც არ იქნებოდა ურიგო, ალბათ Exit-ის გამოცდილებიდან ბევრის სწავლა შეიძლება. განვითარება გადარჩენის ერთადერთი გზა რომაა, ბევრი მტკიცება რად უნდა. აი, "მზიურზე" თუ შეიარეთ ამ უქმეებზე, ამ თემაზე კიდევ ერთხელ დაფიქრდებოდით. იმედია, თბილისურ ფესტივალს ამ მხრივაც მიხედავენ ახალი პატრონები.

კონფერენციას ლოურენს ბელის სახით მნიშვნელოვანი სტუმარი ჰყავდა - "დომინო რექორდსის" ხელმძღვანელი, ადამიანი, ვისაც როკ-ჯგუფ "ფრანც ფერდინანდის" საერთაშორისო აღიარებაში უზომო წვლილი მიუძღვის. საინტერესო იყო მისი მოხსენებაც, რომელიც კონფერენციის პირველ დღეს წაიკითხა ბელიმ. თავიდან გაგვაცნო, თუ როგორ დაიწყო მისი დაინტერესება მუსიკალური ინდუსტრიით. ლოურენს ბელის შემთხვევა ძალიან კარგი მაგალითია იმისთვის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საქმისთვის ზუსტად იცოდე, რა გინდა. როდესაც კონფერენციაზე ჰკითხეს, ხომ არ იჩაგრება მისი "დომინო რექორდსი", გვიპასუხა: "გააჩნია, რას ვეძახით წარმატებას. თუ ეს გაყიდული დისკების რაოდენობაა, მაშინ ჩვენ სხვადასხვა ენაზე ვსაუბრობთ"...

კონფერენცია შაბათ საღამოს კლუბ "ნოა ნოაში" სამხრეთკავკასიელი მუსიკოსების კონცერტმა დაასრულა. ვფიქრობ, სამივე ქვეყანამ შეძლებისდაგვარად წარმოაჩინა, თანამედროვე მუსიკის რა პოტენციალს ფლობს. ჯაზისადმი აზერბაიჯანელების განსაკუთრებული სიყვარული საქვეყნოდ ცნობილია, თუმცა, ამ შემთხვევაში დიდ ჯაზმენებთან არ გქვონია საქმე; გაცილებით უკეთესი იყო ჯგუფ "ჰეირატის" უბადლოდ შესრულებული ფოლკლორი როგორც ცალკე, ისე პოპულარულ აზერბაიჯანელ მომღერალთან ელნარასთან ერთად; სომხებმა რატომღაც ფონოგრამა და "ა სტუდიო" არჩიეს (რითაც შესაშური მხიარულება შექმნეს); რაც შეგვეხება ჩვენ - ალბათ არავის ეწყინება და ამ ღამეს კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ ("ლემონ ჯუსის", ჟორჟიკისა და ნიკაკოის მუსიკით), რომ რეგიონში უდავოდ ლიდერები ვართ.

ყველაფერი არის ძლიერ კარგად...

დესი დაშკოვა

6 ივნისს პუშკინის დაბადების დღე ხომ იყო, ადგილებზე რა ხდებოდა, ვერ აღვწერ, მაგრამ "რამბლერის" საიტები კი აკლებული იყო - სადაც ფეხი დაუდგამს პოეტს, ლექსი დაუწერია, ყველგან აღნიშნეს - ბუნებაშიც, კამერულადაც და დიდლიტერატურულადაც: წიგნებით, ფოტოებით, მოკლედ, დიდი სიყვარულით. 1837 წლამდე კინო არ იყო, თორემ ბევრი დოკუმენტური ფირიც დატრიალდებოდა... გალაკტიონი კი კინოს ეპოქაში ცხოვრობდა. 1959 წელს ქართული დოკუმენტური კინოც იყო და მხატვრულიც, მაგრამ მისი ცხოვრების ამსახველი ერთი ნაკუწი ფირის გარდა არაფერი არსებობს.

გალაკტიონის დაბადების დღეს ნოემბერში ვინ სად აღნიშნავს, ჯერ არავინ იცის, მაგრამ მარჯანიშვილის ქუჩაზე, გალაკტიონის სახლ-მუზეუმში რომ სიამოვნებით უმასპინძლებენ ლექსის მოყვარულებს, ეს უეჭველია. რამდენად ინტიმურად სახალხო იქნება ეს დღე, იმაზეა დამოკიდებული, მართლა ვგრძნობთ თუ არა სიტყვას.

გალაკტიონი ოცდამეერთე საუკუნეში

კოტე მარჯანიშვილის ქუჩის 4 ნომერში, მეორე სართულზე, გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმია. აქ გალაკტიონი ცხოვრობდა 1934 წლიდან 1959 წლამდე. ამ სახლში ის ცოცხალი იყო, გარდაცვლილი კი მწერალთა სახლში დაასვენეს და იქიდანვე დაკრძალეს.

"მაშინ სტუდენტი ვიყავი. პირველ კორპუსში, აუდიტორიის წინ, დერეფანში ვიდექით, როცა ჯუმბერ თითმერია მოვარდა, გალაკტიონი მოკვდაო. გავვარდით მეცხრე საავადმყოფოში..." იხსენებს გალაკტიონის სახლ-მუზეუმის დირექტორი შოზი აბრამიძე.

ამ სახლში გალაკტიონის შემდეგაც ცხოვრობდნენ - სომეხ ოჯახთან ერთად ნოდარ ტაბიძესაც ჰქონდა ოთახი. მერე ისინი გაასახლეს და ახალმა ბინადრებმა ლოჯია მიაშენეს. მერე შეიძინა ქალაქის მერიამ და 1999 წლის 21 მარტს აქ გაიხსნა გალაკტიონის სახლ-მუზეუმი. მაშინ რეზო მიშველაძემ, თამაზ წივწივაძემ და ვანის დეპუტატმა ბევრი იბრძოლეს. ექსპოზიცია დიდი არ არის, რამდენიმე ათეული ფოტო, ბროკჰაუზი გალაკტიონის ბიბლიოთეკიდან, ჭყვიშიდან ჩამოტანილი გალაკტიონის საწერი მაგიდა, მისი ქუდი, ერთი კოსტიუმი და თითოოროლა ხელნაწერი. ეს ყველაფერი გარდაცვალების შემდეგ ჭყვიშში წაიღეს და იქ ინახებოდა. შემდეგ ჭყვიშმა აჩუქა თბილისს, საექსპოზიციო თაროები და სტენდები კი ცენტრალური არქივიდანაა წამოღებული.

ბაკურ გასვიანის ფოტო

ისე კი ბევრი ექსპონატია ჭყვიშშიც და ლიტერატურის მუზეუმში ხომ 11 ათასი ფურცელია, მაგრამ მუზეუმები ავტონომიურები არიან, თავის ექსპონატს არავის მისცემენ, უფლებაც აქვთო, ამბობს მუზეუმის დირექტორი. საკუთრებაში ნუ მოგცემენ, ბატონო შოზი-მეთქი, ხომ შეიძლება ხელნაწერთა ფოტოასლები გაკეთდეს, წიგნები მოგროვდეს. და, საერთოდ, ეს ხომ გალაკტიონის მუზეუმია, გალაკტიონის!

ოთხმოცდაცხრამეტის მერე ბევრი არაფერი შეცვლილა, მაშინ ყველაფერი ერთბაშად, ნაუცბათევად გაკეთდა.

დღეს მუზეუმში შვიდი კაცი მუშაობს. რევაზ მიშველაძე, ლია სტურუა და ნოდარ ტაბიძე კონსულტანტები არიან. ხელფასს 34 ლარს იღებენ. ამხელა თანხის კონსულტაცია რა ამბავია-მეთქი? თანამშრომლებს ხელფასი გზის ფულად არ ჰყოფნით, მე კი ახლოს ვცხოვრობ და ფეხით დავდივარო, - შოზი აბრამიძემ, - ოცამდე პროექტი გვაქვს დაწერილი, ათასიდან ათი ათასამდე ბიუჯეტით, მაგრამ ვერც ერთი ვერ შევუყენეთ გზას. ექსპოზიცია შესავსებია, მაგრამ რაც არის, იმას რესპექტაბელურ ფორმაში მოყვანა უნდა. აი, გალაკტიონის პორტრეტი სახელდახელო ჩარჩოშია ჩასმული. და, საერთოდ, ყველაფერი მოსაწესრიგებელია, - ამბობს დირექტორი, მაგრამ არ წუწუნებს, ესმის, რომ რთული პერიოდია და მთავრობასაც უჭირს, თორემ გალაკტიონის სახლ-მუზეუმისთვის ვინ რას დაიშურებსო. საჭიროა სიგნალიზაცია, გათბობა... მართალია, აჩუქეს ტელევიზორი და ვიდეოფლეიერი, მაგრამ კუთხე, რომ საზოგადოებამ ერთად უყუროს გოგი ხარაბაძის ფილმს გალაკტიონზე, არ არის. შეიძლება ბევრმა ჩემსავით არ იცოდეს, რომ გალაკტიონს მოსკოვში სარეჟისორო სკოლა ჰქონდა დამთავრებული, მაგრამ ამ სფეროში არ უმუშავია. თუმცა, ჟურნალისტური პრაქტიკა ჰქონდა. საწერ მაგიდაზე "გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის" ნომერი დევს. მუზეუმს აქვს პროექტი, რომ გამოუშვას ლიტერატურული ჟურნალი, მაგრამ ერთი წლის სამუშაო თანხა მაინც სჭირდებათ, ვიდრე ჟურნალი თვითდაფინანსებაზე გადავა.

მახსენდება, რომ ქალაქის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილია, მუზეუმის თითქმის კარის მეზობელი კი - მამუკა ხაზარაძე და ბატონ შოზის ვთხოვ, გავაგებინოთ ამ ადამიანებს, მათ ხომ "ლიტერატურა ძალიან უყვართ" და გალაკტიონი ხომ - უფრო ძლიერ.

ხალხი კი დადის მუზეუმში, ძირითადად, ახალგაზრდები, ნოდარ ტაბიძე და ვახტანგ ჯავახაძე ლექციებს აქ უტარებენ სტუდენტებს, სკოლებიდანაც მოდიან, ჯგუფ-ჯგუფად და მარტოც ბევრი დადის. "გალაკტიონისთანა დიდი ვირტუოზი ლექსისა არც საქართველოს და არც ჩვენს პლანეტას არ მოეპოვება", - ამბობდა კონსტანტინე გამსახურდია.

მეჩხერ ექსპოზიციაში გალაკტიონის ერთი ხელნაწერის ასლია: "რადგან ვიმყოფები უაღრესად შევიწროებულ მდგომარეობაში უტანსაცმლობით და უფეხსაცმელობით, უმორჩილესად გთხოვთ, აღძრათ შუამდგომლობა საქართველოს უმაღლესი მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარესთან გამოხსნას კრედიტი მისდამი რწმუნებულ... ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შესაძენად, ფულს ნაწილ-ნაწილ მიიღებენ პირადად ჩემგან. იმედი მაქვს მხედველობაში მიიღებთ ჩემს მდგომარეობას"...

მართალია: "ყველაფერი არის ძლიერ კარგად, / ყველაფერი ძლიერ ცუდად არის"...

პაულო კოელიო თავისი ახალი რომანის შესახებ

გუშინ საღამოს თბილისს კიდევ ერთი ლიტერატურული კაფე შეემატა, ოღონდ ოდნავ სპეციფიკური თემით. კეკელიძის ქუჩაზე გახსნილი კაფე ინვევს ზოგადად ლიტერატურის და კონკრეტულად პაულო კოელიოს წიგნების მოყვარულებსაც.

კაფე "პაულო კოელიოს" გახსნას დაემთხვა ავტორის ახალი რომანის პრეზენტაციაც. "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის" მიერ დასტამბული "ზაჰირი" - კოელიოს ბოლო წიგნია, რომლის მსოფლიო პრეზენტაციათა რიგში უკვე თბილისიც ჩადგა. ქვევით გთავაზობთ, ინტერვიუს პაულო კოელიოსთან, რომელშიც მწერალი თავისი ახალი რომანის შესახებ გვესაუბრება.

- რა არის "ზაჰირის" მთავარი იდეა?

- ის, რომ ცხოვრებაში რაღაც-რაღაცეები ძალიან მოულოდნელად ხდება და მათ მისაღებად ადამიანი ყოველთვის მზად არ არის. ბევრს ჰგონია, რომ როცა ყველაფერი დაგეგმილი და ორგანიზებულია, გაცილებით უფრო დაცულია საფრთხეებისგან. არადა, სირთულეს სწორედ ეს ორგანიზებულობა ქმნის. გეგმებს უნდა მივყვეთ - ეს უბრალოდ მოწოდებაა, ანდა მითი, რომელსაც დღემუდამ ჩაგვჩიჩინებენ, მაგრამ რომლის შენარჩუნებაც ასევე მითიური საქმეა.

ამიტომაც ვცდილობ, ჩემს ახალ რომანში მოვყვე ამბავი, რომელიც აქამდე არავის მოუყოლია. ჩემი მთავარი გმირი წარმატებული მწერალია, რომელსაც მოულოდნელად დიდი უბედურება დაატყდება თავს - მეუღლე მიატოვებს. ამ თავზარდამცემი შემთხვევის შემდეგ მას მთელი თავისი ცხოვრებისეული ღირებულებების გადაფასება და ხელახლა გაანალიზება მოუწევს. თუმცა, მწერალი არასწორ გზას აირჩევს, ნაცვლად იმისა, რომ ახალ-ახალ შანსებს მისცეს გასაქანი, ერთ საშინელ კითხვას მოაწამვლინებს თავს: "რატომ გამიკეთა ეს ჩემმა ცოლმა?" ეს კითხვა მის აკვიატებად იქცევა, რაც პრინციპში ზაჰირს ნიშნავს.

- უფრო ზუსტად, რას ნიშნავს "ზაჰირი"?

- ხორხე ლუის ბორხესის მიხედვით "ზაჰირის" იდეა ისლამური ტრადიციიდან იღებს სათავეს. ის დაახლოებით მე-18 საუკუნეში გაჩნდა. არაბულად "ზაჰირი" ნიშნავს "ხილულს", "ამ წამიერს", რამე ისეთს, რომელიც შეუძლებელია, არ შენიშნო. ის შეიძლება, იყოს საგანი და ადამიანიც. და რაც არ უნდა იყოს ის, "ზაჰირი" ნაბიჯ-ნაბიჯ იპყრობს მთელ ჩვენს არსებას, თითოეულ ჩვენს ფიქრსა და განცდაში განსხეულდება და ასე გრძელდება მანამ, სანამ ჩვენ სხვა რამეზე ფიქრს, უბრალოდ, ვეღარ შევძლებთ. სხვა სიტყვებით, ამ მდგომარეობას შეიძლება, ვუწოდოთ ან სიწმინდე, ან სიგიჟე.

- რა დოზით შეიძლება განვიხილოთ "ზაჰირი" ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებად? თქვენი შინაგანი სამყაროს რა ნაწილი დევს მასში?

- წიგნი მართლაც ეფუძნება ჩემს მწერლურ გამოცდილებასა და წმინდა ადამიანურ შთაბეჭდილებებს. საერთოდაც, ავტობიოგრაფიული ნაწილი ალბათ ყველა წიგნში დევს, რადგან ადამიანს კარგად გამოსდის საკუთარი ცხოვრებისეული ეპიზოდების გარდაქმნა-გადასხვაფერება. თუმცა, "ზაჰირის" მთავარი გმირისგან განსხვავებით, მე და ჩემი მეუღლე კვლავაც ერთად ვართ, ის მხატვარია და ჩემი წიგნიც სწორედ მას ეძღვნება.

- წიგნში ასეა - მთავარი პერსონაჟის, წარმატებული მწერლის მეუღლეც ცნობილი პიროვნებაა, კარგი რეპუტაციითა და კარიერით. და მაინც, ის ქმარს მიატოვებს, რატომ?

- "ბედნიერების ძიება" ადამიანისთვის ყველაზე სახიფათო მახედ შეიძლება, იქცეს. მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით, მწერლის მეუღლეს, ესთერს ყველანაირი მიზეზი აქვს, ბედნიერი რომ იყოს, მას რაღაც მაინც აკლია. მაგრამ ის სხვა უბედური ადამიანებივით არ იქცევა - თავს არ იტყუებს და არ იგონებს მოუცლელობას იმისთვის, რომ ყოვლისმომცველი შინაგანი ტკივილი დაივიწყოს. პირიქით, ესთერი აღიარებს, რომ მის ცხოვრებას რაღაც მნიშვნელოვანი აკლია და იწყებს კიდეც იმის ძიებას, რასაც ადამიანები "ბედნიერებას" ეძახით.

- და სწორედ მაშინ გადაწყვეტს ის, ფრონტის ხაზზე იმუშაოს და რეპორტაჟები წეროს?

- დიახ, ასეა. ომს ადამიანის გამოცდა ბოლო წვეთამდე შეუძლია, ყველა მისი ცუდისა და კარგი თვისების გამომზეურება ძალუძს. საუბედუროდ, სწორედ ამის მოწმენი ვართ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაღვივებულ ცხელ წერტილებში.

- თქვენი აზრით, შეიძლება თუ არა ზაჰირი განზოგადდეს და ის უნივერსალურად ყველა ადამიანზე გავრცელდეს?

- როგორც მოგახსენეთ, ზაჰირი შეიძლება იყოს, ადამიანი, სახური, რაიმე მიზანი, მაგრამ ბრძოლას მისი მიღწევისა და დაუფლებისთვის ბედნიერება არასდროს მოაქვს, პირიქით, ის არაჯანსაღ აკვიატებად იქცევა ხოლმე. სამწუხაროდ, ასეა - ზაჰირი ზოგადდება, მისგან დაზღვეული არავინაა.

- წიგნში თქვენ რამდენჯერმე ახსენებთ უთქმელ ამბებს, ნათქვამი და გაცხადებული ამბების მიღმა რომ იმალება.

- დიახ და აქვე რამდენიმე მაგალითიც შემიძლია, გავიხსენო. ადამიანი მთელი ცხოვრება იბრძვის ბედნიერების, სულიერი სიმშვიდის მოსაპოვებლად - ეს ცნობილი ამბავია. მაგრამ ბოლოს გადის პენსიაზე და საბოლოოდ რწმუნდება, რომ უკვე ცხოვრებაში კი აღარ იმყოფება, არამედ ცხოვრების ზღვარზე. ამის პარალელურად ათასობით მაგალითის გახსენება შეიძლება სიმბოლიკის სფეროდანაც. ვთქვათ, ჯვარცმა, რომელიც ყველა სხვა ადამიანურ ტანჯვაზე აღმატებულია. ციცერონი მას აღწერს, როგორც "თავზარდამცემ სასჯელს", რომელიც ადამიანს სიკვდილის დადგომამდე ატყდება თავს. და მიუხედავად ამისა, ადამიანები მაინც უდარდელად ატარებენ ჯვარს ყელზე, კიდებენ მას კედელზე. მათთვის ჯვარცმა რელიგიური სიმბოლოა მხოლოდ და საერთოდ აღარ ახსოვთ, რომ ერთ დროს ის ადამიანის წამების ჩვეულებრივი იარაღი იყო.

კიდევ ერთი მაგალითი ქრისტიანობიდან: სულიერმა მამებმა ერთი ძველი წარმართული რიტუალი გადმოიტანეს ქრისტიანობაში და ის დღესაც ძალიან პოპულარულია: უხსოვარ დროში, წელიწადში ერთხელ გერმანული ტომები მუხის ხის გარშემო ბავშვებისთვის საჩუქრებს აწყობდნენ, რადგან სჯეროდათ, რომ ამით თავიანთ წარმართულ ღმერთს ასიამოვნებდნენ.

- შეიძლება, რომ ადამიანს ერთზე მეტი ზაჰირი ჰქონდეს ცხოვრებაში?

- იმედგაცრუებები გროვდება და ზაჰირიც ამ დროს ჩნდება. რა ემართება ამ დროს ადამიანს, უკვე კარგად ვიცით: პრობლემების გადაჭრაზე ფიქრის ნაცვლად, მზერა მას ამ პრობლემაზე ეყინება და ასე გაშეშებული, აკვიატებული იდეითა და ტკივილით მუდამ ერთ ფაზაში რჩება.

- შეიძლება თუ არა მოხდეს ისე, რომ ზაჰირმა დასახული მიზნისკენ გაგვიკვლიოს გზა, თუ ის მხოლოდ სურვილად რჩება?

- ერთია ოცნების გზით სიარული და მეორეა გჯეროდეს ნიშნების, რომლებიც გზად მიგიძღვება. უკანასკნელ შემთხვევაში გაცილებით უფრო სასიამოვნო ხდება მგზავრობა მიზნისკენ. ზაჰირი კი სწორედ ამ სიამოვნებას აკლებს ადამიანს. ზაჰირის დროს თითოეული ახალი ნაბიჯის გადადგმისას ადამიანი არ განიცდის აღმაფრენას და წინ აკვიატებული იდეით შეპყრობილი ჯიუტად მიიწევს. მისთვის ოცნება, საბოლოო მიზანი მარტივ სურვილად იქცევა. ის ფიქრობს, რომ უნდა აისრულოს ოცნება, უბრალოდ იმიტომ, რომ იცოცხლოს.

- რატომ აირჩიეთ ერთ-ერთი მთავარი გმირის სამშობლოდ ყაზახეთი?

- იმიტომ, რომ ამ ქვეყანაში უხსოვარი დროიდან მოქმედებს ტენგრის ტრადიცია, რომელსაც დღემდე ბევრი რამის სწავლა შეუძლია ჩვენთვის. ის სულიერებაა რელიგიური ფორმალობის გარეშე. ის გვასწავლის, რომ ყოველდღიური ცხოვრება დღესასწაულია, რომელიც ყოველ ცისმარე დღეს უნდა ვიზეიმოთ. სწორედ სამყაროსადმი ამგვარმა დამოკიდებულებამ იხსნა ნომადები და სხვა ხალხები იმ წნეხისგან, ტრადიციული რელიგიების მიმდევრებისგან რომ გრძნობდნენ.

ესპანეთში ბოლო სტუმრობისას წირვას დავესწარი. სახარების წაკითხვის დრო რომ დადგა, ეკლესიიდან გამოვედი და პეიზაჟს მოვავლე თვალი. წირვა რადიოფიცირებული იყო და მღვდლის ხმა გარეთაც გარკვევით აღწევდა. მღვდელი სახარების ერთ-ერთ ეპიზოდს განმარტავდა. იქ, ბუნების წიაღში, მისმა სიტყვებმა უფრო დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე, რადგან ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, ვგრძნობდი სიცოცხლეს: ვიდექი მთის წვერზე და ქვევით დავყურებდი ვრცელ მიწას - რომელიც სიცოცხლის - როგორც სასწაულის - ყველაზე ხილული მანიფესტაცია მგონია.

- როგორ იწყებთ წიგნის წერას?

- საკუთარ ქვეცნობიერში ვიძირები. ვაძლევ ჩემს თავს უფლებას, თამამად წარმოვთქვა კითხვები რომლებიც სულში ღრმად მიჩნდება, მაგრამ ჩემი გონება ვერ წვდება. წერის პროცესში ვპოულობ კიდეც პასუხებს ამ კითხვებზე.

- რომელი თქვენი წიგნი ჰგავს "ზაჰირს?"

- თითოეული წიგნი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულია და ჩემი სულის ერთ კონკრეტულ მდგომარეობას გამოხატავს. რაც ჩემს წიგნებს აერთიანებს უფრო სტილია, ვიდრე თემატიკა; სტილი, რომელიც უფრო პირდაპირია და ყოველგვარი ხელოვნურობისგან დაცლილი.

- თქვენი საყვარელი ავტორები.

- უილიამ ბლეიკი, ჰენრი მილერი, ხორხე ლუის ბორხესი და ჟორჟი ამადუ.

- თქვენ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბესტსელერი მწერალი ხართ, რა შეცვალა ამ გარემოებამ თქვენთვის ლიტერატურის აღქმაში?

ბევრს ვმოგზაურობ, ვეცნობი ჩემი მკითხველის წერილებს, ვკითხულობ ლექციებს და თანდათან ვრწმუნდები, რომ დღეს წიგნი ისევე მნიშვნელოვანია ადამიანისთვის, როგორც მუსიკა იყო ჩემი თაობისთვის.

- გჯერათ თუ არა, რომ დასავლეთში, სადაც ვარსკვლავის კულტი არსებობს, კვლავაც რჩება ადგილი ინტელექტუალებისთვის?

- ვფიქრობ, ინტელექტუალსაც შეუძლია, იყოს ვარსკვლავი. ამ მდგომარეობას ის ცოტა შემოქმედებითად და გონივრულად უნდა მიუდგეს. თავისი იმიჯი მან კაცობრიობის საკეთილდღეოდ უნდა გამოიყენოს. უნდა ეცადოს რამე მაინც გააკეთოს იმისთვის, რომ მსოფლიო უკეთეს ადგილად იქცეს. პიტერ გაბრიელი და ბონო - სწორედ ასეთი ადამიანები არიან.

- შესაძლებელია თუ არა, რომ ლიტერატურამ პოპკულტურასა და აკადემიურ კულტურას შორის გაავლოს ხიდი?

- დღევანდელი პოპკულტურა ხვალინდელი დღის აკადემიური კულტურაა.

პენტაგონის პრობლემა

ახალი იარაღი თუ ძველი ჭარისკაცები?

მელორ სტურუა
საკ. კორ. აშშ-ში

პენტაგონის გარშემო ყოველთვის ხალხმრავლობაა. ჩვეულებრივ, ისინი სხვადასხვა სახეობის ჯარის წარმომადგენლები არიან, რომლებიც აშშ-ს სამხედრო უწყების საბიუჯეტო საბანს თავისკენ ექაჩებიან. მაგრამ, ამჟამად სამხედრო ჯანდაცვა ყველაზე ხმაურიანი აღმოჩნდა. ძირითად გეგმას, რომელიც ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეების და ვეტერანების ჯანმრთელობას უზრუნველყოფს, სახელად თრაიქეარი (Tricare) ქვია. 2001 წლიდან ამ გეგმის მიხედვით დანახარჯებმა 50 მილიარდ დოლარს მიაღწია და მთელი პენტაგონის ბიუჯეტის ერთი მეათედი შეადგინა! ამ ასტრონომიული თანხის 75 პროცენტი ვეტერანებსა და გადამდგარ სამხედროებზე მოდის. ეს კიდევ ყველაფერი არ არის. მომდინარე ათწლეულში ახალი გეგმა "სიცოცხლის ბოლომდე თრაიქეარი" (Tricare for Life) ამოქმედდება. კონფიდენციალური საბიუჯეტო დოკუმენტების თანახმად ახალი გეგმის, TFL-ის ღირებულება 100 მილიარდ დოლარს შეადგენს!

თრაიქეარის ხარჯების გამო, უკვე დღეს, პენტაგონის სუფთა სამხედრო ხარჯების ბრუნვა კლებულობს. მოსალოდნელია, რომ TFL გეგმა კონკურენციას გაუწევს იარაღის ახალი სისტემების შექმნაზე გაწეულ ხარჯებს. ჯანდაცვის საქმეების განხრით თავდაცვის მინისტრის მოადგილის, ვილიამ ვინკენვერდერის თქმით, პენტაგონი აღმოჩნდა "მზარდი, სერიოზული და ხანგრძლივი პრობლემის წინაშე, რომელიც შეიძლება დავახასიათოთ, როგორც არჩევანი ახალ იარაღსა და ძველ ჯარისკაცებს შორის". ამ წინააღმდეგობრივ სიტუაციაში ვეტერანების მხარეზე ისეთი ყოვლისშემძლე მოკავშირე არის, როგორც აშშ-ს კონგრესია. სენატის შეიარაღებული ძალების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე, ჯონ უორნერი ამბობს: "მე არ მინდა, რომ იარაღის შესასყიდი ფული წაართვან ჯანდაცვას. მე მინდა, რომ ჯანდაცვაზე გამოყოფილი თანხები ხელშეუხებელი იყოს".

სამხედრო მოსამსახურეებისათვის დანაპირები ახალი გეგმის, TFL-ის ბედი საკმაოდ მოგვაგონებს ბუშის ადმინისტრაციის პირობას - თავის თავზე აეღო მოხუცი ამერიკელების წამლების საფასურის ხარჯები. ეს უკანასკნელი გიგანტურ ხარჯებს მოითხოვს - 1 ტრილიონი დოლარი თვეში. გასულ წელს ადმინისტრაციას თავისი მოქალაქეების მიმართ 13 ტრილიონი დოლარის დავალიანება უკვე დაუგროვდა, ანუ უფრო მეტი, ვიდრე მთელი ამერიკის ეკონომიკის მიერ წარმოებული 2004 წელს. აშშ-ს გენერალური კონტროლიორის, დევიდ უოლკერის მონაცემების მიხედვით, ხალხის მიმართ მთავრობის მთლიანმა დავალიანებამ 43 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა. "ბოლო წელი ყველაზე ცუდი ფისკალური წელი იყო" - თვლის უოლკერი. დღემდე ვაშინგტონი აგრძელებს "სვლას" სესხებისა და ასობით მილიარდი დოლარის დეფიციტური დანახარჯების ხარჯზე.

დავუბრუნდეთ თრაიქეარს. ეს გეგმა 9 მილიონ ადამიანს მოიცავს. ის ფარავს ვეტერანებისა და მათი ოჯახების ჯანდაცვისთვის საჭირო ხარჯებს. თრაიქეარის ყოველწლიური მომსახურეობის გადასახადი მხოლოდ 430 დოლარია. "სიცოცხლის ბოლომდე თრაიქეარი" კი უფასოა. ის უზრუნველყოფს 65 წლის ზემოთ ვეტერანებს, მათ ცოლებს, მათ ყოფილ ცოლებს, თუ ასეთები არსებობენ. გადამდგარი სამხედროების რიცხვი ნელა იზრდება და უახლოვდება 1,8 მილიონ ადამიანს (მიზეზი - მეორე მსოფლიო ომის და კორეის ომის ვეტერანთა სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი). მიუხედავად ამისა, პენტაგონის ხარჯები TFL-ზე იზრდება (6 მილიარდი 2004 წელს - 13 მილიარდი 2015 წლისთვის). კონგრესმა ათწლიანი (2005-2015) TFL-თვის 150 მილიარდი დოლარის ასიგნება განახორციელა. სენატორი უორნერი აღიარებს: "ჩვენი პაკეტი გრანდიოზულია და კონკურენციას უწევს იარაღის ზოგიერთ სისტემას. მაგრამ გადამდგარი სამხედროებისთვის ჯანდაცვის პირველხარისხოვანი გეგმა გადამწყვეტი პირობაა ჯარისკაცების წარმატებული რეკრუტირებისა და არმიის რიგებში მათ გასაჩერებლად. აზრი არ აქვს თანამედროვე შეიარაღების შესყიდვას, თუ თქვენ არ გყავთ ჯანმრთელი, გონიერი ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ ამ შეიარაღების მართვა და რომელთაც სურთ ჯარში სამსახური".

ჯანდაცვის სფეროში პენტაგონის ხარჯები აღემატება აშშ-ს სახმელეთო ძალთა იარაღის ახალი სისტემების შესყიდვის ხარჯების ბიუჯეტს და საჰაერო-საზღვაო ძალების ახალი ხომალდებისა და წყალქვეშა ნავების შესყიდვის ხარჯების ბიუჯეტს. ის ასევე აღემატება აშშ-ს საჰაერო შეიარაღებული ძალების ხარჯებს ახალი თვითმფრინავების შესყიდვისათვის. აშშ-ს კონგრესის წარმომადგენლობითი პალატის შეიარაღებული ძალების კომიტეტის თავმჯდომარე, დანკენ ჰანტერი ამბობს: "ის, რაც ჩვენ დავუმატეთ სამხედრო მოსამსახურეების ჯანდაცვის ხარჯებს ბოლო 6 წლის განმავლობაში, აღემატება შეიარაღების მოწოდების ყველა ბიუჯეტს ერთად აღებულს".

პენტაგონმა განგაში ატეხა. საჰაერო შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსი, გენერალი ჯონ ჯამპერი ამბობს: "ყველაზე რთული პრობლემა და ჩვენი ყოველდღიური თავისტკივილი არის თრაიქეარი. მასზე ხარჯები სულ უფრო იზრდება და იზრდება". თავდაცვის მინისტრის მოადგილე დევიდ ჩუ კი ამბობს: "რამსფელდი სერიოზულად შეშფოთებულია ჯანდაცვის ხარჯების ზრდით, რომელიც ძირითადად მათზე მოდის, ვინც შეიარაღებული ძალების რიგები დატოვა. ეს მნიშვნელოვან სირთულეებს ქმნის ჩვენი მომავალი სამხედრო ბიუჯეტებისთვის" (კონგრესის ცდა თრაიქეარის და TFL-ის ხარჯები პენტაგონის მაგივრად ფინანსთა სამინისტროსთვის გადაეღოცა, წარუმატებელი აღმოჩნდა. ხაზინადარებმა ის უკან გადაუგდეს).

ვეტერანები TFL-თვის ბოლო ათი წლის განმავლობაში იბრძოდნენ (ამ გეგმას რეკრუტების მრავალ წინა თაობებს პირდებოდნენ). ამ პრობლემას "დაპირება" (Promise) დაარქვეს. "მთელი ცხოვრების მანძილზე ჩვენი ჯანმრთელობის დაცვა, ეს ნაციონალური ვალდებულებაა. თუ სამხედროები აგიტაციას უწევენ ხალხს, რომ მათ ჯარში იმსახურონ და წავიდნენ საომრად, მაშინ ამას თან უნდა ახლდეს გარკვეული ვალდებულებები, რომლებიც უნდა შესრულდეს", - ამბობს 370 ათასი წევრისგან შემდგარი ამერიკის ოფიცრების ასოციაციის დირექტორი, სტივ სტრობრიჯი. ვეტერანებმა შეძლეს კონგრესის გატეხვა. ნათელი იყო, რომ ნებისმიერი კონგრესმენისთვის TFL-ის წინააღმდეგ ხმის მიცემა, თვითმკვლელობის ტოლფასი იქნებოდა. "ამ თემაზე ლაპარაკიც კი სახიფათოა", - აღიარებს კონგრესმენი მარკ სტივენი, რომელიც თვითონ რეზერვისტი საზღვაო ოფიცერია.

"ნიუ იორკ თაიმსის" სამხედრო მიმომხილველს, ტომ ვაინერს, რომლის მადლიერი ვარ წერილში მოყვანილი ციფრებისა და ციტატებისთვის, შემდეგი გამონათქვამი მოყავს: " ჩვენ საშინელი დილემის წინაშე ვდგავართ. რაც უფრო მუხრუჭდება პენტაგონის სამხედრო ხარჯები, მისი ბიუჯეტის მით მეტი ნაშთი გადადის ჯანდაცვის პროგრამებზე. ყოველთვის, როცა პენტაგონი ცდილობს ამ პროცესის დამუხრუჭებას, ამერიკის ოფიცრების ასოციაცია ცოფდება, კონგრესისგან მუქარას იღებს და იძულებულია გაზარდოს ხარჯები TFL-ზე. სახეზეა კონგრესისა და ვეტერანთა კავშირის თავისებური შეთქმულება". მოყვანილი გამონათქვამი იმითაა საყურადღებო, რომ იგი ეკუთვნის ვინსლოუ ვილერს, რომელიც ბოლო 30 წელია აშშ-ს სენატის ანალიტიკოსია სამხედრო ხარჯების განხრით და სწორედ TFL-ის ლობირებისთვის ამერიკის ოფიცერთა ასოციაციისაგან მიღებული აქვს სიგელი!

ყავყავები

ნინო ტიკარაძე

"პატარა ბიჭი" და მისი დიდი საცოლე

ინგლისის ეროვნული ნაკრების ახალგაზრდა ვარსკვლავი უეინ რუნი, როგორც ჩანს, საერთოდ არ ფიქრობს კონსპირაციაზე, ამიტომაც გახლავთ ასე იოლად მოსაპოვებელი ნადავლი ჟურნალისტებისთვის, რომლებიც ფეხდაფეხ დასდევენ მას. ამჯერად აბეზარი პაპარაცების ობიექტივმა წყალში მონებივრე ფეხბურთელი და მისი ფერხორციანი (არა, მაინცდამაინც მსუქანი არ არის, თუმცა, არც გამხდარია!) საცოლე კოლინ მაკლაფლინი დააფიქსირა.

ამჟამად ბედნიერი წყვილი კარიბის ზღვაზე ისვენებს. აქ გამოექცნენ ისინი ქალაქის ხმაურიან ცხოვრებას. რომ იცოდეთ, როგორ გულით და სულით მოემზადა კოლინი ამ დასვენებისთვის. უზარმაზარი თანხა გადაუხადა ცნობილ დიზაინერებს საცურაო კოსტიუმის შეკერვისთვის, მაგრამ ვინ დაუფასა?! ინგლისელმა ჟურნალისტებმა თქვეს, ფასის გარდა, მასში განსაკუთრებული არაფერიაო.

არა, მაინც რა მფლანგველები არიან რუნი და მისი საცოლე (ისე დანანებით ვამბობ, თითქოს ჩემს ნაშრომ-ნაჯაფს ხარჯავდეს რომელიმე!). ფეხბურთელი ზღვაზე უამრავ ფულს ხარჯავს. მეგობარ გოგონასთან ერთად ის ჰოლივუდის ვარსკვლავების საყვარელ სასტუმროში ცხოვრობს და დღე-ღამეში 1300 გირვანქა სტერლინგს იხდის. სხვათა შორის, ამჟამად მათი მეზობლები მაიკლ დუგლასი და მისი მომხიბვლელი მეუღლე კეტრინ ზეტა-ჯონსი არიან.

ამბობენ, კოლინი მეტისმეტად შევიდა ცნობილი ადამიანის როლშიო. "კოლინი ისე იქცევა, თითქოს ის თამაშობდეს "მანჩესტერ იუნაიტედში" და მასვე გაჰქონდეს გოლები. ის მალე და იოლად შეეგუა იმ აზრს, რომ მთელი ქვეყანა მას ეკუთვნის", - ეს არცთუ ისე თბილი სიტყვები ეკუთვნის ადამიანს, რომელმაც უარი თქვა თავისი ვინაობის გამხელაზე (თუ მხედველობაში მივიღებთ რუნის გაუწონასწორებელ და ფეთქებად ხასიათს, ეს გადაწყვეტილება მეტად გონივრულადაც კი შეიძლება ჩაითვალოს!). ამ ანონიმი წყაროს ცნობით, თურმე ნუ იტყვით და, უეინ რუნი მეტად დამჯერე ბიჭი ყოფილა - საცოლეს ყველა სურვილს, ხშირად კაპრიზსაც კი უსიტყვოდ უსრულებს: "ის არ ედავება კოლინს. საერთოდ, პატარა ბიჭივით იქცევა. თუ კოლინი ჩრდილში წასვლას სთხოვს, ისიც მორჩილად მიდის. თუ ცურვის ნებას აძლევს, ზღვაში შედის".

რუნისგან ასეთი საქციელი, ცოტა არ იყოს, დაუჯერებელია. არადა, არა მგონია, თვითმხილველები იტყუებოდნენ. როგორც ხედავთ, თავზეხელაღებული ფეხბურთელის დამორჩილება არც ისე ძნელი ყოფილა. მთავარია მოინდომო და რას არ იზამ!

კემპბელი ძმის ზურგს ამოეფარა

ლონდონის "არსენალის" მცველის სოლ კემპბელის ძმას მთელი თორმეტი თვით მოუწევს ციხეში ჯდომა. იგი სოლ კემპბელის ანუ საკუთარი ძმის შეურაცხმყოფელის სასტიკ ცემაში დაადანაშაულეს.

ყველაფერი კი ასე დაიწყო: ოთხი წლის წინათ დაუდგენელი პირები ფეხბურთელს დაემუქრნენ. უფრო კონკრეტულად თუ გნებავთ, "ტოტენჰემის" ოფიციალურ საიტზე სოლ კემპბელის მისამართით მუქარით სავსე სიტყვები გაჩნდა. მუქარა იმდენად სერიოზულად ჟღერდა, რომ საქმეში პოლიცია ჩაერთო. სამართალდამცველებმა დაკითხვაზე გამოიძახეს კლუბის რამდენიმე წარმომადგენელი, თუმცა, ფაქტია, რომ ავისმზრახველთა ვინაობა დღემდე დაუდგენელია.

ეს ფაქტი ფეხბურთელის "ტოტენჰემიდან" "არსენალში" გადასვლას უკავშირდება. წასვლის წინ კემპბელმა განაცხადა, რომ კლუბის შეცვალა "დიდი პრობლემა არ უნდა გახდეს" მისი ყოფილი გულშემატკივრებისთვის. თუმცა, აი, აქ კი შეცდა. პრობლემად კი არა, უზარმაზარ პრობლემად იქცა. "ტოტენჰემთან" ნებისმიერი შეხვედრის დროს ამ კლუბის გულშემატკივრები შეურაცხმყოფელი ლოზუნგებით ჩნდებოდნენ და ტრიბუნებიდან ემუქრებოდნენ მას.

ერთ-ერთი მატჩის დროსაც, რა თქმა უნდა, იგივე გამეორდა. როცა საჭირო გახდა სამართალდამცველების ჩარევა, ახლომახლო არც ერთი მათგანი არ აღმოჩნდა. ჰოდა, სიტუაცია გამწვავდა. ერთ-ერთმა გულშემატკივარმა თავი გამოიჩინა და ზედმეტად შეურაცხყო ფეხბურთელი. საქმეში სპორტსმენის ძმა ჩაერთო და გულშემატკივარს სიტყვით რომ ვერაფერი გააგებინა, მუშტებიც მოიშველია. ზედმეტი მოუვიდა. ამისთვის დააპატიმრეს. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ფეხბურთელის ძმამ შეურაცხმყოფელი სასტიკად ცემა.

სხვათა შორის, არც სოლ კემპბელს აქვს ნერვები მაინცდამაინც წესრიგში. გამუდმებული მუქარის პირობებში ეს, ალბათ, არც უნდა იყოს გასაკვირი. თუმცა, მუქარა იქით იყოს და, რამდენიმე წლის წინათ (მუქარამდე რამდენიმე ხნით ადრე!), ინგლისის სუპერთასის მატჩის დროს, სოლ კემპბელი მეტად უხეშად მოექცა "მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელს ჯემბა-ჯემბას, რისთვისაც დაისაჯა კიდეც - სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო, თუმცა, ექსპერტებმა აღიარეს, რომ მან მხოლოდ უხეშობას უხეშობით უპასუხა.

მოკლედ, კემპბელი გასაჭირშია. მის გამო მისი ძმა ჩასვეს ციხეში, მუქარაც არ წყდება...

საცოლისთვის გაღებული მსხვერპლი

ჰოლანდიის ეროვნული ნაკრებისა და ამსტერდამის "აიაქსის" აწ უკვე ყოფილი ფეხბურთელის რაფაელ ვან დერ ბარტის გერმანულ კლუბ "ჰამბურგში" გადასვლამ, შესაძლოა, მნიშვნელოვანი შედეგები გამოიღოს გერმანული შოუბიზნესისთვის. საქმე ის გახლავთ, რომ 22 წლის რაფაელი ჰამბურგში ცალად არ ჩასულა - საცოლე, ჰოლანდიის ტელეწამყვანი სილვია მეისიც წაიყვანა თან.

სილვია, რომელიც ხუთი წლით უფროსია ვან დერ ბარტზე, ჰოლანდიაში ნამდვილ ვარსკვლავად ითვლება. თუმცა, როგორც ჩანს, ამ ქვეყნის ტელეაუდიტორია მისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. მას უფრო შორს მიმავალი გეგმები ჰქონდა. ამიტომაც იყო, სიხარულით რომ დათანხმდა, გამხდარიყო გერმანული MTV-ის წამყვანი. სტუდია ჰამბურგში მდებარეობს. ჰოდა, კულუარებში იმაზე დაიწყეს საუბარი, რომ ვან დერ ბარტმა სილვიას კარიერისთვის მიიღო "ჰამბურგის" შეთავაზება, სამაგიეროდ, უფრო ძლიერსა და მდიდარ ევროპულ გუნდებზე თქვა უარი. სიმართლე, ალბათ, მხოლოდ ფეხბურთელმა და მისმა საცოლემ იციან. ჩვენ ვინ რას გვეტყვის?

არადა, ფაქტია, რომ სილვიას საქმე საათივით აეწყო: ვან დერ ბარტმა "ჰამბურგთან" ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ასე რომ, მას საკმაოდ დიდი დრო აქვს იმისთვის, რომ გერმანელთა გული მოინადიროს. თუმცა, განზრახვის დროებით გვერდზე გადადება მოუწევს, რადგან მალე იგი რაფაელის ცოლი გახდება და მეუღლესთან ერთად საქორწინო მოგზაურობაშიც წავა.

ბოლოს და ბოლოს, დროა, ოუენის ბედი გადაწყდეს

ინგლისელი თავდამსხმელის მაიკლ ოუენის ბედი მადრიდის "რეალში" დღემდე გაურკვეველია. შესაბამისად, დაბნეულია თავად ფეხბურთელიც. რამდენია ხანია, ესპანური პრესაში იმაზე საუბრობენ, რომ ფეხბურთელს ესპანეთში სული ეხუთება და მშობლიურ ინგლისში უნდა დაბრუნება. ასეთი განცხადებები იმდენად გახშირდა, რომ "სამეფო კლუბის" ფეხბურთელების უმეტესობის გაღიზიანება გამოიწვია. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა რაულის მიერ ინგლისელი თანაგუნდელის მისამართით რამდენიმე ხნის წინათ გაკეთებული განცხადება: "წასვლა გინდა? ჰოდა, წადი. ჩვენ გვჭირდება ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც მხოლოდ "რეალის" თამაშზე ფიქრობენ და სხვა არაფერზე. ჩვენთან მთელი გულით უნდა იყო".

შემდეგ მაიკლ ოუენმა მიმართა ფართო საზოგადოებას და სცადა იმაში დაერწმუნებინა, რომ მას მადრიდიდან წასვლა არ უნდოდა.

ყოყმანობდა მადრიდული კლუბის ხელმძღვანელობაც. არც ოუენის დარჩენაზე ამბობდა რამეს და არც მის წასვლაზე.

ამ დღეებში კი ცნობილი გახდა, რომ "სამეფო კლუბი" "მანჩესტერ იუნაიტედის" შეთავაზებაზე ფიქრობს. წინადადება კი ნახევარმცველის კრიშტიანუ რონალდუსა და თავდამსხმელის მაიკლ ოუენის გაცვლას შეეხება. ტყუილი იქნება იმის თქმა, რომ "რეალს" ეწყინა ან არ ესიამოვნა მანკუნიანელთა წინადადება. ამბობენ, მადრიდის კლუბი მზადაა, ინგლისელებს რონალდუსთვის ოუენთან ერთად 13 მილიონი გირვანქა სტერლინგიც შესთავაზოს.

მოკლედ, აღარ იციან, როგორ მოიშორონ თავიდან ეს ფეხბურთელი. ოუენი კი მთელი ხმით გაიძახის, წასვლა არ მინდაო. ნეტა, მას ვინ რას ეკითხება?!

ფეხბურთი

მოვიგე, ფეოლა!

ნოდარ ახალკაცი პრეზიდენტია

მიხეილ აბაიშვილი

ამიერიდან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ნოდარ ახალკაცი უხელმძღვანელებს

ყველას კარგად გახსოვთ იპოლიტე ხვიჩიას უკვდავი პერსონაჟის ფეოლას პასუხი სათაურში გამოტანილ ფრაზაზე. ნოდარ ახალკაცს, "უქიმერიონივით", არ გასჭირვებია, დიდი ანგარიშით - 25:0 გაემარჯვა. მომდევნო ორი წლის განმავლობაში ის ქართულ ფეხბურთს უხელმძღვანელებს. თუმცა, გამარჯვებას ფასი ნაკლებად ჰქონდა, რადგან ახალკაცმა ცალ, თანაც, ცარიელ კარში ითამაშა. ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა, რომ არჩევნებამდე საკუთარი ფავორიტისთვის ყველა მეტოქე გზიდან ჩამოეცილებინა და საფეხბურთო სამყაროსთვის არჩევანი არ დაეტოვებინა. ერთი მხრივ, ეს ძალიან ცუდია. როდესაც ლამის დემოკრატიის ციტადელობას ვიბრალებთ, ასეთი არადემოკრატიული, დიქტატორული არჩევნები არც ქვეყანას და არც ფეხბურთს კარგს არაფერს მოუტანს. თუმცა, მედალს მეორე მხარეც აქვს. ასეთი მეთოდით ახალკაცის გაპრეზიდენტებით ქართული ფეხბურთის მომავალზე პასუხისმგებლობა და ვალდებულება, პირველ რიგში, ხელისუფლებამ აიღო თავის თავზე.

ყრილობამ მშვიდ ვითარებაში ჩაიარა. ასეთი მოკლემეტრაჟიანი და ერთსულოვანი საარჩევნო ყრილობა ქართულ რეალობაში პირველად ჩატარდა. ქართული საფეხბურთო ოჯახის დარაზმული ერთსულოვნების მომსწრენი გახდნენ ფიფას და უეფას ოფიციალური წარმომადგენლებიც. ფიფას გენერალური მდივნის მოადგილე ჟერარ შამპანი, უეფას აღმასკომის წევრი ჟოზეფ მიფსუდი და ფიფას პროგრამა "გოლის" მენეჯერი ევა პასკიე პრეზიდიუმიდან ადევნებდნენ თვალს ყრილობის მსვლელობას.

"გადმოგცემთ ფიფას პრეზიდენტის იოზეფ ბლატერისა და უეფას პრეზიდენტის ლენარტ იუჰანსონის მოკითხვას და კეთილ სურვილებს. ფიფა და უეფა ზრუნავენ მთელ მსოფლიოში ფეხბურთის განვითარებაზე. ამ მიზნით ოთხივე კონტინენტის ეროვნული ფედერაციები ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას იღებენ. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი გამორჩეული იყო. მისი ხელმძღვანელობა პირნათლად ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებებს და ჩვენ მათთან პრობლემა არასდროს გვქონია. იმედი გვაქვს, დღევანდელი არჩევნების შემდეგაც ახალი ხელმძღვანელობა გააგრძელებს იგივე კურსს და ყველაფერს გააკეთებს საქართველოში ფეხბურთის განვითარებისთვის", - ამ სიტყვებით მიმართა დელეგატებს დოქტორმა ჟოზეფ მიფსუდმა.

ყრილობა გახსნა სფფ-ს ვიცეპრეზიდენტმა ალექსანდრე ჩივაძემ. მან წაიკითხა სფფ-ს ექსპრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას მიერ საპატიმროდან გამოგზავნილი ბარათი, რომლის მიხედვითაც ის პრეზიდენტის უფლებამოსილებას იხსნიდა. დელეგატებმა ერთხმად დააკმაყოფილეს ჟორდანიას თხოვნა და იგი ოფიციალურად გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან. შემდეგ თავისი სამოქმედო პროგრამის წარდგენისთვის ნოდარ ახალკაცს მიეცა სიტყვა. ახალი პრეზიდენტი ამ პროგრამის განხორციელებისკენ პირველი ნაბიჯების გადადგმამდე ჯერ ვითარების შესწავლას აპირებს.

"პირველ რიგში, შექმნილი მდგომარეობა უნდა შევისწავლო. ისე არ გაიგოთ, თითქოს ამ ნაბიჯით ვინმეს დისკრედიტაციას ან გაკრიტიკებას ვაპირებდე. უბრალოდ, იმისთვის, რომ სწორი გზა ავირჩიოთ, ჯერ უნდა ვიცოდე, რა მეურნეობას ვიბარებ და რა კონკრეტული ხარვეზებია აღმოსაფხვრელი. ქართული ფეხბურთი ერთიანი ორგანიზმია, რომელიც გამართულად ვერ იმუშავებს, მისი ერთი უჯრედიც რომ იყოს დაავადებული. ამიტომ საქმის გამოსწორებას ეტაპობრივად უნდა შევუდგეთ და არც ერთი ეტაპი არ უნდა გამოვტოვოთ", - მიაჩნია ახალკაცს.

ახალი პრეზიდენტი ყველაზე სერიოზულ პრობლემად მიიჩნევს დაბალ პროფესიონალიზმს და მწირ ინფასტრუქტურულ ბაზისს.

"პროფესიონალიზმის დონე უნდა ამაღლდეს არა მხოლოდ ფედერაციის მმართველ სტრუქტურებში, არამედ საფეხბურთო მეურნეობის თითოეულ საფეხურზე. ერთ მაგალითს მოვიტან: საქართველოში დღეს მხოლოდ 120 ლიცენზირებული მწვრთნელია, რეგისტრირებული ფეხბურთელების რაოდენობა კი 25 ათასს აღწევს. როგორ უნდა მოემსახუროს 120 მწვრთნელი 25 ათას ფეხბურთელს? თან, ისიც გავითვალისწინოთ, რომ ფეხბურთელთა რიცხვიც არადამაკმაყოფილებელია. მაგალითად, ნორვეგიაში, რომელიც მოსახლეობის რაოდენობით საქართველოს ადეკვატურია, მისი გეოგრაფიული მდებარეობის მიუხედავად, 400 ათასი ფეხბურთელია რეგისტრირებული. სწორედ მასობრივი ფეხბურთის განვითარებით არის შესაძლებელი იმ ტრადიციების აღორძინება, რომლითაც ახლო წარსულში ასე ვამაყობდით. ყველა ქვეყანაში მიღებული პროპორციაა - საფეხბურთო პოტენციალის 98 პროცენტს მასობრივი ფეხბურთი შეადგენს და სწორედ ამ 98-დან აღმოცენდება ის 2 პროცენტი, რომელიც პროფესიონალურ დონეზე თამაშობს ფეხბურთს.

თუმცა, მწვრთნელების რაოდენობის გაზრდა და მასობრივი ფეხბურთის განვითარება საკმარისი პირობა არ არის ფეხბურთის წინსვლისთვის. თუ მოედნები არ გვექნება, ის 120 მწვრთნელიც ვერსად მოამზადებს მომავალ თაობებს. საჭიროა ინფრასტრუქტურის უსწრაფესი განვითარება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქვეყნის უპირველეს გუნდს, ეროვნულ ნაკრებს, საკუთარი სავარჯიშო მოედანი არა აქვს", - აღნიშნა ნოდარ ახალკაცმა.

ახალი პრეზიდენტი აუცილებელ პირობად მიიჩნევს გამჭვირვალობას. მისი აზრით, საზოგადოება სრულად უნდა იყოს ინფორმირებული, რაც ყოველგვარი ეჭვის თუ ჭორის საფუძველს მოსპობს.

"საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია არასანდო პარტნიორადაა მიჩნეული როგორც საზოგადოების, ისე ხელისუფლებისა და ბიზნესწრეების მიერ. ეს დამოკიდებულება საფუძველშივე კარდინალურად უნდა შეიცვალოს. ამისთვის აუცილებელია გამჭვირვალობა ფედერაციის საქმიანობის ყველა დონეზე. საქმისადმი მხოლოდ ასეთი მიდგომის შედეგად, ფედერაცია და საფეხბურთო სამყარო საზოგადოების თვალში ავტორიტეტს შეიძენს, რაც ბიზნესწრეებთან და ხელისუფლებასთან ურთიერთობის გაღრმავების, ფეხბურთში ფინანსების მოზიდვის აუცილებელი წინაპირობაა", - განაცხადა სფფ-ს ახალმა პრეზიდენტმა.

დელეგატებმა ღია კენჭისყრას დაუჭირეს მხარი, რაც, ცხადია, გასაგებია - ჯერ ერთი, დროს მოიგებდნენ და მეორეც, მომავალ პრეზიდენტს ღიად დაუფიქსირებდნენ ერთგულებას. კენჭისყრის შედეგები იოლად პროგნოზირებადი იყო. 26 დელეგატიდან 25-მა ახალკაცის გაპრეზიდენტებას მისცა ხმა, ერთმა დელეგატმა - საფეხბურთო კლუბ "თბილისის" დამფუძნებელმა მამუკა გუგუშაშვილმა "თეთრი ყვავის" როლი ითამაშა - ხმის მიცემისგან თავი შეიკავა. თუმცა, ეს თავშეკავება მხოლოდ პროტოკოლისთვის იყო მნიშვნელოვანი, კენჭისყრის შედეგებზე გავლენა არ მოუხდენია. ნოდარ ახალკაცი ოფიციალურად გახდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მესამე პრეზიდენტი. ის არასრული ვადით - 2 წლით უხელმძღვანელებს ქართულ ფეხბურთს.

კრივი

"რკინის მაიკის" კოროზია

გიგა გურასაშვილი

1990 წლის 2 ნოემბერს ბასტერ დუგლასთან ვაკანტურად გამოცხადებული საჩემპიონო ქამრისთვის ორთაბრძოლაში ათ რაუნდში ნაწვნევი მარცხის შემდეგ მაიკ ტაისონის საკრივო კარიერაში ბინდი ჩამოწვა. თხუთმეტი წლის წინ დაწყებული ტანჯვა და ურვა, რომლისგან თავის დაღწევასაც დღემდე ცდილობდა, უშედეგო გამოდგა. "რკინის მაიკი" უკურნებელი სენით - კოროზიით დაავადდა, რომლის სიმპტომებიც ბრძოლიდან ბრძოლამდე თვალშისაცემი ხდებოდა. გუშინ, გამთენიისას, ვაშინგტონის რინგზე მაიკ ტაისონის კარიერა დამთავრდა!

მაკბრეიდიმ გამარჯვება ირლანდიას მიუძღვნა

ირლანდიელ კევინ მაკბრაიდთან ჩხუბი სატიტულო არ ყოფილა. რინგზე არ გამოუფენიათ არც ერთი იმ ოთხი ძირითადი ასოციაციის (WBA), ფედერაციის (IBF), ორგანიზაციისა (WBO) თუ საბჭოს (WBC) უმთავრესი ქამრები, რომლებიც პროფესიულ რინგზე ფასობს. მიუხედავად ამისა, კრივის სამყაროს გულისყური მაინც ვაშინგტონისკენ იყო მიპყრობილი. მთავარი სატყუარა ტაისონი გახლდათ - ოდესღაც დიდი, მეტოქეთა დამთრგუნველი "რკინის მაიკი", რომელსაც ძველებურად აღარ უჭრის მუშტი, მაგრამ რინგზე იმიტომ გადის, რომ ბიუჯეტში გარღვევა აქვს. ბოლო დროს მისი მთავარი საზრუნავი გახლდათ არა ღირსება და ტიტულები, არამედ ფული, ბევრი ფული.

ირლანდიელთან ჩხუბზე ტაისონმა ხელშეკრულებას ხელი მოაწერა 11 აპრილს, ანუ გუშინდელ ორთაბრძოლამდე ორი თვით ადრე. აპრილშივე ამერიკის აღმოსავლეთ სანაპიროზე ორთაბრძოლათა ლიცენზიაც მიიღო, სადაც დაახლოებით ათი წელიწადია არ უჭხუბია.

11 აპრილს დათქმულმა დღემ მსოფლიოში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ერთნი ტაისონის დაბრუნებას მიესალმნენ, მეორენი კი მაიკის მორიგ გაბითურებას წინასწარმეტყველებდნენ და, შესაბამისად, განზრახვაზე ხელის აღებისკენ მოუწოდებდნენ, რადგან დენი უილიამისისგან მეოთხე რაუნდში გამოწერილმა ნოკაუტმა (2004 წლის 30 ივლისი), ფაქტობრივად, მაშინვე დაასამარა მაიკი, მაგრამ აკი ვთქვით, ბიუჯეტში გარღვევა აქვსო.

უილიამსთან მარცხის შემდეგ ტაისონის სახელი არავის გახსენებია. ერთადერთი, თუ სადმე გაიჟღერებდა მსოფლიოს ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონის სახელი, ეს სკანდალური ისტორიები გახლდათ.

...კევინ მაკბრაიდთან შერკინებამდე საათით ადრე მაიკ ტაისონი გასახდელში მუჰამედ ალიმ მოინახულა, რომელიც ვაშინგტონში იმისთვის ჩასულიყო, რომ თავისი ქალიშვილის ლეილა ალის მორიგი ორთაბრძოლისა და გამარჯვებისთვის ედევნებინა თვალი და თან "რკინის მაიკისთვისაც" ექომაგა. აქვე გეტყვით: მეორე საშუალო წონაში მოსაპარპაროზე ლეილა ალი კრივის მსოფლიო საბჭოს საჩემპიონო ქამრისთვის ერინ ტაფილს შეერკინა და სამ რაუნდში აშკარა უპირატესობით დაამარცხა.

...დიდი ალისგან დამოძღვრილი მაიკი ირლანდიელთან მოქმედებდა ნელა და არცთუ ხისტად. შესაბამისი ტაქტიკის გამო ირლანდიელი მისთვის სასურველ მანძილს ინარჩუნებდა, თუმცა, მაკბრაიდის ჩხუბის მანერას ნაკლებად ეთქმის ჩხუბი. ეს უფრო ჭიდაობას ჰგავდა. ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში ირლანდიელი ტაისონის კისერზე ჩამოკიდებას ცდილობდა, თითქოს მისი მოგუდვა სურსო. ამის გამო რეფერ ჯო კორტესისგან რამდენიმე შენიშვნაც მიიღო. ტაისონის უპირატესობა კი კორპუსზე მუშაობისას იგრძნობოდა. ზედა სართულზე იერიშებს სასურველი შედეგი არ მოჰქონდა. მართალია, რამდენჯერმე მაკბრაიდს ყბები შეუნჯღრია, მაგრამ უპირატესობამდე საქმე მაინც ვერ განავითარა.

მთლიანობაში საწყისი ოთხი რაუნდი ტაისონის თვალშისაცემი არა, მაგრამ მაინც გარკვეული უპირატესობით წარიმართა, მაგრამ მეხუთე რაუნდში აშკარად დაეტყო, რომ ძალა არ ჰყოფნიდა, რამაც მაკბრაიდს საშუალება მისცა, ხელთ ეგდო ინიციატივა.

მეექვსე რაუნდში მაიკმა თითქოს სული მოითქვა, მაგრამ მალე მეტოქის მარჯვენა ხელის დაჭერის მცდელობის გამო რეფერისგან გაფრთხილება მიიღო. მას შემდეგ კი, რაც მაკბრაიდს თავი დაარტყა და მარცხენა წარბი გაუხეთქა, კორტესმა ორი ქულა ჩამოაწერა. რაუნდის მიწურულს ხურდის დაბრუნება ირლანდიელმაც სცადა. მაკბრაიდის მუჯლუგუნმა ტაისონი წააქცია. იატაკზე ჩამომჯდარ და ბაგირებზე ზურგით მიყრდნობილ ტაისონს აშკარად უჭირდა წამოდგომა, ხოლო როდესაც წამოიმართა, რის ვაი-ვაგლახით მძიმედ გაეშურა საკუთარი კუთხისკენ...

მეექვსე რაუნდის შემდეგ მაიკმა მწვრთნელებს სთხოვა, ბრძოლა შეეწყვიტათ. სეკუნდანტებმა რეფერის "რკინის მაიკის" გადაწყვეტილება აუწყეს.

"მორჩა. დავასრულე. გული აღარ მიცემს, - მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე განაცხადა 38 წლის მაიკ ტაისონმა. - მეტი აღარ მინდა. საკუთარ თავს ველარ მოვატყუებ. აღარ ვაპირებ, სპორტი შევურაცხყო... ძალა აღარ შემწევს. ალბათ მეტს აღარ ვიბრძოლებ!"

ტაისონი, რომელსაც კისერზე მრავალმილიონიანი ვალები ადევს, მატჩამდე ამბობდა, მაკბრაიდთან წაგების შემთხვევაში კრივიდან წავალ, ხოლო გამარჯვების შემთხვევაში ბრძოლას გავაგრძელებო.

არადა, გუშინდლამდე "რკინის მაიკს" მართლაც დიდი გეგმები ჰქონდა, რომლის მიხედვითაც კევინ მაკბრაიდი უნდა დაემარცხებინა (რაშიც ეჭვიც არ ეპარებოდა) და შემდეგ ვიტალი კლიჩკოს, ჯონ რუისსა და კრის ბერდს უნდა შეხვედროდა! ყოველ შემთხვევაში, ამის დიდი იმედი ჰქონდა. მეტიც, აპრილში ისიც კი თქვა, 45 წლამდე ჩხუბს ვაპირებო!

თუ ტაისონის გადაწყვეტილება საბოლოოა და გუშინდელი ორთაბრძოლა მისთვის მართლაც ბოლო იყო, მაიკის საკრივო ნუსხა დღეისთვის ასე გამოიყურება: 50-0-6, აქედან 44 ნოკაუტით. ირლანდიელთან ჩხუბისთვის ტაისონმა ხუთი მილიონი დოლარი მიიღო, ხოლო მაკბრაიდმა სულ რაღაც 150 ათასი დოლარი.

"ის დიდი მებრძოლია, - პატივი მიაგო მაკბრაიდმა მეტოქეს. - ის, ალბათ, ყველა დროის უდიდესი მოკრივეა. მოგებას ირლანდიას ვუძღვნი".

მოკრივე, რომელიც მძიმეწონასანთა დივიზიონს აზანზარებდა, ატერორებდა და რომელიც 19 წლისა მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონად იწოდებოდა, ისტორიის საკუთრება გახდა. მაიკ ტაისონის კარიერა ვაშინგტონში გუშინ, გამთენიისას, ექვს რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით დასრულდა!

ფეხბურთი

სად მიდის ფიგუ?

ცოტა ხნის წინათ ვინმეს რომ ეთქვა, მადრიდის "რეალი" განაპირა ნახევარმცველ ლუიშ ფიგუზე უარს იტყვისო, არასერიოზულ განცხადებად მიიჩნევდნენ. თუმცა, პორტუგალიელმა გასული სეზონი არცთუ ისე დამაჯერებლად ჩაატარა და ამის შემდეგ სულ უფრო ხშირად ისმოდა ხმები გუნდიდან ფიგუს წასვლის შესახებ.

ბოლოს, მას შემდეგ, რაც მადრიდის "რეალს" ბრაზილიელი სპეციალისტი ვანდერლეი ლუშემბურგო ჩაუდგა სათავეში, ფიგუ სულ უფრო ხშირად სათადარიგოთა სკამზე რჩებოდა და ხანგამოშვებით შედიოდა შეცვლაზე. ამასთან, ფეხბურთელს გულშემატკივრები ხშირად აკრიტიკებდნენ არადამაჯერებელი თამაშის გამო. ამჟამად ფიგუს მომავალი, ცოტა არ იყოს, ბუნდოვანია. თვითონ ფეხბურთელი კი არ გამორიცხავს, რომ შეიძლება ინგლისში გააგრძელოს საფეხბურთო კარიერა.

- "მადრიდის "რეალში" თქვენი კარიერა დასასრულს მიუახლოვდა?

- ეს სეზონი შეიძლებოდა ბევრად უფრო კარგად წარმართულიყო. მე ხომ ბევრი მატჩი გამოვტოვე. განსაკუთრებით ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში. თუმცა, ვფიქრობ, მთელი სეზონი კარგად ჩავატარე და მუხლჩაუხრელად ვშრომობდი. ეს პირადად ჩემთვის უაღრესად მნიშვნელოვანია. ყველაზე უსიამოვნო ის იყო, როცა მწვრთნელმა "ბარსელონასთან" მატჩში სათადარიგოთა სკამზე დამტოვა. ძალიან გულგატეხილი ვიყავი. ვიღაც ფიქრობს, რომ განტევების ვაცად მაქციეს, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ.

- თქვენ გუნდში დარჩენა გსურთ?

- ჩემი კონტრაქტი მომავალ წელს იწურება. თუ კლუბში დავრჩები, მას მთელ ძალას მოვახმარ. მე, უბრალოდ, მინდორზე რეგულარულად გამოსვლა მსურს. ამიტომ გუნდის ხელმძღვანელობას ჩემი მომავლის შესახებ უნდა გავესაუბრო. უნდა ვიცოდე, რას ითხოვენ ჩემგან.

- არ გიფიქრიათ, რომ პრემიერლიგაში მოგესინჯათ ძალები?

- ყოველთვის ვამბობდი, რომ ერთხელაც ინგლისში ვითამაშებდი, რადგან ძალიან მინდოდა ნისლიან ალბიონზე თამაში. მას შემდეგ აზრი არ შემიცვლია. თუმცა, მე ოჯახი მყავს და ვიდრე საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებ, ჯერ კარგად უნდა დავფიქრდე. ბოლო წლებში პრემიერლიგის დონე ძალიან ამაღლდა. ინგლისში მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები იყრიან თავს. რა თქმა უნდა, პრემიერლიგა პრომერადივიზიონისგან ძალიან განსხვავდება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ინგლისურ სტილს შევეწყობი. მე "ლივერპულისა" და "მანჩესტერ იუნაიტედის" წარმომადგენლები დამიკავშირდნენ. ამ კლუბებში მოხვედრაზე ნებისმიერი ფეხბურთელი ოცნებობს და მე გამონაკლისი არ გახლავართ.

- რას იტყვით კრიშტიანუ რონალდუზე?

- ის პლანეტის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა. კრიშტიანუმ სადაც არ უნდა ითამაშოს, ყველა გუნდში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს. ის უაღრესად სწრაფია და შესანიშნავი დრიბლინგით გამოირჩევა. მცველებს მის წინააღმდეგ თამაში არ უყვართ. ვფიქრობ, მას შეუძლია იმ დონეს მიაღწიოს, რომელსაც მოისურვებს. მას საკუთარ თავს ან დევიდ ბექჰემს არ შევადარებ, მიუხედავად იმისა, რომ სამივე მარჯვენა ნახევარმცველი ვართ და სამივე 7-ნომრიანი მაისურით ვთამაშობდით. ჩვენ კიდევ ის გვაერთიანებს, რომ ფლანგიდან შეტევა გვიყვარს.

- რა როლს ასრულებს "რეალში" ბექჰემი?

- დევიდ ბექჰემი მოედნის ცენტრში და ნახევარდაცვის მარჯვენა ფრთაზეა კარგი. ამიტომ მიმაჩნია, რომ ჩვენ ერთად წარმატებით შეგვიძლია თამაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ლუშემბურგოს მოსვლის შემდეგ ეს არცთუ ისე ხშირად ხდება. თუმცა, გადაწყვეტილებას მწვრთნელი იღებს. ის კი ბექჰემს ამჯობინებს და ძირითად შემადგენლობაში მას ათამაშებს.

რაგბი

გამარჯვება!

საქართველო - ჩეხეთი 75:10

ირაკლი ბაზაური. ფოტო

"ბორჯღალოსნებმა" ანთიმოზ ივერიელის სახელობის თასს ერთა თასიც დაუმატეს.

საქართველოს ნაკრებმა ერთა თასი მოიგო. მეორედ თავისი არსებობის ისტორიაში. გუშინ "ბორჯღალოსნებმა" - 75:10 დაამარცხეს ჩეხეთის ნაკრები და, მართალია, რუმინეთთან და პორტუგალიასთან ერთად რვა ქულა მოაგროვეს, მაგრამ ბურთების უკეთესი სხვაობით პირველობა მოიპოვეს.

ბოლო ტურის წინ ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ ქართველ მორაგბეებს 61 ქულის სხვაობით გამარჯვება მართებდათ. რუმინეთმა უაღრესად დაძაბულ მატჩში დაამარცხეს პორტუგალია - 14:10 და ქულათა მარაგი საქართველოსთან შედარებით 61-მდე გაზარდეს.

"ბორჯღალოსნები" თავიდანვე სერიოზულად მოეკიდნენ საქმეს და პირველი ტაიმის შემდეგ 32 ქულის სხვაობით დაწინაურდნენ. მართალია, მეორე ნახევარში ჩეხებმა ლელო გაიტანეს, მაგრამ ქართველი მორაგბეები, გულშემატკივართა მხარდაჭერით გამხნევებულნი, არ მოდუნდნენ, შეტევაზე გადავიდნენ და სასურველ შედეგს მიაღწიეს. საქართველოს ნაკრებს ქუთაისის სტადიონზე მყოფმა ქვეყნის პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმაც მიულოცა გამარჯვება.

TV სპორტი

ორშაბათი. 13 ივნისი

НТВ+ФУТБОЛ

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:25 მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის. ბრაზილია - ნიგერია
14:10 მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის. კორეა - შვეიცარია
16:00 თავისუფალი დარტყმა
16:15 მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის. კოლუმბია - იტალია
18:00 მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის. სირია - კანადა
19:45 "საფეხბურთო კლუბი". რუსეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა
20:45 სახვალიო ტელეპროგრამა
20:50 ამხანაგური შეხვედრა. "ბარსელონა" - "იოკოჰამა მარინოსი" (იაპონია)
22:35 უკრაინის ჩემპიონატი. "დინამო" - "ზაკარპატიე"

НТВ+ПЛЮС

10:00, 15:40, 18:30 პრესცენტრი
10:20, 18:45 "ქრონიკა"
10:25, 14:00 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ამერიკული ფეხბურთი. ევროპული ლიგის ჩემპიონატი. World Bowl. "AMSTERDAM ADMIRALS" - "BERLIN THUNDER". შესვენებისას (13:00) - პრესცენტრი
14:15 ჩოგბურთი. ATP-ს ტურნირი გერმანიაში. ფინალი
16:00 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი "Montreux Volley Masters" შვეიცარიაში. ქალები. ფინალი
17:30 "რკინის ფაქტორი". "ვოევოდას რკინის ხელები"
18:00 "სარკის წინ"
18:50 სახვალიო ტელეპროგრამა
19:00 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. ."SAN ANTONIO SPURS" - "DETROIT PISTONS". მე-2 მატჩი
21:30 NBA-ს ფინალი. "ექო"
22:00 "ექო". საინფორმაციო ანალიტიკური არხი
23:30 "არტეფაკტი". ფიგურული სრიალი
00:15 ახალი ამბები
00:30 "რკინის ფაქტორი". "ვოევოდას რკინის ხელები"

EUROSPORT

10:30 მოტორბოლები. კატალონიის დიდი პრიზი. ესპანეთი
11:30 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი იტალიაში
12:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური იტალიაში
13:30 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საფრანგეთი - კუბა
15:00 მხატვრული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი რუსეთში
16:00 ჩოგბურთი. ATP ტურნირი ლონდონის სამეფო კლუბში. ფინალი
17:00 ჩოგბურთი. ATP ტურნირი ჰოლანდიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
20:00 ფეხბურთი. ევროპის ქალთა ჩემპიონატი ინგლისში. ქალები. გერმანია - საფრანგეთი
21:30 მულტისპორტი - აი, მესმის!
22:00 მულტისპორტი. VIP - საშვი
22:15 სუმო. ჰარუ ბაშო
23:15 მებრძოლთა კლუბი
01:15 პოკერი. ევროპული ტურნირი მონაკოში. ფინალი
02:15 ახალი ამბები
02:30 მულტისპორტი. VIP - საშვი
02:45 მოტოსპორტი გამოსასვლელ დღეებში
03:15 ახალი ამბები

სახელი _____ მისამართი

გვარი _____

ასაკი _____ საკონტაქტო ტელეფონის ნომრები _____

სიმაღლე _____

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიილება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჭანსალი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა_____ თარიღი_____

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !

გადაცემა
სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, გონებამახვილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გჭონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

გთხოვთ შეავსოთ გარკვევით ბლანკი უფასოა

სატელევიზიო კომპანია "რუსთავი 2" არ აგებს პასუხისმგებლობას, გამოქვეყნდეს თუ არა მონაწილეობაზე, ინფორმაციაში გამოყენებული "სუსტი რგოლი". თქვენი შეხედულებისამებრ, შეიძლებოდეთ გამოქვეყნდეს კონკურსში. ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით ინფორმაციის გამოყენებას "სუსტი რგოლის" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სატელევიზიო კომპანია "რუსთავი 2" / ინფორმაციული გამოცემა "სუსტი რგოლი" / ვაჟა-ფშაველას ალ. 8/177 მისართი

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დაამაგრეთ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გამოსახული, მასზე სხვა გარემოების უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გამოგეგზავნებათ უნდა იყოს გორის ორი წლის განმავლობაში.

ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ცენტრალური აპარატი (ქ. თბილისი ჭანტურიას ქ N 12)

აცხადებს ღია ტენდერს სამინისტროს კუთვნილი ავტომანქანების სერვისული მომსახურების შესყიდვაზე და გიწვევთ დახურულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად

ტენდერის დროს გამოვლენილი იქნება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2006 წლის 1 იანვრამდე..

ტექნიკური პირობები და სხვა დეტალური ინფორმაცია მოყვანილია სატენდერო დოკუმენტაციაში.

იურიდიულ პირთა:

- მსურველი იურიდიული პირის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ უნდა ხორციელდებოდეს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);

- მსურველის იურიდიული პირის ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდადებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროდან);

- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

ფიზიკურ პირთა:

- უნდა იყოს ქმედუნარიანი (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან);

- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);

- უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროდან);

- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს.

საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი იურიდიული და/ან ფიზიკური პირის მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

თუ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი სატენდერო აპარატში ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ 2005 წლის **28 ივნისიდან** 2005 წლის **4 ივლისის 18 საათამდე** შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ N 12 საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ცენტრალურ აპარატს.

დაგვიანებით შემოსულ განაცხადებს და საკვალიფიკაციო მონაცემებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

საკვალიფიკაციო შერჩევა შედგება 2005 წლის 7 **ივლისს** წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთაღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე.

საკვალიფიკაციო პროცედურის დასრულების შედეგად შერჩეულმა პრეტენდენტმა სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი **500** ლარის ოდენობით მის სახელზე გაგზავნილ შეტყობინებაში მითითებულ ანგარიშზე. სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გადაეცემა პრეტენდენტს **2005 წლის 11 ივლისს 18 საათამდე** მოსაკრებლის გადახდის შემდეგ.

სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი ჭანტურიას ქ. N 12 საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, I სართული.

ტენდერი ტარდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველს შეუძლია მიიღოს დამატებითი ინფორმაცია შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი ჭანტურიას ქ. N 12, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, ტელეფონი: 999744, 936405 (ელისო ტყეშელაშვილი, მზია კალანდაძე).

სატენდერო კომისიას

ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ცენტრალური აპარატი (ქ. თბილისი ჭანტურიას ქ N 12)

აცხადებს ღია ტენდერს ავტომანქანების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

დასახელება:	განზომილება	რაოდენობა
მსუბუქი ავტომანქანა შემდეგი ტექნიკური მახასიათებლებით: წარმომადგენლობითი კლასის, გამოშვების წელი არანაკლებ 2004 წელი, საგარანტიო პერიოდი არანაკლებ 2 წელი, ძარა-სედანი, სრული ელექტრო-პაკეტი, საკეტი ელექტრონული დისტანციური პულტით, მოცურების სანინააღმდეგო ელექტრონული სისტემა, მუხრუჭების ბლოკირების სისტემა ABS, სიგნალიზაცია, გატაცების სანინააღმდეგო კოდირებული სისტემა იმობილაიზერი და საჭის ბლოკირება, უსაფრთხოების ბალიშები არანაკლებ 2 ცალი, კონდიციონერი, ბენზინის ძრავა არანაკლებ 4 ცილინდრი, მოცულობა არანაკლებ 2000 სმ³, გაძლიერებული დაკიდება, საჭის ჰიდროგამაძლიერებელი. სხვა დეტალური ინფორმაცია მოყვანილია სატენდერო დოკუმენტაციაში.	ცალი	1
მსუბუქი ავტომანქანა შემდეგი ტექნიკური მახასიათებლებით: ბიზნეს კლასის, გამოშვების წელი არანაკლებ 2004 წელი, საგარანტიო პერიოდი არანაკლებ 2 წელი, ძარა-სედანი, სრული ელექტრო-პაკეტი, საკეტი ელექტრონული დისტანციური პულტით, მოცურების სანინააღმდეგო ელექტრონული სისტემა, მუხრუჭების ბლოკირების სისტემა ABS, სიგნალიზაცია, გატაცების სანინააღმდეგო კოდირებული სისტემა იმობილაიზერი და საჭის ბლოკირება, უსაფრთხოების ბალიშები არანაკლებ 2 ცალი, კონდიციონერი, ბენზინის ძრავა არანაკლებ 4 ცილინდრი, მოცულობა არანაკლებ 2000 სმ³, გაძლიერებული დაკიდება, საჭის ჰიდროგამაძლიერებელი. სხვა დეტალური ინფორმაცია მოყვანილია სატენდერო დოკუმენტაციაში.	ცალი	3
მიკროავტობუსი (მინივენი) შემდეგი ტექნიკური მახასიათებლებით: გათვალისწინებული 9 ადგილზე, გამოშვების წელი არანაკლებ 2004 წელი, საგარანტიო პერიოდი არანაკლებ 2 წელი, მუხრუჭების ბლოკირების სისტემა ABS, საჭე ჰიდროგამაძლიერებლით, გატაცების სანინააღმდეგო კოდირებული სისტემა იმობილაიზერი და საჭის ბლოკირება, გათბობისა და ჰაერის ვენტილაციის სისტემა, სხვა დეტალური ინფორმაცია მოყვანილია სატენდერო დოკუმენტაციაში.	ცალი	1

დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს.

იურიდიულ პირთა:

მსურველი იურიდიული პირის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ უნდა ხორციელდებოდეს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);

მსურველის იურიდიული პირის ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდადებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროდან);

- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

ფიზიკურ პირთა:

უნდა იყოს ქმედუნარიანი (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან);

- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);

უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროდან);

- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს;

.

დამატებითი მოთხოვნები ტენდერში მონაწილეობის მსურველთა მიმართ:

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან მწარმოებლის ოფიციალური დისტრიბუტორები, რაზედაც უნდა იყოს წარმოდგენილი შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია - ხელშეკრულება, სერტიფიკატი ან სხვა.

არ უნდა გააჩნდეს დავალიანება ბიუჯეტის წინაშე (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან).NN

საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი იურიდიული და/ან ფიზიკური პირის მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

თუ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი სატენდერო აპარატში ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ 2005 წლის 28 **ივნისიდან** 2005 წლის **4 ივლისის 18 საათამდე** შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ცენტრალურ აპარატს, ქ. თბილისი ჭანტურიას ქ. N 12.

დაგვიანებით შემოსულ განაცხადს და საკვალიფიკაციო მონაცემებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირს.

საკვალიფიკაციო შერჩევა შედგება 2005 წლის 7 **ივლისს** წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთაღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე.

საკვალიფიკაციო პროცედურის დასრულების შედეგად შერჩეულმა პრეტენდენტებმა სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი **500** ლარის ოდენობით მათ სახელზე გაგზავნილ შეტყობინებაში მითითებულ ანგარიშზე. სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გადაეცემა პრეტენდენტებს **2005 წლის 11 ივლისს 18 საათამდე** მოსაკრებლის გადახდის შემდეგ.

სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი ჭანტურიას ქ. N 12 საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

ტენდერის დროს გამოვლენილი იქნება ერთი გამარჯვებული, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ერთი მწარმოებლის (მარკის) ავტომანქანების მიწოდება ქ. თბილისში ხელშეკრულების გაფორმების დღიდან ერთი თვის ვადაში.N

ტენდერი ტარდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. N 12, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ტელეფონი: 999744, 936405 (ელისო ტყეშელაშვილი, მზია კალანდაძე.)

სატენდერო კომისია

თებერვლიდან "24 საათი" ინგლისურად.
English newspaper 24 Hours, coming out from February
გამოწერით.
on subscription basis
e-mail: public@24hours.ge
Tel: 20 24 24 Fax:20 24 25



განცხადება

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს ავტოსატრანსპორტო საშუალებების განვადებით შესყიდვაზე

თბილისი, შიო ჩიტაძის ქუჩა N4

შესყიდვის ობიექტია:

ლოტ	საჭიროების დასახელება	საჭიროების ძირითადი (საბაზისო) კომპლექტაცია	რაოდენობა
1	წარმომადგენლობითი E კლასი, (4,6X1,7) ტიპიური წარმომადგენლები: **BMW-5, Audi A6, Mercedes Benz E, Opel Omega, Nissan Maxima.**	კლიმატ-კონტროლი; წინა და უკანა უსაფრთხოების ბალიშები; სამუხრუჭე სისტემა (აბს); სრული ელექტრო პაკეტი (შუშები და ამწეები); საჭის გამაძლიერებელი; ავტომატური გადაცემათა კოლოფი; ადაპტირებული სავალი ნაწილი	1
2	სედანის ტიპის ავტომანქანა D კლასი, (4,4÷4,7X1,7-1,8) ტიპიური წარმომადგენლები: **BMW-3, Audi A4, VW Passat, Opel Vectra, Mercedes Benz C**	კონდიციონერი; უსაფრთხოების ბალიშები; სამუხრუჭე სისტემა (აბს); საჭის გამაძლიერებელი.	7
3	ყველგანმავალი (ჯიპი, მსხვილი ჩარჩოთი)	მაღალი გამავლობის; დიზელის ძრავა; 5 კარიანი; კლიმატ-კონტროლი; უსაფრთხოების ბალიშები; სამუხრუჭე სისტემა (აბს); სრული ელექტრო პაკეტი (შუშები და ამწეები); საჭის გამაძლიერებელი; ავტომატური გადაცემათა კოლოფი	1
4	ასუბუქი ავტომობილი C კლასი, (4,2X1,68-1,64) ტიპიური წარმომადგენლები: **LADA, Skoda-Felicia, VW Golf**	4 ადგილიანი ძრავა 1400-1600სმ3 გადაცემათა კოლოფი: ხუთ სიჩქარიანი, მექანიკური	7
5	მაღალი გამავლობის ავტომანქანა (3.7X1.6X2.2) ტიპიური წარმომადგენლები: **Suzuki-Vitara, Niva**	კარების რაოდენობა - 3 4 ადგილიანი ძრავა - 1600-1800სმ3 გადაცემათა კოლოფი: ხუთ სიჩქარიანი, მექანიკური წამყვანი თვლები - 4;	2

ავტომანქანების შესყიდვა განხორციელდება განვადებით. განვადების სასურველი ვადაა 2-6 წელი.

ავტომანქანების შემსყიდველისათვის მიწოდების სასურველი ვადაა - 2 თვე ხელშეკრულების დადებიდან.

დაინტერესებულმა პირებმა, საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის რეზიდენტებს შეუძლიათ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოადგინონ უცხო ენაზეც, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ქართულ ენაზე ნოტარიალურად დამოწმებული თარგმანი) 2005 წლის 29 ივნისის 10 საათიდან 30 ივნისის 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: თბილისი 0118, შ. ჩიტაძის 4, ოთახი 227, ტელ/ფაქსი: 28 46 27

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიულ პირთათვის:

- ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

- ცნობას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელ(ებ)ი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით.

ცნობას იურიდიული პირის ხელმძღვანელი ხელმძღვანელის იდენტიფიკაციის შესახებ (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან რეგისტრაციის შესახებ).

- ინფორმაციას იურიდიული პირის სტატუსის შესახებ. რომელიც უნდა მოიცავდეს: ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტიურ ადგილს.

ფიზიკური პირებისათვის;

- ცნობას ქმედითუნარიანობის შესახებ;

ცნობას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით.

- ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და დასახელებულ იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე და პრეტენდენტებს გადაეცემათ 2005 წლის 6 ივლისიდან 7 ივლისის 18 საათამდე, 500 ლარის ოდენობით სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდგომ, მისამართზე: თბილისი, შ. ჩიტაძის 4, ოთახი 227.

ალტერნატიული წანიდადებების წარმოდგენა დასაშვებია. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლენილ იქნეს რამდენიმე გამარჯვებული ცალკეულ ლოტებზე.

სატენდერო წინადადების შეფასებას სატენდერო კომისია განახორციელებს შემდეგი კრიტერიუმებისა და პრიორიტეტულობის კოეფიციენტების საშუალებით:

N	შეფასების კრიტერიუმები	პრიორიტეტულობის კოეფიციენტი
1.	წინადადების საერთო ფასი	0.25
2.	ყოველთვიური გადასახადის ოდენობა განვადების პირობებიდან გამომდინარე	0.25
3.	საქონლის ტექნიკური მახასიათებლები (საბაზისო კომპლექტაციის სისრულე)	0.20
4.	სერვისული ცენტრის ტექნიკური ბაზა	0.15
5.	უფასო საგარანტიო მომსახურების პირობები და ხანგძლივობა (თანმდევი მომსახურება)	0.05
6.	საქონლის მიწოდების ვადები და პირობები	0.05
7.	ავტომანქანების ზუთწლიანი საიმედოობის რეიტინგი (გერმანული TÜV-ის მიხედვით)	0.05
		სულ: 1.00

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, შემდეგ მისამართზე: თბილისი. შიო ჩიტაძის ქ. N 4, ტელ/ფაქსი: 28-46-27.

საქართველოს საგრეო საქმეთა სამინისტროს
სატენდერო კომისია
13 ივნისი 2005

TV პროგრამა, 13 ივნისი

რუსთავი - 2

07.30 დილა **08.00** ლუი **10.00** სერიალი "ოცნების კოშკები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.50** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** მხ. ფილმი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" (გ) **15.25** სერიალი "ენტერპრაიზი" **16.30** სერიალი "ოცნების კოშკები" **17.25** ლუი **18.30** პატრული **19.00** ყველაზე ჭკვიანი **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** სუსტი რგოლი **23.00** სერიალი "უცნობი" **00.00** მხ. ფილმი "სიყვარული და ტყვიები" (18) (ჩარლზ ბრონსონი) **02.10** პატრული

08.00 დოკ. ფილმები **10.00** სერიალი "დანაშაული" **11.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "ტენტენის თავგადასავალი" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერ. "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" აფხაზურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** ბიოგრაფიული პორტრეტები -როდ სტიუარტი **16.00** დოკ. ფილმი "ექსცენტრიკოსები" **16.30** დოკ. ფილმი "ჟერარ ფილიპი" **17.30** "ვაკანსია" **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** სერიალი "ჩოგბურთის აკადემია" **19.00** დოკ. ფილმი "სიჩქარე" **19.30** გზაჯვარედინი **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილონა" **21.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "დღეები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა" **23.00** მრწამსი - სამონასტრო ცხოვრება **23.30** მხ. ფილმი "ჩემი დიდი ბერძნული ქორწილი" (12) **01.45** საინფ. გამოშვება

მზე

08.30 მუსიკა მზეზე **09.00** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **09.30** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **10.30** მხ. ფილმი "სანანულის დღე" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **12.30** ტელეჟურნალი "ჰოლივუდი დღეს" **13.05** სერიალი "დიეი და პასკო" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნ. პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ტაქსის მძღოლი" **18.20** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **19.05** სერ. "ჩენტო ვეტრინე" **21.00** სერიალი "კარაბინერები" **21.45** არჩევანის ზღვარზე **22.45** საფუსტივალო ჩვენება: "თეთრი ბალეტი" **23.20** მხ. ფილმი "თავზეხელაღებული" (გ) (ტრიტ უილიამსი)

მეორე არხი

19.00 სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.50** "ბაბილონა" **20.05** მულტსერიალი "მარსუპილამი" **20.30** დოკ. სერიალი "ცეკვის ენა" **20.55** დოკ. ფილმი "მარკო ცხენის სამეფო" **21.45** კონცერტი **22.35** კინოსეანსი "ბუქსირი"

იმედი

07.45 იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.15** "ნუცას სკოლა" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** დროება **12.30, 03.05** იმედის მელოდიები **12.40, 16.40, 01.50** ტელემარკეტი **13.15** "ნბა". ფინალური სერიის მატჩი. **14.40** "ერთხელ ჰოლივუდში" **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.40** ქრონიკა **15.20** "არ იდარდო" **17.10** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.25** ვაკაჭი-ნიუსი **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "დრონგო" მე-5 ს. **22.55** "ნიკა ქავთარაძის შოუ" **23.55** სპ. პროგრამა "გოლი" **00.25** ნადიმი ჯ. კაბაისთან ერთად **02.25** ნუცას სკოლა (გამ.)

აჭარა

08.00 მუსიკა **08.30** საინფ. დაიჯესტი **09.00, 19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **10.00** "პროექტი მომავალი" **10.45** კომედია "იანკების თავგადასავალი აფრიკაში" **12.15** მხ. ფილმი ცივისსხლიანი ლიუკი" **14.30, 17.30, 20.30** ახალი ამბები **14.50** მხ. ფილმი "ცივი წყარო" **17.55** მულტფილმი **18.30** "ნოვოსტი" **21.05** მხ. ფილმი "საპაერო დარტყმა" **22.40** "პროექცია" **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.25** მხ. ფილმი "დაბრუნება" **02.00** გერმანული ტალღის ახალი ამბები

202

11.00 დებატები (განმ.) **12.00** სახალხო არჩევნები **13.00** მუსიკალურ-გასართობი გადაცემა "პროპაგანდა" **22.00** დღის თემა **23.00** დებატები 202-ზე **00.15** სახალხო არჩევნები

1 ОРТ

06.00, 10.00, 12.00,18.00 Новости. **06.10** Сериал **"МАКСИМАЛЬНОЕ ВЛИЯНИЕ". 06.30** Джина Роулэндс в комедии **"СВОБОДУ ПОПУГАЮ!". 08.10** Служу Отчизне! **08.40** Дисней-клуб: "С добрым утром, Микки!". **09.10** "В мире животных". **10.10** "Непутевые заметки". **10.30** Пока все дома. **11.10** Дог-шоу. **12.10** Живой мир. "Нил". **2**-я серия. **13.10** Дисней-клуб: "Микки Маус и его друзья". **13.40** Умницы и умники. **14.20** "Слабое звено". **15.10** Звезды политики и звезды эстрады в футбольном матче **"Росич" - "Старко". 16.00** Александр Семчев в комедии **"ИСТОРИЯ ВЕСЕННЕГО ПРИЗЫВА" 18.10** Праздничный "Ералаш". **18.40** Лариса Долина в концертной программе "Аль Бано и звезды российской эстрады". **21.00** Время. **21.45** Худ. фильм **"ХРОНИКИ РИДДИКА". 23.50** Суперчеловек. "Шестое чувство". **00.50** Сериал **"СЕКРЕТНЫЕ МАТЕРИАЛЫ". 01.40** Ким Дилэйни в боевике **"ТЕМНЫЕ ЦЕЛИ".** Три года назад Илай Диксон, муж лейтенанта военно-морских сил Кэйт Тиммонз, угодил за решетку по обвинению в продаже секретных военных технологий. На карьере самой Кэйт был поставлен крест, к тому же она была вынужденаоказать содействие в аресте мужа. А теперь она с ужасом узнает из телевизионных новостей, что ее благоверный совершил побег из тюрьмы строго режима. Но она не знает, что он разработал коварный план мести жене**. 03.20** Макс Бизли в комедии **"МАТЧ". 05.00** Док. фильм "Девушка из страны глухих".

НТВ

05.55 Мультфильм "Трое из Простоквашино". **06.15** Питер Гэллахер в драме **"ТИТАНИК". 1**-я серия**. 08.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** "Сегодня" **08.15** Худ. фильм **"ТИТАНИК". 2**-я серия**. 10.20** Профессия - репортер**. 10.50** Джадж Райхолд в комедии **"БЕТХОВЕН-3". 13.25** "Особо опасен!". **13.55, 16.20** Худ. фильм **"УНЕСЕННЫЕ ВЕТРОМ". 19.35** Боевик **"ТРИО". 21.50** Людмила Гурченко в трагикомедии **"СТАРЫЕ КЛЯЧИ". 00.40** Лоррейн Гэри в фильме ужасов **"ЧЕЛЮСТИ: МЕСТЬ".** Белая гигантская акула объявляется в несвойственных ей теплых водах. Для начала, она пожирает юного помощника шерифа приморского городишки - Шона. Его семья в ужасе. Мать утверждает, что морское чудовище прибыло в эти воды, чтобы забрать души членовименно ее семьи. А потому, на семейном совете принимается решение отправиться на Багамы, где работает старший брат Шона - Майкл, океанограф по профессии. Пока мать подлечивает нервы, Майкл переживает встречу с "челюстями" чудовища, но чудом остаетсяжив. Вместе с напарником Джейком, он решает мстить акуле... **02.25** Наташа Ренье в триллере **"КРИМИНАЛЬНЫЕ ЛЮБОВНИКИ". 04.15** Сериал **"ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА-4". 05.10** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ-2".**

სკანვორდი

ლონდონში გაიხსნა წმინდა პავლეს განახლებული ტაძარი

ოთხი წელიწადი და 10,8 მილიონი ფუნტი სტერლინგი (დაახლოებით 20 მილიონი დოლარი) დაიხარჯა ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი შენობის, წმინდა პავლეს ტაძრის ინტერიერის რესტავრაციაზე. აღდგენისთვის საჭირო თანხა მთლიანად შოტლანდიელი ბანკირის რობინ ფლემინგის ოჯახმა გამოყო.

სამუშაოები 2001 წლის მაისში დაიწყო. მას შემდეგ შენობიდან 28 კუბ.მეტრი მტვერი გაიტანეს. ეს მთლიანი პროექტის მეოთხედი ფაზაა. მთლიანად რესტავრირება 40 მილიონი ფუნტი დაჯდება და მისი დამთავრება 2008 წლისთვის, შენობის სამსაუკუნოვანი იუბილესთვის იგეგმება.

1668 წელს, ლონდონის ხანძრიდან ორი წლის შემდეგ, არქიტექტორ სერ კრისტოფერ რენს წმინდა პავლეს განადგურებული შენობის აღდგენა დაუკვეთეს. მშენებლობა 40 წელიწადზე მეტხანს გაგრძელდა. არქიტექტორის ჩანაფიქრის მიხედვით მნახველს ისეთი შთაბეჭდილება უნდა შექმნოდა, რომ შენობა მიწაზე კი არ დგას, არამედ ჰაერში ლივლივებს. თუმცა, სამი საუკუნის განმავლობაში მისი შეფერილობა ჭუჭყიან ნაცრისფრად გადაიქცა. XIX საუკუნის ბოლოს შენობის გაწმენდა სცადეს, თუმცა, ეს ინიციატივა კრახით დასრულდა. შარშან, დეკემბერში, ტაძრის დასავლეთის ფასადი, მთავარი შესასვლელი კვლავ გაიხსნა, რომელმაც მანამდე ხუთმილიონიანი "პლასტიკური ოპერაცია" გადაიტანა. ამჯერად გუმბათისა და შენობის აღმოსავლეთ ფრთის აღდგენითი სამუშაოები დასრულდა.

აღდგენითი სამუშაოები თანამედროვე ტექნოლოგიების დახმარებით მიმდინარეობდა. კედლების გასაწმენდად სპეციალური ქიმიური ხსნარი გამოიყენეს, რომელიც ქვაზე დიდხანს რჩება და მის გრძელვადიან დაცვასაც უზრუნველყოფს. XIX საუკუნეში შესრულებული მოზაიკა ხელით, სააბაზანო ღრუბლების დახმარებით, შენობის შიგნით მდგარი 40 სკულპტურაზე მეტი კი საგანგებო ორთქლის მოწყობილობებით გაწმინდეს.

"როცა ამ სამუშაოს ვიწყებდით, ბევრი მეუბნებოდა: რისი მიღწევა გსურთ? მარტო შენობის გასუფთავებაზე ფიქრობთ? - ამბობს ტაძრის წინამძღვარი ჯონ მოზესი. მე ვპასუხობდი: დიახ, ესეც მსურს. მაგრამ ყველაზე მეტად ის მინდა, რომ ყოველ ადამიანს, ვინც ტაძარში შევა, სუნთქვა შეეკრას".

სწავლა ლონდონში
ხელმისაწვდომ ფასად
London School ot Commerce (LSC) დიპლომი ტექნოლოგიის და მენეჯმენტის სკოლა STM (ლონდონი) გთავაზობთ მოსამზადებელ პროგრამებს ბიზნესის ან ბიზნეს ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამებში ბაკალავრის ხარისხის მისაღებად 2-წლიანი დაჩქარებული კურსის - BA (Hons) მთლიანი ღირებულება £ 5950
ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა ხდება ეტაპობრივად
University of sunderland (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად, ხოლო პროგრამები მაგისტრის ხარისხის მისაღებად ხორციელდება ისევ ლონდონი UEL (გაერთიანებული სამეფო) და iniversity of Wales Newport (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტებთან ერთად.
პროგრამები ცხადდება წელიწადში სამჯერ იანვარი/აგვისტო/ოქტომბერი, მორიგი კურსის დაწყების თარიღი 2005 წლის 3 აგვისტო.
MBA
MSc
£3950
ბიზნესის ან ბიზნეს ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამების ფარგლებში ბაკალავრის ხარისხის მისაღებად 2-წლიანი დაჩქარებული კურსის - BA (Hons) მთლიანი ღირებულება £ 5950
ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა ხდება ეტაპობრივად
იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ზემოაღნიშნულ პროგრამებით სწავლობენ, ერთწლიანი ინტენსიური ინგლისური ენის კურსის გავლა შესაძლებელია დამატებით £ 1000 გადახდის შემდეგ.
იმ სტუდენტებისთვისაც, რომლებიც მაღალი აკადემიური მოსწრება არა აქვთ, ხელმისაწვდომია მოსამზადებელი პროგრამები.
დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:
ნონა მესხიშვილი / ტექნოლოგიის და მენეჯმენტის მიმღები განყოფილება
მის: თბილისი, მესხიის 2, სადარბაზო 1, ოფისი 1
ტელ: 253 045, 230 284 მობ. 877 42 35 69
E-mail: LSCgeorgia@hotmail.com
www.LSCLondon.co.uk

უცნობი ბახი იპოვეს



2004 წლის სექტემბერში, ვაიმარში, ჰერცოგინია ანა ამალიას ბიბლიოთეკაში ხანძარი გაჩნდა და უნიკალური წიგნების დიდი ნაწილი განადგურდა; ნაწილი კი იმ მკითხველებმა გადაარჩინეს, რომლებიც ხანძრის გაჩენის დროს ბიბლიოთეკაში იმყოფებოდნენ. მათ ცოცხალი "ჯაჭვი" გააკეთეს და ხელიდან-ხელში გადაცემით უამრავი წიგნი იხსნეს. ერთ-ერთ გადარჩენილ წიგნთაგანია იოჰან სებასტიან ბახის უცნობი ნაწარმოების პარტიტურაც.

ბახის ფონდის თავმჯდომარის, კრისტოფ ვოლფის განცხადებით ეს არ არის დიდი ზომის ნაწარმოები, ნამდვილი შედევრი. გამოქვეყნდა ექსპერტ-გრაფოლოგების ექსპერტიზის დასკვანა, რომ ეს ნაწარმოები ნამდვილად ბახს ეკუთვნის. უახლოეს მომავალში საზოგადოება ახალ ნაწარმოებს ინგლისელი დირიჟორის ჯონ ელიოტ გარდინერის ხელმძღვანელობით მოისმენს. ***"ჯი-ეიჩ-ენი"***

კომპიუტერული ვირუსი დამაინტრიგებელი წერილის სახით

ჰაკერები ახალ კომპიუტერულ ვირუსს იმ წერილის საშუალებით ავრცელებენ, რომელშიც მაიკლ ჯექსონის თვითმკვლელობის მცდელობის შესახებ ყვებიან. ამის შესახებ პარასკევს კომპიუტერული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ბრიტანულმა კომპანიამ Sophos-მა განაცხადა.

ჰაკერები ელექტრონულ ფოსტას გზავნიან სახელით: "თვითმკვლელობის მცდელობა" ("Re: Suicidal attempt"). ტექსტი გვიყვება: "გუშინ ღამით მაიკლ ჯექსონმა საკუთარ რანჩო Neverland-ზე თავის მოკვლა სცადა".

როგორც ცნობილია, ჯექსონი ვერდიქტის გამოტანას ელოდება. წერილში ჰაკერები ადრესატს სთხოვენ, დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად გახსნას წერილის ბოლოს განთავსებული როიტერსის გზავნილი. საიტის გახსნისას კომპიუტერში მავნე პროგრამა იტვირთება. ამ დროს კი საიტი გვამცნობს, რომ იმ უკვე გადატვირთულია.



სამეფო უბნის თეატრი ისვენებს

12 ივნისს "სამეფო უბნის თეატრში" სეზონი დაიხურა. თუმცა, მუშაობა ახალ სპექტაკლებზე გრძელდება.

თეატრში რეჟისორი თემურ ჩხეიძე აფხაზეთის თემაზე სპექტაკლს დგამს. წარმოდგენას, რომლის სახელწოდებაც ჯერჯერობით არ ხმაურდება, მაყურებელი სექტემბერში იხილავს. პიესის ავტორია დრამატურგი გურამ ოდიშარია. სპექტაკლში ადგილობრივთან ერთად სოხუმის თეატრის მსახიობებიც მონაწილეობენ.

ამავე თეატრში არსებული რეჟისორ თემურ ჩხეიძის შემოქმედებითი სახელოსნო წლის ბოლომდე ოთხ პიესას (რომელზეც ოთხი ასპირანტი მუშაობს) წარადგენს. რეჟისორი გიორგი თავაძე გოლდონის "ორი ბატონის მსახური" დგამს. მთავარ როლებში ნიკა თავაძე და ნატო მურვანიძე. ***"ჯი-ეიჩ-ენი"***

უნგრულ ჰროვინციაში ლას ვეგასს ააშენებენ

ავსტრიელი მაგნატის ჰანს ასამერის ინიციატივით ამერიკულ-ავსტრიულ კონსორციუმს ლას ვეგასის მსგავსი კომპლექსის აშენება გადაუწყვეტია. სათამაშო კომპლექსი, სავარაუდოდ, ბუდაპეშტიდან 180 კილომეტრის დაშორებით, უნგრეთის ქალაქ ბეზენიეში გაშენდება. ის ევროპაში ყველაზე დიდი კომპლექსი იქნება და, შესაძლოა, მონტე კარლოსაც კი გაუწიოს კონკურენცია.

კაზინოს მშენებლობისთვის ასამერმა ბეზენიეს რაიონსა და ავსტრიის საზღვარზე 330 ჰექტარი მიწა შეისყიდა. თუმცა, შემდგომში ფართის ნახევარი ავსტრიულ კომპანია Lukale Investment and Development-ეს გადაულოცა, რომელმაც კაზინოს ახლომახლო მაღაზიებისა და სასტუმროების აშენება გადაწყვიტა.

ქალაქის მერის განცხადებით, პროექტის ღირებულება ერთ მილიარდ დოლარს აღემატება. მშენებლობა სექტემბრიდან დაიწყება, კომპლექსი კი ერთი წლის შემდეგ ამუშავდება. აქ 7 ათასამდე ადამიანი დასაქმდება.

მშენებლობის ინიციატორები უნგრეთის ფინანსთა სამინისტროს კანონმდებლობაში შესწორების შეტანას მოითხოვენ, რომლის მიხედვით კაზინოს ორ კატეგორიად დაყოფის შემდეგ ორი სახელმწიფო გადასახადს სხვადასხვაგვარად გადაიხდის. მოქმედი კანონმდებლობით, უნგრული კაზინოები სათამაშო ბიზნესიდან შემოსული თანხის 30 პროცენტს სახელმწიფოს უხდიან. ახალი კომპლექსის მესვეურთ გადასახადის შემცირება სურთ.

კომპლექსი საკმაოდ მომგებიან ტერიტორიაზე - ვენისა და ბრატისლავის გზაზე გაშენდება. ინვესტორები იმედოვნებენ, რომ ყოველწლიურად რვა მილიონზე მეტი მომხმარებელი ეყოლებათ. თუმცა, სკეპტიკოსები მიიჩნევენ, რომ ამ რაიონში ისედაც ბევრი სათამაშო სახლია და ახალი კომპლექსის აშენებას აზრი არა აქვს.

სწავლა დიდ ბრიტანეთში

ბრიტანეთის საბჭოს მიერ სერთიფიცირებული საგანმანათლებლო სააგენტო შპს **"ი ელ ელ"**-ი (**ELL. Ltd**) გთავაზობთ სწავლას დიდ ბრიტანეთში (ლონდონი, ოქსფორდი, კემბრიჯი, ბრაიტონი).

ენის სასწავლო პროგრამები:
- ინგლისური ენა - ზოგადი, ინტენსიური და საგამოცდო, 2 - 48 კვირა.
- ინგლისური ენა და დასვენება -საზაფხულო სკოლებში, 2 - 10 კვირა.
- ინგლისური ენის მასწავლებელთა სტაჟირება 2 - 4 კვირა.

საუნივერსიტეტო მოსამზადებელი პროგრამები:
- **A-level** 1-დან 2 წლამდე. 16 წლიდან.
- **Foundation** 1 წლით 17 წლიდან (სკოლადამთავრებულთათვის).
- **Pre - MBA** 3 - 6 თვე.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:
ქ. თბილისი ი. ჭავჭავაძის N74, მე-5 სართული; ოთახი 503;
ტელ: 22-59-57, 29-91-78 მობ: 899 50-40-12
E-mail: n_makatsaria@yahoo.com

კომპიუტერული პროგრამების კვლევის ჯგუფი
ჩვენ ვაჭარბებთ თქვენს მოლოდინს
485E Route 1 South, Iselin NJ 08830 usa
www.srgroup.net

კომპიუტერული პროგრამების კვლევის ჯგუფი ამერიკიდან დააფინანსებს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს, რომელთაც 2 წლის გამოცდილება აქვთ შემდეგ კომპიუტერულ პროგრამებში.
Java, J2EE, Dot Net, Siebel, Webmethods, ERP, SAP, Peoplesoft, Oracle, Datastage, Cognos, Informatica, Business Objects, SQL-server, Oracle, Sybase, DB2, IDMS.
საინფორმაციო ტექნოლოგიებით დაინტერესებულმა ადამიანებმა, რომლებმაც სულ ახლახანს დაამთავრეს უნივერსიტეტი, შეუძლიათ მოგვმართონ. მათ ასწავლიან მათთვის ხელსაყრელ პირობებში აშშ-ში.
ყველა შერჩეულ კანდიდატს შესთავაზებენ სამუშაო ვიზას აშშ-ში, თანხას თქვენ არ იხდით. გასაუბრება ჩატარდება საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში ივნისში 2005 წელს. გთხოვთ გამოაგზავნოთ თქვენი რეზიუმე: georgiaitjobs@srgroup.net
p.s. კომპიუტერული პროგრამების კვლევის ჯგუფი ამ ბიზნესით დაკავებულია უკვე 12 წელია, ამერიკაში ჰყავს 150 თანამშრომელი და 20 ოფშორულ ცენტრში ჰაიდარაბადში, ინდოეთი.

და ნინა კაიშაური, დისშვილი მთვარისა ფირცხალაიშვილი, რძალი მზია მაღულარია, დის შვილისშვილები, ქეთინო და თინიკო ლეჟავები, გია ჯაველიძე და ეკა პაპავა ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამარ დავითის ასული კაიშაური

პანაშვიდები 12,13 ივნისს 16.00 საათზე
დაკრძალვა 14 ივნისს, 15.00 საათზე
მისამართი: თბილისი, ნუცუბიძის ქ. 42, კორპუსი 2, სადარბაზო 3

სწრაფად ხარისხიანად!
EUROCLEAN-SERVICE
შ.პ.ს. "EUROCLEAN-SERVICE" გთავაზობთ ბინებში, ოფისებში, კინოთეატრებში, კაზინოებში, საბილიარდოებში, ბენზინ-გასამართ სადგურებში, რესტორნებსა და სხვა დაწესებულებებში შემდეგი სახის მომსახურებას:
- ნოხების, ხალიჩების, ქვისა და მარმარილოს იატაკის რეცხვა-გაწმენდა.
- რბილი ავეჯის, საძინებლი გარნიტურის, მატრასებისა და ლოგინების სიღრმული წმენდა დასუფთავება.
- ფანჯრების, ვიტრინების და მინის კონსტრუქციების რეცხვა-გაწმენდა.
- ხის კედლების წმენდა გაპრიალება.
- მანქანის სალონის წმენდა.
- აუზებისა და ჯაკუზების წმენდა.
- კაფელის, მეტლახის და ლინოლიუმის წმენდა და გაპრიალება.
- ავეჯის რესტაურაცია.
მის. ლესელიძის ქუჩა - ყაველაშვილის შესახვევი №1 ტელ: 93 13 03,
მის. გურამიშვილის №64 (ავეჯის სავაჭრო ცენტრი) 893 13 29 98, 893 50 93 50
E-maile: Euroclean_service@posta.ge

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24